

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი

Shota Rustaveli Theatre and Film
Georgian State University

**სახელოვნებო მეცნიერებათა
ქიბანი**

№ 3 (93), 2023

ART SCIENCE STUDIES



გამომცემლობა „კენტავრი“
თბილისი
2023

ISSN 2720-8109 (web)
ISSN 1512-4215 (print)

UDC(უაკ) 7(051.2)
ს-364

სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი # 3 (93), 2023

რედკოლეგია:

მაკა (მარინე) ვასაძე

თეატროლოგი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი

ბია ცხიტიჯილი

თეატროლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ამავე უნივერსიტეტის დიმიტრი ჯანელიძის სახელობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორი

ანანო სამოსონაძე

ქორეოლოგი, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

ნათო გენგიური

ხელოვნებათმცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ლელა ორიანური

კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი, პროფესორი

დავით ჯანელიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი და ამავე უნივერსიტეტის სენატის თავმჯდომარე

ანდრო ენუქიძე

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების დოქტორი

ანდრონიკა მარტონოვა

კინოხელოვნების დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი. დოქტორი. ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემია – ხელოვნებათმცოდნეობის ინსტიტუტი, ბულგარეთი

ანდრეი მოსკვინი

ფილოლოგი, სლავისტი, კულტუროლოგი, თეატროლოგი, მთარგმნელი, დრამატურგი პროფესორი. ვარშავის უნივერსიტეტის (ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ინტერკულტურული კვლევების განყოფილება გამოყენებითი ლინგვისტიკის ფაკულტეტზე) თეატრისა და დრამის ცენტრალური კვლევების ლაბორატორიის ხელმძღვანელი. აღმოსავლეთ ევროპის სამეცნიერო ჟურნალის „ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის თეატრმცოდნეობის“ მთავარი რედაქტორი. პოლონეთი

როი ჰოროვიცი

ბარ-ილანის უნივერსიტეტის ლიტერატურის განყოფილების უფროსი ლექტორი. დოქტორმა ჰოროვიცმა მიიღო დოქტორი. მსახიობი, რეჟისორი, დრამატურგი. დევიდ იელინის კოლეჯი, ისრაელი

ანარა ერკაბანი

აუმზოვის სახელობის ლიტერატურისა და ხელოვნების ინსტიტუტი. დოქტორი, ყაზახეთი

ლიტერატურული რედაქტორი

ნინო (ნუსხა) კობაიძე

ტექნიკური რედაქტორი

თამთა ქაჭანია

დამკაბადონებელი

ეკატერინე ოქროპირიძე

კორექტორი

მანანა სანადირაძე

Art Science Studies #3 (93), 2023

Editorial Board:

MARINE (MAKA) VASADZE

Doctor of Arts, Associate Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

GIA TSKITISHVILI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University, Director of Dimitri Janelidze Scientific Research Institute of the same university

ANANO SAMSONADZE

Doctor of Arts, Associate Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

NATO GENGIURI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

LELA OCHIAURI

Doctor of Arts, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

DAVIT JANELIDZE

Professor, Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University and chairman of the board of the same university

ANDRO ENUKIDZE

Doctor of Arts, Associate Professor of Shota Rustaveli Theater and Film Georgia State University

ANDRONIKA MARTONOVA

Head of the Department of Cinematography, Professor. Dr. Bulgarian Academy of Sciences – Institute of Art Studies, Bulgaria

ANDREI MOSKVIN

Philologist, Slavologist, culturologist, theater expert, translator, dramatist professor. Head of the Central Research Laboratory of Theater and Drama at the University of Warsaw (Department of Intercultural Studies of Central and Eastern Europe at the Faculty of Applied Linguistics). Editor-in-Chief of the Eastern European Scientific Journal “Central and Eastern European Theater Studies”. Poland

ROY HOROWITZ

Senior Lecturer of Bar-Ilan University Department of Literature. Dr. Horowitz received his Ph.D. Actor, director, and playwright. David Yellin College, Israel

ANARA ERKEBAY

Auezov Institute of Literature and Art. Doctor, Kazakhstan

Literary Editor

NINO (NUTSA) KOBALDZE

Technical Editor

TAMTA KAJAIA

Book Binding

EKATERINE OKROPIRIDZE

Proofreader

MANANA SANADIRADZE

Head of Publishing House

MAKA VASADZE

კრებულისათვის მოწოდებული მასალა უზრუნველყოფილი უნდა იყოს შესაბამისი სამეცნიერო აპარატით. თან უნდა ახლდეს მონაცემები ავტორის სამეცნიერო კვალიფიკაციის შესახებ ქართულ და ინგლისურ ენებზე, აგრეთვე ნაშრომის ინგლისურენოვანი რეზიუმე.

კრებულის სტამბური გამოცემა ეგზავნება სხვადასხვა საერთაშორისო კვლევით ცენტრს.

ნაშრომები მოგვაწოდეთ და ცნობებისათვის მოგვმართეთ: 0102, თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი #40, საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, II კორპუსი.

ტელ/ფაქსი: +995 (32) 2999411 (240)
მობ: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

Materials supplied for the volume should be provided with corresponding scientific appliance. Paperwork concerning author's academic qualification and summary of work should be attached in Georgian and English languages.

Printed version of the volume is sent out to various international research centers.

Works should be supplied under the following contact:
0102, Tbilisi, Davit Agmashenebeli Avenue #40, Shota Rustaveli Theatre and Film Georgian State University, Second Block

Tel/Fax: +995 (32) 2999411 (240)
Mob: +995 (77) 288 762
+995 (93) 628 884

E-mail: kentavri@tafu.edu.ge
Web: www.tafu.edu.ge

© საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტი, გამომცემლობა „კენტავრი“, 2023
© Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University Publishing House „Kentavri“, 2023

სარჩევი

თეატროლოგია

ეკატერინე კვიციანი

ნიღბების გამოყენება თეატრალურ კადავრში

(მისი გამოყენების ხერხები და საშუალებები; | კურსის სასწავლო პროცესისათვის) 13

ნინო (ნუცა) კობახიძე

თეატრის მნიშვნელობა კონსერვატიულ თეატრში 21

თამაზ ქაჯაია

ახალი დრამის ინტერპრეტაციის საკითხი სოფო

ელბაქიანის სკამბაქალი „ფრეკენ შული“ 28

ლაშა ჩხარტიშვილი

თეატრული პროგრამა - თეატრის მუდმივი

განახლების ინსტრუმენტი 37

მარინა ხარტიშვილი

სანდრო ახმეტელის ეროვნული სულისკვეთების

ახსენისათვის

(შალვა დადიანის პიესა „თეთნულდის“ მაგალითზე) 47

კინომეცოდნეობა

ზვიად დოლიძე

ბრიტანული კინო 1970-იან წლებში 61

ლიანა მენაბდიშვილი

ცოტა რამ კინოების შესახებ 73

მარია სიჩანინი

შიში - მარადიული თემის ამოსავალი წერტილი

მისტიკურ შანრში 84

ნინო ქავთარაძე

საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკა ძველისა და

ახლის დაპირისპირების დისკურსში

(1920-1950-იანი წლების ქართული საბჭოთა კინოს მიხედვით) 96

ქორეოლოგია

ვიქტორია ხარატიშვილი
**საბაზაფხულო კალმასობები ამინდის გამოსათხოვ
რიძუალში (ლაზარობა, გონჯაობა) 106**

მედიის კვლევები

მარიამ ბაბალი
ესპანური ხენი ქართულ კრესაში 119
გვანცა ლიპარტელიანი
**კულტუროლოგიური მულტიმედიური კროეფტების
გავლენები საზოგადოების მხირე ჯბუფებსა
და ფართო მსახებზე 127**

CONTENTS

TEATROLOGY

Ekaterine Kvirkelia

THE USE OF MASKS IN THEATRICAL PEDAGOGY
(its use Saws and tools; For the first Course learning process) 137

Nino (Nutsa) Kobaidze

**THE MEANING OF THE TEXT IN THE POST-DRAMATIC
THEATER** 143

Tamta Kajaia

**THE QUESTION OF INTERPRETATION OF THE NEW DRAMA
IN SOFO KELBAKIANI'S PLAY FREKEN JULIE** 146

Lasha Chkhartishvili

**TECHNICAL PROGRESS IS A TOOL FOR CONSTANT
RENOVATION OF THE THEATRE** 150

Marina Kharatishvili

EXPLANATION OF SANDRO AKHMETELI`S NATIONAL SPIRIT
(On the example of Shalva Dadiani`s play Tetnuldi) 153

FILM STUDIES

Zviad Dolidze

BRITISH CINEMA IN THE 1970s 158

Liana Menabdishvili

A LITTLE ABOUT THE KINO LANGUAGE 164

Maria Sichanin

**FEAR - THE STARTING POINT OF THE ETERNAL
THEME IN THE MYSTICAL GENRE** 169

Nino Kavtaradze

**SOVIET ECONOMIC POLICY IN THE DISCOURSE OF
CONFRONTATION BETWEEN OLD AND NEW**
(According to the Georgian Soviet cinema of the 1920s-1950s) 172

CHOREOLOGY

Viktoria Kharatishvili

**SPRING GATHERINGS (KALMASOBA) IN
WEATHER-REQUIRED RITUALS (Lazaroba, Gonjaoba) 176**

MEDIA RESEARCHES

Mariam Bazali

SPANISH FLU IN THE GEORGIAN PRESS 179

Gvantsa Liparteliani

**IMPACTS OF CULTURAL MULTIMEDIA PROJECTS ON
SMALL GROUPS AND BROAD MASSES OF SOCIETY 182**

თეატროლოგია

ეკატერინე კვიციანი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი
დავით კობახიძე

**ნიღბების გამოყენება თეატრალურ პედაგოგიაში
(მისი გამოყენების ხერხები და საშუალებები;
I კურსის სასწავლო პროცესისათვის)**

რეზიუმე

თეატრალური ხელოვნების სპეციფიკა და მისი სწავლების პროგრამა განსხვავებული და ამავდროულად რთული სასწავლო პროცესია. ჩემი აზრით, თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტისთვის მშრალი და უსახური გარემო დადგენილი პროგრამის ათვისებისთვის ძალზე მიუღებელია. სწორედ ამიტომაც მნიშვნელოვანია, გარდა დადგენილი წესისა და პროგრამისა, შევიმუშაოთ კიდევ სხვა, რაიმე ახალი, სტუდენტებისთვის მიმზიდველი სასწავლო გეგმა, რომელიც გაამრავალფეროვნებს და გაამდიდრებს უკვე არსებულ პროგრამას, მეტად პროდუქტიულსა და შედეგიანს გახდის სასწავლო პროცესის ათვისებას.

მინდა შემოგთავაზოთ ერთ-ერთი ხერხი – ტრენინგი ნიღბებით, რომელიც დაეხმარე-

ბა სტუდენტებს კომპლექსების მოხსნაში. პირველკურსელებს გარემოს შეცვლით უჩნდებათ დაძაბულობის, კომპლექსების, ჩაკეტილობის, სირცხვილის შეგრძნებები. საგამოცდო პერიოდი, ნერვიულობა ფსიქოლოგიურ ზეწოლას ახდენს ახალგაზრდის ჩამოყალიბების პროცესში. გარდა ამისა, სოციალური ფონი და პოლიტიკური ვითარება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ადამიანის, კერძოდ კი, მოზარდის ჩამოყალიბებაზე. უფროსების მხრიდან სკეპტიკური და ცივი დამოკიდებულება იწვევს თვითდაუჯერებლობასა და არარეალიზაციის ფსიქოლოგიურ ზეწოლას. მოზარდის გონებაში იგი ტოვებს სერიოზულ ნალექს, რომელიც გამოიხატება გაუბედაობაში, საკუთარი ცოდნასა და შესაძლებლობებში ეჭ-

ვის შეტანით. იგი ხდება მორცხვი და მორიდებული, მხდალი და ჩაკეტილი თავის თავში. ასეთ ბავშვებს უჭირთ ადაპტაცია გარემოსთან, ეშინიათ სხვისი დაცინვისა და ქილიკის. მათი მოქმედება შეზღუდულია და შესაბამისად, უძნელდებათ სწორად წარმართონ თავიანთი ემოციები და გრძნობები. სწორედ ამიტომ, ნილაბი და მათში სავარჯიშოების შესრულება დაეხმარებათ სტუდენტებს თვითრეალიზაციაში, რათა მათი თამაშის ტექნიკა დაიხვეწოს, გაჩნდეს გულწრფელი და მიზანმიმართული გრძნობების გამოხატვის ხერხები და საშუალებები.

ნილაბი თეატრალურ პედაგოგიკაში შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სტუდენტების შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარების საშუალება, ეს არის გარკვეული ინსტრუმენტი ფსიქიკაზე ზემოქმედებისა. ნილაბის გაკეთების შემდეგ სტუდენტს ეცლება ჩვეულებრივი ზემოქმედების ინსტრუმენტი: მეტყველი მიმიკა და მეტყველება (ნილაბს არ აქვს პირი), დაფა-

რული სახე გვათავისუფლებს გამოვხატოთ საკუთარი ემოციები, ხოლო სამეტყველო აპარატის არქონა გვაიძულებს ვეძიოთ გამომხატველობის სხვა ხერხები, რომლებიც გამოვლინებას სხეულის გამომეტყველებაში პოვებენ. ტრენინგის მოცემული სახეობა ხელს უწყობს კრეატიულობის განვითარებას, კონკრეტულად კი: ზედმეტი ფიზიკური დაძაბულობის მოხსნას, საკუთარი სხეულის მართვის შესაძლებლობას, ჰარმონიული მოძრაობების გამომუშავებას, მათ კოორდინაციას; მეტყველი ჟესტების, პლასტიკური მებსიერების გამოყენებას, წარმოსახვის სტიმულირებას, შტამპებისგან განთავისუფლებას, კომუნიკაციური თვისებების გაძლიერებას და სხვა. პრინციპი მე უკვე აღარ ვარ მე და ვარ სხვა და იმ სხვას კი შეუძლია აკეთოს ის, რაც მე არ შემიძლია.

სტუდენტთან სწორი ემოციური მდგომარეობისკენ პროვოცირებისთვის ეს ხერხი, ვთვლი, რომ პროდუქტიული იქნება.

საკვანძო სიტყვები: თეატრი, ნილაბი, ტრენინგი, თეატრალური პედაგოგიკა, სტუდენტი, მსახიობის ოსტატობა

კვლევა მოიცავს ტრენინგს ნილბების დახმარებით, რომელიც გათვალისწინებულია თეატრალური უნივერსიტეტის სამსახიობო ფაკულტეტის | კურსის სტუდენტთათვის.

მინდა შემოგთავაზოთ ერთ-ერთი ხერხი - ტრენინგი ნილბებით, რომელიც დაეხმარება სტუდენტებს კომპლექსების მოხსნაში. პირველკურსელებს გარემოს შეცვლით უჩნდებათ დაძაბულობის, კომპლექსების, ჩაკეტილობის, სირცხვილის შეგრძნებები. საგამოცდო პერიოდი, ნერვიულობა ფსიქოლოგიურ გეწოლას ახდენს ახალგაზრდის ჩამოყალიბების პროცესში. გარდა ამისა, სოციალური ფონი და პოლიტიკური ვითარება, რომელიც ყველაზე მნიშვნელოვან კვალს ტოვებს ადამიანის, კერძოდ კი, მოზარდის ჩამოყალიბებაზე. უფროსების მხრიდან სკეპტიკური და ცივი დამოკიდებულება იწვევს თვითდაუჯერებლობასა და არარეალიზაციის ფსიქოლოგიურ გეწოლას. მოზარდის გონებაში იგი ტოვებს სერიოზულ ნალექს, რომელიც გამოიხატება გაუბედაობაში, საკუთარი ცოდნასა და შესაძლებლობებში ეჭვის შეტანით. იგი ხდება მორცხვი და მორიდებული, მხდალი და ჩაკეტილი თავის თავში. ასეთ ბავშვებს უჭირთ ადაპტაცია გარემოსთან, ეშინიათ სხვისი დაცინვისა და ქილიკის. მათი მოქმედება შეზღუდულია და შესაბამისად, უძნელდებათ სწორად წარმართონ თავიანთი ემოციები და გრძნობები. სწორედ ამიტომ, ნილაბი და მათში სავარჯიშოების შესრულება დაეხმარებათ სტუდენტებს თვითრეალიზაციაში, რათა მათი თამაშის ტექნიკა დაიხვეწოს, გაჩნდეს გულწრფელი და მიზანმიმართული გრძნობების გამოხატვის ხერხები და საშუალებები.

ნილაბი თეატრალურ პედაგოგიკაში შეიძლება გამოვიყენოთ, როგორც სტუდენტების შემოქმედებითი შესაძლებლობების განვითარების საშუალება. ეს არის გარკვეული ინსტრუმენტი ფსიქიკაზე გემოქმედებისა.

ნილბის გაკეთების შემდეგ სტუდენტს ეცვლება ჩვეულებრივი გემოქმედების ინსტრუმენტი:

1. მეთყველი მიმიკა და მეთყველება (ნილაბს არ აქვს ენა);
2. დაფარული სახე გვათავისუფლებს, სხეული მოდუნებული და მშვიდია;

3. დაცულობის შეგრძნება ეუფლება ჩვენს სხეულს და ვგრძნობთ სხვაგვარი ემოციების მოზღვავებას, ვეძებთ მოქმედებებს, რომლებიც უჩვეულოდ და განსხვავებულად გამოგვახატინებს საკუთარ ემოციებს, ხოლო სამეტყველო აპარატის არქონა გვაიძულებს ვეძიოთ გამომხატველობის სხვა ხერხები, რომლებიც გამოვლინებას სხეულის გამომეტყველებაში პოვებენ;

ტრენინგის მოცემული სახეობა ხელს უწყობს კრეატიულობის განვითარებას, კონკრეტულად კი:

1. ზედმეტი ფიზიკური დაძაბულობის მოხსნას;
2. საკუთარი სხეულის მართვის შესაძლებლობას;
3. ჰარმონიული მოძრაობების გამომუშავებას, მათ კოორდინაციას.
4. მეტყველი ჟესტების, პლასტიკური მეხსიერების გამოყენებას;
5. წარმოსახვის სტიმულირებას;
6. შტამპებისგან განთავისუფლებას;
7. კომუნიკაციური თვისებების გაძლიერებას და სხვა;

პრინციპი-მე უკვე აღარ ვარ მე და ვარ სხვა და იმ სხვას კი შეუძლია აკეთოს ის, რაც მე არ შემიძლია-სტუდენტთა სწორი ემოციური მდგომარეობისკენ პროვოცირებისთვის ეს ხერხი, ვთვლი, რომ პროდუქტიული იქნება.

ნიღაბი აბსოლუტურ თავისუფლებას მისცემს სტუდენტებს სამოქმედოდ. ისინი განთავისუფლებულნი იქნებიან ყოველგვარი დაძაბულობისგან და საშუალება ექნებათ შექმნან ესა თუ ის სახე და იმოქმედონ მათი საკუთარი ბუნებისგან განსხვავებულად.

ნაშრომი შეიცავს, გარკვეულ თანმიმდევრულ ტრენინგებს და ეტიუდებს, რომლებიც დაეხმარება სტუდენტებს ფსიქო-ფიზიკური მდგომარეობის დაბალანსებაში.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ფსიქოლოგიურ ტრენინგს ნეიტრალური (უსახო) ნიღბის გამოყენებით, ვინაიდან ნეიტრალური საწყისი არის პირველი ეტაპი ზოგადად სამსახიობო ხელოვნების სწავლების დასაწყისშიც და შემდგომშიც. სიტყვა „ნიღაბი“ ლათინურად „persona“-ს ნიშნავს. მსახიობი, ნიღბის სულისჩამდგმელი და მამოძრავებელი ძალაა. ჩემი აზრით, აქ ძალზე პროდუქტიული იქნება გამოვიყენოთ ტრენინგების დროს შესაფერისი ნიღბები. გამოვიყენოთ ნიღაბზე არსებული ინფორმაცია და მივაწოდოთ იგი სტუდენტებს, აგრეთვე სასურველია და აუცილებელიც

განვსაზღვროთ, გავითვალისწინოთ სტუდენტების მოსაზრებები და სურვილები, გამოვიყენოთ ისინი სავარჯიშოების გაკეთების პროცესში, რათა მივიღოთ ზუსტი ხასიათების კომპლექსი.

ძალიან მნიშვნელოვანი და უცვლელი როლი ეკისრება თვით პედაგოგს, რათა სარეპეტიციო პროცესი მართებულად წარიმართოს. ტრენინგი ნიღბებით დამყარებულია იმპროვიზაციასა და პლასტიკაზე. სტუდენტი ასრულებს ისეთ მოქმედებებს, რაც ზოგ შემთხვევაში მის ბუნებას არ შეესაბამება. აქ შეიძლება გამოვლინდეს სტუდენტის საკრალური აზრები, შეგრძნებები, იმისათვის, რომ საბოლოოდ მიაჩვიოს საკუთარი პიროვნება თავისუფალ აზროვნებას დაძაბულობის გარეშე.

აქედან გამომდინარე, ხასიათის ძიება, მისი ფორმის აღმოჩენა და, შესაბამისად, მისი რეალიზაციაც ეხმარება შემდგომში მსახიობს, რომ სრულად და ზუსტად, მისი გმირის ხასიათიდან გამომდინარე, იმპროვიზაციულად და პლასტიკით გადმოგვცეს მისი გმირისთვის დამახასიათებელი ნიშან-თვისებები, რაც ამდიდრებს მსახიობის მიერ შექმნილ მხატვრულ სახეს.

ძალზე მნიშვნელოვანია ყურადღება მივაქციოთ შეგრძნებებს ნიღბებით ტრენინგის დროს. რა შინაგანი ემოციის მატარებელია ნიღაბი? რას გვაძლევს ის, როდესაც მას სახეზე მივიფარებთ? ის გვაძლევს სიმყუდროვეს, დაცულ სამყაროს, სხვისი სახელით მოქმედების უფლებასა და საშუალებას, დახვეწილ, პლასტიკურ მოქმედებებს, ზუსტ შეგრძნებებს და მრავალ სხვას. ნიღაბი გვხმარება, წინა პლანზე წამოვწიოთ ჩვენში დამალული შინაგანი მისწრაფებანი და მათ რაღაც დოზით მაინც, ცხოვრებაში რეალიზაციის საშუალება მივცეთ.

ნიღბის ქვეშ იგულისხმება მოქმედების გარკვეული არსი, მიმიკა (ნახევარ-ნიღაბი), გრიმი, ვარცხნილობა, კოსტიუმი, გარემო, ნიღბის პატრონის შინაგანი ბუნება (რაც ძალიან მნიშვნელოვანია), იმიჯი და სხვა. ნიღბები შეიძლება დავახარისხოთ გამოყენების, კლასიფიკაციის თვალსაზრისით, მივანიჭოთ გარკვეული ფუნქცია, იმის გათვალისწინებით, თუ როგორ ვიყენებთ. მას იბნევდნენ სხეულზე თუ კბილებში ეჭირათ (აფრიკული ტომების¹ ნიღბები, აგრეთვე, ინდონეზიური), მთლიან თავზე იხურავდნენ, როგორც

¹ Forma slova, Африканские маски.

მუზარადს, თუ მარტო სახისთვის იყენებდნენ (ბერძნული² და იტალიური ნიღბები). ზოგიერთ კვლევებში ნიღაბი განიხილება მისი სარიტუალო დანიშნულებით (როგორც უკვე ზემოთ აღვნიშნე), როგორც გარკვეული, სპეციალური გამოსახულება რომელიმე არსებისა, რომელსაც ან სახეზე იფარებდნენ ან და ხელში ჰქონდათ მხოლოდ იმ მიზნით, რომ გარდაქმნილიყვნენ მოცემულ არსებაში.

ნიღაბი გვევლინება ბიოლოგიური და სულიერი ცხოვრების მატარებლად, მსოფლიო ხალხთა ცხოვრებაში, ასევე, ჩვენ, ქართულ კულტურაში (ბერიკაობა, 2 ყეენობა), როგორც აუცილებელი და განუყოფელი ნაწილი რიტუალებისა და საწესჩვეულებო სანახაობებისა, რომლებიც დღემდე გვევლინება ცივილიზაციის ფორმირების ჩამოყალიბების ინსტრუმენტად. ნიღაბი არის, აგრეთვე, ჩვენი სოციალური როლის იდენტიფიკაციის საშუალება, პრესტიჟის და სტატუსის ატრიბუტი, მრავალფეროვნად გამოსაყენებელი საშუალება-მოვახდინოთ ზემოქმედება ბავშვსა თუ ზრდასრულ ადამიანებზე.

ასევე ნიღბების თეატრი საინტერესოა მისი თეატრალური სანახაობრივი ფორმებითაც. ამიტომაც იგი ყურადღებას იპყრობდა იმდროინდელ თეატრალურ პედაგოგიკაში.

ძალიან რთულია თავისთავად ნიღბის გარდაქმნა თეატრალური სახის შესაქმნელად, ვინაიდან მისი არსი იმდენად რთულია, რომ მის უკან აფარებულ ადამიანს გარკვეულწილად უჭირს გადააბიჯოს ზოგადად ესთეტიკური თუ კულტურული გადმონაშთების გამოვლინებებს, რომლებიც დაკავშირებულია ერების ფსიქო-ფიზიკური აღზრდის, ყველა ერისთვის განსხვავებული მსოფლმხედველობისა თუ ადათების გადაბიჯება - გაქარწყლების გზით.

აქ საუბარია იმ სტერეოტიპებზე, სადაც ადამიანი „გარდაიქმნება“ სხვა, მისთვის უცნობ და ზოგჯერ მიუღებელ არსებად თუ ადამიანად, რომლის მოქმედების და აზროვნების ლოგიკა მკვეთრად განსხვავებულია შემსრულებელი პირის მოქმედების ლოგიკისა და მსოფლმხედველობისგან. ეს პროცესი მიდის ნელი სვლით (ამისთვის არის სწორედ წინამოსამზადებელი პროცესი), და მას სჭირდება დაკვირვება და კონტროლი, რომ უკურეაქცია არ მივიღოთ სასწავლო პროცესის დროს. მაგრამ აქ მეორე მხარეც იჩენს თავს, თუკი სტუდენტი-ადამიანი, ვერ შეძლებს გადალახოს მის-

² Улетова, Апотропои.

ვის მიუღებელი და განსხვავებული სტერეოტიპები, მაშინ იგი ვერ იარსებებს მისთვის ზოგჯერ მიუღებელ და განსხვავებულ სიტუაციებში. მოქმედება ტექსტუალური დატვირთვის გარეშე, სადაც მიექცევა მეტი ყურადღება პლასტიკას და მოძრაობას, რომელიც ბოლომდე უნდა გამოხატავდეს გმირის ხასიათს. ამგვარი გამოხატვის საშუალება იძლევა წარმოსახვის უნივერსალურ მასშტაბებს, გაჟღენთილს მრავალფეროვანი მნიშვნელობებით, რომლებიც ბოლომდე ატყვევებს მაყურებელს.

ნიღბის გამოყენება, როგორც ერთ – ერთი ხერხი სამსახიობო ხელოვნების სწავლების დროს, ხელს უწყობს მიუწვდომელი, ესთეტიკური, ყოფითი, სოციალური და ისტორიული, როგორც გარეგნული, ასევე შინაგანი ცოდნის გაღრმავებას. აქ არის საუბარი ნიღბის ძირეულ გამოკვლევასა და შესწავლაზე, რომელიც მოიცავს მისი პირდაპირი და უცვლელი სახის ბლომდე შეცნობა–გათავისებას. ნიღაბი ცხოვრობს გარეგნული მოვლენების ხარჯზე, არ განიცდის შინაგან ცვლილებებს, როგორც პერსონაჟი, რადგან პერსონაჟს აცოცხლებს მსახიობი, არ აქვს განვითარების საშუალება, ვიდრე არ მოვიხმართ მას საქმეში

სარეპეტიციო პროცესის დროს ჩვენ ვაკვირდებით სწორედ ფიზიკურ მოქმედებასა და ემოციას, რომელსაც გვაძლევს ჩვენ ნიღაბი და მასზე აღბეჭდილი გამოსახულება და არა ტექსტს, რომელიც მხოლოდ ინფორმაციის მატარებელია, და სულაც არ არის სავალდებულო მისი გამოყენება. უმჯობესია კიდევ, სავარჯიშოების გაკეთების დროს არ იყოს ტექსტი დასაწყის ეტაპზე.

„გაუცხოების“ პრინციპს ვხვდებით პირანდელოს დრამატურ-გიაშიც, სადაც მკაფიოდ არის დანახული ადამიანის რღვევის და გაორების მდგომარეობანი.³ პირანდელოს აზრით, სიცოცხლე წარმოადგენს მარადიული გაუცხოების პრინციპს. ტრენინგი ნიღბებში – ეს არის ის მეთოდი, რომელიც აძლევს საშუალებას მსახიობის სხეულს, უპასუხოს ნიღბის გამოხატულებას, იძლევა აზროვნების ახლებურ გააზრებას და გადმოცემის საშუალებასაც.

³ bookscafe, Пиранделло, Генрих IV.

ბიბლიოგრაფია:

1. ალექსიძე დ., მსახიობის აღზრდის საკითხისათვის, თბ., ხელოვნება, 1950.
2. ზარიძემ ვ., ბერტოლდ ბრეხტი, პატარა ორგანონი თეატრისთვის, ხელოვნება, 1982.
3. Африканские маски: что это такое, значения и ритуалы, <https://forma-slova.com/ru/articles/1396-african-masks-what-they-are-meanings-and-rituals>
4. Апоτροпеи, персоны, горгонеионы <https://nplus1.ru/material/2020/04/22/antique-masks>
5. Пиранделло Луиджи, Генрих IV, https://bookscafe.net/book/pirandello_luidzhi-genrih_iv-208618.html
6. Макиавеллизм: что это такое, как проявляется, причины, цели, <https://dnevnik-znaniy.ru/psixologiya/makiavellizm-chto-eto.html>

ნინო (ნუცა) კობაიძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი მარინე (მაკა) ვასაძე

ოქსიდის მნიშვნელობა პოსტდრამატულ თეატრში

რეზიუმე

ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შეიცვალა თეატრალური სანახაობა. ის უფრო სადღესასწაულო გახდა, ცოტა საშიშიც - თამაშობს ემოციებზე, გამოუცნობი ფინალებით. პოსტდრამატული შემოქმედება აერთიანებს ხელოვნების სხვადასხვა ფორმას, როგორებიცაა ცეკვა, ვიზუალური ხელოვნება, კინემატოგრაფია, მუსიკა, ციფრული მედია და სხვა. ხშირად გულისხმობს აუდიტორიასთან პირდაპირ კავშირს, მეოთხე კედლის დარღვევას და მაყურებლისთვის უფრო აქტიური მონაწილეობის წახალისებას, ფოკუსირებულია შემსრულებელთა ცოცხალ პერფორმატულ ასპექტებზე. გარდა ამისა, პოსტდრამატული მიმართულება ხაზს უსვამს სხეულის გამოხატვას, ჟესტებს, მოძრაობას, იყენებს არათეატრალურ სივრცეებს და იკვლევს თანადროულ სტრუქტურებს.

პოსტდრამატული თეატრი გარდამავალია ტრადიციულ-

სა და თანამედროვე თეატრებს შორის. ის ორიენტირებულია სიუჟეტზე, პერსონაჟზე, თეატრალური შემოქმედების მრავალმხრივ მიდგომაზე, ტრადიციული დრამატული ელემენტების დეკონსტრუქციაზე, უპირისპირდება თხრობის ტრადიციულ ცნებებს.

თეატრი დღეს უკვე აღარ წარმოადგენს მასობრივ კომუნიკაციის საშუალებას, ის არ ქმნის რაღაც ადვილად გასაყიდს, როგორც თუნდაც კინო. სხვა მხატვრული დარგებისგან განსხვავებით, თეატრი ითხოვს ინდივიდუალურ მატერიალურ და მხატვრულ ფორმებს.

ბევრი პოსტდრამატული ნამუშევარი ეხება თანამედროვე სოციალურ, პოლიტიკურ და კულტურულ საკითხებს, მოიცავს სტილებისა და მიდგომების ფართო სპექტრს, რის გამოც რთულია მისი მოაზრება ერთი კონკრეტული ესთეტიკის ფარგლებში.

პოსტდრამატული თეატრის გაგებისას აუცილებელია მისი დინამიკური ბუნების დადგენა. კონკრეტული სპექტაკლების, კრიტიკული თეორიების და პოსტდრამატული თეატრის ისტორიული ევოლუციის შესწავლა გაამდიდრებს ჩვენს აღქმას ამ ცვალებადი თეატრალური მოძრაობის შესახებ. ასეთი კვლევისა და ანალიზის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია, ჩავუღრმავდეთ პოსტდრამატული თეატრის მრავალმხრივ სამყაროს, მივიღოთ ღირებული შეხედულებები მის ესთეტიკაზე, ტრადიციებთან მისი ურთიერთობის და საშემსრულებლო

ხელოვნების მომავალი ფორმირების პოტენციალზე.

ჩემს კვლევაში პოსტდრამატული თეატრის შესახებ, ვცდილობ, უფრო ღრმად შევისწავლო პოსტდრამატული დადგმების კონკრეტული მაგალითები, კრიტიკული თეორიები და პოსტდრამატული თეატრის ევოლუცია. ამ ანალიზმა და თეორიული საფუძვლების შესწავლამ, შეიძლება, ხელი შეუწყოს თემის ყოვლისმომცველ გაგებას.

აღნიშნული ნაშრომის მიზანია პოსტდრამატული თეატრის ესთეტიკური ლოგიკის კვლევა.

საკვანძო სიტყვები: პოსტდრამატული თეატრი, ვიზუალური ხელოვნება, დრამატული თეატრი, პოსტმოდერნული თეატრი

ბერტოლტ ბრეხტმა გამოიყენა ტერმინი „დრამატული თეატრი“ („ეპიკური თეატრის“ ნაცვლად). ეს ტერმინი კარგად ასახავს თავად ბრეხტის მთელ შემოქმედებას და წარმოადგენს ახალი ევროპული თეატრის მთავარ მარცვალს.¹ ჯერ კიდევ მე-18-19 საუკუნეებში შეიმჩნევა, რომ მიუხედავად უამრავი ჟესტიკულაციისა და გამოხატვის ფორმისა, ტექსტი, წარმოთქმული სიტყვა რჩება ადამიანის ფიგურის მთავარ მახასიათებლად.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ 60-იანი წლებიდან დაწყებული, თანამედროვე თეატრის ექსპერიმენტული ფორმები სათავეს იღებს ისტორიული ავანგარდის ეპოქიდან. 1900 წლის ისტორიულმა ავანგარდმა, მიუხედავად თავისი რევოლუციური ხასიათისა, მანც შეინარჩუნა „დრამატული თეატრის“ ნიშნები.

ახალი თეატრი აღიარებს ტექსტის უზენაესობას და ცდილობს

¹ Lehmann, Postdramatic Theatre, 2013, p. 32.

მის გადარჩენას ყველანაირი დეფორმაციისაგან. 70-იანი წლების შემდეგ მკაფიოდ შეიმჩნევა მედიის გააქტიურება საზოგადოებრივ ყოველდღიურობაში. ამან განსაკუთრებული როლი ითამაშა თეატრის ცხოვრებაში - გამოჩნდა ახალი და მრავალფეროვანი პრაქტიკა თეატრალურ დისკურსში, რომელიც განისაზღვრება როგორც პოსტდრამატული თეატრი.

უხეშად რომ ვთქვათ, 70-90-იანი წლების თეატრი პირდაპირ ითხოვს „პოსტმოდერნულის“ წოდებას. მიიჩნევა, რომ პოსტმოდერნული თეატრი მოკლებულია დისკურსს, რის გამოც მასში გამეფებულია მედიტაცია, რიტმები და ტონები. ამას ემატება ნიჰილიზმი და გროტესკული ფორმები, ცარიელი სივრცე, დუმილი. პოსტდრამატული თეატრისთვის ნაცნობია არა მხოლოდ „ცარიელი“, არამედ გადატვირთული სივრცეც, რა თქმა უნდა, ის შეიძლება იყოს ნიჰილისტურიც და გროტესკულიც.

თანამედროვე პრაქტიკის მრავალი მონახაზი, რომელსაც პოსტდრამატულს უწოდებენ, დაწყებული „გამომსახველობითი თეატრიდან“ დამთავრებული თეატრის ტექნიკური მხარეებით, არავითარ შემთხვევაში არ გამოხატავს რაიმე განსხვავებას კლასიკური მოდერნიზმისგან, უბრალოდ უარს ამბობს დრამატული ფორმების მოძველებულ ტრადიციებზე.

მედსართავი „პოსტდრამატული“ შეიძლება გამოიყენებოდეს იმ თეატრებთან მიმართებაში, რომლებიც გასული არიან დრამის საზღვრებიდან, თუმცა, ეს სულაც არ ნიშნავს დრამის აბსტრაქტულ უარყოფას ან უბრალო სურვილს, ზურგი შეაქციო ტრადიციულ დრამას. დრამის „შემდგომ“ ნიშნავს, რომ „ნორმალურ“ თეატრში ის შემონახულია სტრუქტურის სახით. მხოლოდ იმ სტრუქტურის სახით, რომელსაც ასე ძალიან მიეჩვია მაყურებელი.

პოსტდრამატული თეატრი შეიძლება დაახასიათო, როგორც დრამატული ორგანიზმის წევრი. დანართი - „პოსტ“ მიანიშნებს, რომ რაღაც კულტურა თუ რაღაც მხატვრული პრაქტიკა გამოვიდა მოდერნიზმის ჰორიზონტიდან.² ასეა მიღებული ყველგან და, მიუხედავად ყველაფრისა, ის მაინც არ კარგავს მათთან კავშირს, იქნება ეს „უარყოფა“, „ომის გამოცხადება“, „გათავისუფლება“ ან უბრალოდ „გადახვევა“. ზუსტად ასე უნდა ვისაუბროთ „პოსტდრამატულ“ თეატრზეც. „პოსტდრამატულ“ თეატრს ვერ გან-

² Lehmann, Postdramatic, Theatre, 2013, p. 076.

ვიხილავთ, თითქოს მას ბრეხტთან საერთო არაფერი ჰქონდეს, მაგრამ, ამასთან ერთად, ითვალისწინებს რა ბრეხტის მოთხოვნებს თეატრის მიმართ, ეს თეატრი ველარ კმაყოფილდება იმ პასუხებით, რომელთაც ადრე გვაძლევდა ბრეხტი.

იმის მტკიცება, რომ „პოსტდრამატული“ თეატრი საჭიროებს კლასიკურ ნორმებს, რომ ასეთი გზით დაიმკვიდროს საკუთარი იდენტობა, ეფუძნება მისი არსებობის გარეგნულ ოპტიკას და შინაგანი ესთეტიკური ლოგიკის შერწყმას. სინამდვილეში, სწორედ კლასიკური კონცეფცია, რომელიც შემდგომ ტრადიციების ძალისხმევით გადაიქცევა ხოლმე ესთეტიკურ ნორმად, ძნელად მოსაცილებელი ხდება.

ყოველდღიური კრიტიკა გვაიძულებს, ახალი თეატრი განვიხილოთ დრამის კატეგორიის დაპირისპირების პრიზმაში. მოთხოვნილება მოქმედებისკენ, ინტრიგისკენ, გართობისკენ და დაძაბულობისკენ არის ტრადიციული დრამის ესთეტიკური ნორმა. ახალი თეატრი ცდილობს თავი დააღწიოს ამ ნორმებს. თვითონ „დაძაბულობა“, როგორც კრიტერიუმი, შედის დრამის კლასიკურ გაგებაში. მიუხედავად იმისა, რომ ეს გვეჩვენება უკვე წარსულად და არქაულად, თეატრისა და კინოსგანაც მაყურებელი სწორედ ამას ითხოვს, როგორც გასართობ ჟანრს – „დაძაბულობა“ ახალ თეატრში მიდის ისეთი ქმედებისკენ, რომელიც დაკავშირებულია რაღაცის „გადარწმუნებასთან“.

თუ ტექსტები და სასცენო მოქმედებები აღიქმება, როგორც დრამატული ქმედების „დაძაბულობის“ მოდერნი, მაშინ თეატრალური ესთეტიკა და ნამდვილი თეატრალური აღქმა უკანა პლანზე გადადის. ახალი თეატრი იწყება ამ ჯადოსნური სამკუთხედის – დრამის, მოქმედებისა და მიმბაძველობის – რღვევით. ამ სამკუთხედის შიგნით თეატრი იჩაგრება დრამისგან, თვითონ დრამა – დრამატიზებული შინაარსისგან, ხოლო ეს შინაარსი – რეალურისგან მუდმივი გადახვევებითა და გამოძრომით.

თეატრი და დრამა ყოველთვის იყვნენ და არიან ერთმანეთთან ძალიან დაძაბულ ურთიერთობაში. ამ ურთიერთობის კარგად გააზრება აუცილებელი პირობაა თანამედროვე თეატრის არსის გასაგებად. პოსტდრამატული თეატრის გაგება იწყება იქიდან, თუ რა ხარისხით თავისუფლდება თეატრი დრამის მრავალმხრივი დამოკიდებულებიდან. ამ მიზეზით დრამის ჟანრობრივი ისტორია

ნაკლებ საინტერესოა, ვინაიდან ევროპაში თეატრი ორგანულად იყო მიბმული დრამაზე, ამიტომ დღევანდელი თეატრის დასახასიათებლად ვიყენებთ ტერმინს „პოსტდრამატული“ და ეს არ ნიშნავს მხოლოდ დრამის ტექსტის ცვლილებას, არამედ გამოხატულების თეატრალური ფორმების ცვლილებასაც.

პოსტდრამატულ თეატრში ტექსტი, რომელიც სცენაზე იდგმება (თუ ასეთი რამ საერთოდ არსებობს), წარმოადგენს მხოლოდ თანაბარუფლებიან ელემენტს ჟესტიკულაციასთან, მუსიკასთან და სხვა ვიზუალურ ეფექტებთან ერთად და გვევლინება, როგორც ერთი მთლიანობა. განხეთქილება ტექსტის დისკურსსა და თეატრის დისკურსს შორის ხსნის გზას, რომელსაც მივყავართ მათი ურთიერთობის გაუცხოებასა და საბოლოო დაცილებისკენ.

გაუცხოებისა და დაცილების ნელი პროცესი შეიმჩნევა თეატრის მთელი ისტორიის განმავლობაში. ეს არ არის ახალი მოვლენა, რაც უბრალო დაკვირვებითაც ჩანს: ჯერ თეატრი შეიქმნა, აღმოცენდა რიტუალებიდან, იღებს ცეკვებიდან მიმეტურ ფორმებს, პოულობს გამოხატვის სრულიად განსაკუთრებულ საშუალებებს ყოველგვარი დამწერლობის გარეშე.

როგორც ჩანს, რიტუალური თეატრალური ფორმები მისი განვითარების ადრეულ სტადიებში, თავისი ნიღბებით, კოსტიუმებითა და რეკვიზიტებით, გადმოსცემდნენ ეფექტურად დამუხტულ პროცესებს იმგვარად, რომ მუსიკა და ცეკვები მჭიდროდ იყო დაკავშირებული მსახიობების როლებთან და ეს მოტორიკა, სადაც სხეული გადასცემდა ნიშნებს, უკვე თავად შეიცავდა თავისებურ ტექსტს. თეატრის ლიტერატურის განვითარებისას ყველაფერი იცვლება. აქ ტექსტი ხდება დომინანტი და ყველაფერზე ბატონობს. ეს იერარქია საუკუნეებია გრძელდება და ამას არავინ უარყოფს.

პოსტდრამატული თეატრი წარმოადგენს მნიშვნელოვან ევოლუციას და გადახვევას ტრადიციული დრამატული ფორმებისგან, რომელიც განასახიერებს პარადიგმის ცვლილებას თეატრალურ ლანდშაფტში. ტერმინი „პოსტდრამატული“ აღიარებს დრამის ისტორიულ ფესვებს და აპროტესტებს მის ჩვეულებრივ საზღვრებს.

ევროპული თეატრის კონტექსტში, რომელიც უპირატესად იმართებოდა დრამის პრინციპებით, როგორც თეორიულად, ასევე პრაქტიკულად, ტერმინი „პოსტდრამატული“ არსებითი ხდება უახლესი მოვლენების თეატრალურ წარსულთან შედარებისას. ეს ტერმინი ხაზს უსვამს თეატრალური გამოხატვის საშუალებების

ცვლილებას. პოსტდრამატული თეატრის ფორმებში დადგმული ტექსტი იღებს ჟესტურ, მუსიკალურ, ვიზუალურ ან სხვა ურთიერთდაკავშირებულ ფორმებს. ეს მიდგომა იძლევა მნიშვნელოვანი განსხვავების საშუალებას ტექსტისა და თეატრის დისკურსს შორის.³

პოსტდრამატული თეატრი აპროტესტებს ტრადიციულ თხრობას, ხშირად შეიცავს ფრაგმენტულ, აბსტრაქტულ ტექსტებს. ძირითადად აგებულია ტექსტური ელემენტების კომბინაციით, არავერბალური კომუნიკაციით და აუდიტორიის ჩართულობით. აფასებს მაცურებლის გამოცდილებას და ემოციურ რეაქციას, ისინი არ არიან უბრალო დამკვირვებლები, არამედ აქტიური, მნიშვნელოვანი მონაწილეები ხდებიან. ტექსტის ფრაგმენტულობა ხელს უწყობს მაცურებელს ჩაერთოს სპექტაკლში უფრო ღრმა დონეზე და დაამყაროს პირადი კავშირები. აუდიტორია დიალოგშია მსახიობებთან, რაც გავლენას ახდენს თავად შესრულებაზე და ტექსტის მნიშვნელობაზე.

პოსტდრამატული თეატრი აძლევს მაცურებელს უფლებას, გააკეთოს საკუთარი არჩევანი იმის შესახებ, თუ რა არის მნიშვნელოვანი სპექტაკლში. რაც ხელს უწყობს კრიტიკულ აზროვნებას, მისი მნიშვნელობის უფრო ღრმა გაგებას.

დასასრულს მინდა ვთქვა, რომ მაცურებლის აქტიური ჩართულობა განუყოფელი ნაწილია პოსტდრამატულ თეატრში ტექსტის მნიშვნელობის გასაგებად. იგი გარდაქმნის ყურების აქტს მონაწილეობით, სადაც ინტერპრეტაცია არის ერთობლივი და ღია პროცესი.

პოსტდრამატული თეატრის გაგებისას აუცილებელია მისი დინამიკური ბუნების დადგენა. კონკრეტული სპექტაკლების, კრიტიკული თეორიების და პოსტდრამატული თეატრის ისტორიული ევოლუციის შესწავლა გაამდიდრებს ჩვენს აღქმას ამ ცვალებადი თეატრალური მოძრაობის შესახებ. ასეთი კვლევისა და ანალიზის საშუალებით ჩვენ შეგვიძლია, ჩავუღრმავდეთ პოსტდრამატული თეატრის მრავალმხრივ სამყაროს, მივიღოთ ღირებული შეხედულებები მის ესთეტიკაზე, ტრადიციებთან მისი ურთიერთობის და საშემსრულებლო ხელოვნების მომავალი ფორმირების პოტენციალზე.

³ Lehmann, Postdramatisches, Theater, 2013, p. 075.

ბიბლიოგრაფია:

1. Lehmann H., Postdramatisches Theater, 2013.
2. The Evolution Of Modern Theater, 2023, <https://forum-theatre.com/what-is-modern-theatre-like/>
3. კობაიძე, ნინო. პოსტდრამატული თეატრი (ჰანს-ტინს ლემანის მიხედვით), 2019, <https://nutsatso.blogspot.com/>

თამთა ქაჯაია,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ლაშა ჩხარტიშვილი

ახალი დრამის ინტერპრეტაციის საკითხი სოფო ძელბაქიანის სპექტაკლში „ფრეკენ შული“

რეზიუმე

ევროპაში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო დიდი ძვრები ხელოვნებაში. მათ შორის, სათეატრო ხელოვნებაშიც, რამაც განაპირობა ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბება. „ახალ დრამად“ წოდებული ეპოქა უპირისპირდება უკვე არსებულ, დამკვიდრებულ ბურჟუაზიულ გემოვნებას, ტრადიციას და გვიანდელ რომანტიზმს.

„ახალი დრამა“ - პირობითი აღნიშვნაა იმ უმნიშვნელოვანესი ნოვაციებისა, რომლებიც ევროპულ დრამატურგიასა და თეატრში 1860-1890-იან წლებში განხორციელდა. ახალი დრამა ჩაისახა როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამატურგია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სალიტერატურო პროზაში მიმდინარე პროცესებთან. ის ორიენტირებული იყო ბუნებრიობაზე, რეალობის შეუღამაზებელ ასახვაზე, ადამიანის საქციელების სოციალურ-

რი თუ ფსიქოლოგიური საფუძვლების ჩვენებაზე. თეატრში წინა პლანზე წამოიწია საზოგადოებისათვის აქტუალურმა თემებმა. „ახალი დრამა“ დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ, გემოვნებას და გვიანი რომანტიზმის გლამურულ ესთეტიკას. დამკვიდრებული მელოდრამატული რეპერტუარისგან განსხვავებით, მან სცენაზე ახალი სოციალური ტიპები გამოიყვანა და ხაზი გაუსვა ადამიანის არსებობის დრამატიზმს.

ტექნიკურმა პროგრესმა, როგორც გლობალურმა მოვლენამ და ცნობიერების ჰორიზონტის გაზრდამ გამოიწვია კონფლიქტების „გაშლა“ და ლიტერატურასა თუ დრამატურგიაში წინა პლანზე წამოსწია ახალი სოციალური ტიპები, ახალი ეპოქის გმირები, ახალი დროის ახალი ადამიანი ახალი მსოფლმხედველობითა და მისწრაფებებით.

საკვანძო სიტყვები: ავგუსტ სტრინდბერგი, ახალი დრამა, ნატურალიზმი, სიმბოლიზმი, ფრეკენ შული

თანამედროვე ხელოვნების (Modern ART, 1860-1970) პერიოდში შექმნილ ნაწარმოებებს აერთიანებს ექსპერიმენტებისადმი სწრაფვა და ტრადიციების უგულბეღეყოფა, ერთგვარი უარყოფა, განადგურება.

ევროპულ თეატრში XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში დაიწყო დიდი ძვრები ხელოვნებაში. მათ შორის, სათეატრო ხელოვნებაშიც, რამაც განაპირობა ახალი მიმდინარეობის ჩამოყალიბება. „ახალ დრამად“ წოდებული ეპოქა უპირისპირდება უკვე არსებულ, დამკვიდრებულ ბურჟუაზიულ გემოვნებას, ტრადიციას და გვიანდელ რომანტიზმს.

„ახალი დრამა“ - პირობითი აღნიშვნაა იმ უმნიშვნელოვანესი ნოვაციებისა, რომლებიც ევროპულ დრამატურგიასა და თეატრში 1860-1890-იან წლებში განხორციელდა. ახალი დრამა ჩაისახა როგორც სოციალურ-ფსიქოლოგიური დრამატურგია, რომელიც მჭიდროდ იყო დაკავშირებული სალიტერატურო პროზაში მიმდინარე პროცესებთან. ის ორიენტირებული იყო ბუნებრიობაზე, რეალობის შეუღამაზებელ ასახვაზე, ადამიანის საქციელების სოციალური თუ ფსიქოლოგიური საფუძვლების ჩვენებაზე. თეატრში წინა პლანზე წამოიწია საზოგადოებისათვის აქტუალურმა თემებმა. „ახალი დრამა“ დაუპირისპირდა ბურჟუაზიულ გემოვნებას და გვიანი რომანტიზმის გლამურულ ესთეტიკას. დამკვიდრებული მელოდრამატული რეპერტუარისგან განსხვავებით, მან სცენაზე ახალი სოციალური ტიპები გამოიყვანა და ხაზი გაუსვა ადამიანის არსებობის დრამატიზმს.

ტექნიკურმა პროგრესმა, როგორც გლობალურმა მოვლენამ და ცნობიერების ჰორიზონტის გაზრდამ, გამოიწვია კონფლიქტების „გაშლა“ და ლიტერატურასა თუ დრამატურგიაში წინა პლანზე წამოსწია ახალი სოციალური ტიპები, ახალი ეპოქის გმირები, ახალი დროის ახალი ადამიანი ახალი მსოფლმხედველობითა და მისწრაფებებით.

ახალი დრამის ფუძემდებელ-წარმომადგენლებად მიიჩნევენ XIX საუკუნის დასასრულსა და XX საუკუნის დასაწყისში სრულიად განსხვავებული მსოფლმხედველობისა და სტილის მქონე დრამატურგებს: ფრანგ ბრიეს, გერმანელ ჰაუპტმანსა და ზუდერმანს, ავ-

სტრიელ ვედეკინდს, შვედ სტრინდბერგს, ბრიტანელ შოოს, ესპანელ ბუანევენტეს, რუს ტოლსტოისა და ჩეხოვს... „ახალი დრამის“ შემქმნელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევა მის საწყისებთან მდგომი დრამატურგის – ჰენრიკ იბსენის მონუმენტური ფიგურა.

ახალი თეატრალური პრაქტიკის განვითარებასა და დამკვიდრებაში დიდი წვლილი მიუძღვის რეჟისორებს: ლუდვიგ კორნეკს, ანდრე ანტუანს (პარიზის „თავისუფალი თეატრი“), ოტო ბრამსს (ბერლინის „თავისუფალი სცენა“) და სხვებს. მათ დრამატურგიაში შეცვალეს არა მხოლოდ შინაარსი და პრობლემატიკა, არამედ ფორმაც. ისინი დაუპირისპირდნენ საუკუნეების მანძილზე ჩამოყალიბებულ და მყარად დამკვიდრებულ ძველ თეატრალურ სისტემას. მაგრამ ყველაფერი ერთიანად არ მომხდარა. მაგალითად, ჰენრიკ იბსენმა დრამის რეფორმა მისი შინაარსობრივ-პრობლემატური ასპექტების შეცვლით განახორციელა, ხოლო ამისათვის ტრადიციული დრამატურგიული ფორმა გამოიყენა. იბსენის შემოქმედებაში ვხვდებით რომანტიზმის, სიმბოლიზმის, ნატურალიზმის ელემენტებსაც, თუმცა წამყვანი ადგილი ადამიანის გამოღვიძებულ ცნობიერებას უკავია.

ცნობიერების ჰორიზონტის მკვეთრ განვითარებასა და გაფართოებასთან ერთად, ადამიანებმა თავიანთ მსოფლმხედველობასა თუ ყოველდღიურ ცხოვრებაში არსებული მრავალი წინააღმდეგობა აღმოაჩინეს. სწორედ ამან განაპირობა ლიტერატურასა თუ თეატრში მძაფრი მორალურ-ფილოსოფიური თუ სოციალური კონფლიქტების „გაშლა“ – სიმართლესა და სიცრუეს, ყოფიერებასა და აზროვნებას, თვითშეგნებასა და საქციელს შორის. ყოველივე ეს იბსენის ფსიქოლოგიურ თუ სიმბოლისტურ დრამაში აისახა.

თეატრის ისტორიაში, ავგუსტ სტრინდბერგი, უპირველეს ყოვლისა, შევიდა როგორც დრამატურგი, თუმცა, რეალურად, ის თანამედროვე სცენის რეფორმატორიც იყო და თეატრზე საკმაოდ საინტერესო შეხედულებები ჰქონდა. მის ნააზრევში შეგვიძლია მრავალი განსხვავებული სათეატრო ესთეტიკის ელემენტი აღმოვაჩინოთ, ერთი მხრივ, ის ახლოსაა ნატურალიზმის რეჟისორულ პრინციპებთან, ფსიქოლოგიური თეატრის ხერხებთან, მეორე მხრივ კი – მოდერნისტულ რეჟისურასთან. სრულიად მოულოდნელად, სტრინდბერგი იტალიური კომედია დელ არტეს პრინციპების განახლებას და იმპროვიზაციის ტექნიკის განვითარებასაც კი მოითხოვს.

მისი თეორიული ნააზრევნი, დრამატურგიაზე, სათეატრო ხელოვნებაზე, მის მიზნებსა და ამოცანებზე ჩამოყალიბებულია პიესის შესავალში, რომელიც ახალი დრამის მანიფესტი გახდა – „ფრეკენ ჟული“ (1888), ასევე სტატიაში – „თანამედროვე დრამა და თანამედროვე თეატრი“ (1889) და მემორანდუმში – „ღია წერილი ინტიმურ თეატრს“ (1908).¹

„ფრეკენ ჟული“ შესავალში სტრინდბერგი გამოკვეთილად და ნათლად აყალიბებს თეატრის მნიშვნელობას, აღნიშნავს, რომ თეატრმა დაკარგა ფუნქცია. მსჯელობს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეიცვალოს დრამატურგიის სტრუქტურა, სცენოგრაფიის და განათების პრინციპები, როგორ უნდა მუშაობდნენ მსახიობები, რათა თეატრმა თავისი მნიშვნელობა დაიბრუნოს. ასაბუთებს ახალი დრამის და სასცენო ხელოვნების შექმნის აუცილებლობას, რომელშიც ორგანულად უნდა იყოს შერწყმული კლასიკის საუკეთესო ტრადიციები და თანამედროვე ნოვატორობა.

მსახიობმა, იმისათვის, რომ სრულიად გახსნას პერსონაჟის სახე, ძალიან კარგად უნდა შეისწავლოს პიესა, რადგან პერსონაჟი ხშირად სხვა გმირების რეპლიკებით ხასიათდება. არტისტი ასევე კარგი მსმენელი უნდა იყოს. მას უნდა გააჩნდეს ზომიერებისა და სტილის გრძნობა და უნდა იცოდეს, რა დროს გამოიყენოს ესა თუ ის ხერხი. უნდა ესმოდეს, რომ ფარსიდან წამოღებული მიმიკა უვარგისია დრამისა და ტრაგედიისთვის. „ეფექტის მოსახდენად მიმართული ნებისმიერი ხერხი გაუმართლებელია“.² „მსახიობს რაც შეიძლება მეტი თავისუფლება უნდა მიანიჭოს... არაერთხელ შემინიშნავს გენერალურ რეპეტიციაზე, როგორ ცვლიდა არტისტი ჩემს ჩანაფიქრს. თუკი დავრწმუნდი, რომ მისი თამაში მოფიქრებული მუშაობის შედეგია და მთლიანობაში არ არღვევს მოქმედებას, მსახიობს საშუალებას ვაძლევ ითამაშოს თავის ნებაზე“.³

ტექსტებში სტრინდბერგი წარმოგვიდგება არა მხოლოდ როგორც რეჟისორ-რეფორმატორი თუ დრამატურგი, არამედ როგორც ფილოსოფოსი. მისი აზრით, ყველაფერი ცვალებადია და ოდესმე თეატრიც გაქრება – დადგება დრო, როცა ადამიანები ისე განვითარდებიან, რომ „სასტიკად და ცინიკურად“ შეხედა-

¹ სტრინდბერგი, ლია, 1988, გვ. 14 .

² სტრინდბერგი, ლია, სკანდინავიური, 1992, გვ. 137.

³ იქვე. გვ. 137.

ვენ ცხოვრების სანახაობას. „მომავლის“ ადამიანს სტრინდბერგი „თავდაჯერებულობით აღსავსე“ ადამიანს უწოდებს. ამ ადამიანმა იცის ცხოვრების კანონი, ის თავისუფალია ზედმეტი სენტიმენტებისაგან. სტრინდბერგისათვის ცხოვრებაში ყველაფერი ერთმანეთს ცვლის, რაც ერთისთვის სიკვდილია, სხვისთვის სიცოცხლის დასაწყისი. ამიტომ, მისი აზრით, არ არსებობს ერთგვარი და ცალსახა ბოროტება თუ სიკეთე. ერთი საგვარეულოს დაღუპვა მეორის აღზევებას ნიშნავს, ახალი გვარი დაღუპულის ადგილს იკავებს. ეს კანონი, მისი აზრით, ადამიანური ყოფის ერთ-ერთ უდიდეს ხიბლს ქმნის. „ცხოვრება ხომ არ არის ისე იდიოტურ-მათემატიკურად მოწყობილი, რომ მხოლოდ დიდები ჭამდნენ პატარებს? ასევე, ხშირად ხდება ხოლმე, რომ ფუტკარს შეუძლია მოკლას ლომი ან სულ მცირე, ჭკუიდან გადაიყვანოს“.⁴ თუ სტრინდბერგის ლოგიკას გავყვებით, თეატრის სიკვდილის შემდეგ გაჩნდება რაღაც, რაც თეატრს ჩაანაცვლებს.

ავგუსტ სტრინდბერგმა წამოჭრა ისეთი საკითხები, რომლებიც დღემდე აქტუალობას არ კარგავს. სქესთა შორის დაპირისპირების სიმძაფრე ყველაზე კარგად მის პიესა „მამაში“ ჩანს, ხოლო „ფრეკენ ჟულიში“ ნაჩვენებია ფსიქოლოგიური, სოციალური თუ გენდერული პრობლემატიკა. ეს უკანასკნელი განიხილება, როგორც ნატურალისტური პიესა, რადგან მასში ფსიქოლოგიური, სოციალური თუ გენდერული პრობლემატიკაა წამოჭრილი. ნატურალიზმი, როგორც მიმდინარეობა და როგორც ხელოვნების ერთ-ერთი მიმართულება, XIX საუკუნის ბოლოს ჩამოყალიბდა. მის სათავეში იდგა ფრანგი მწერალი ემილ ზოლა, რომელიც თავის ექსპერიმენტულ რომანში „ტერეზა რაკენი“ ახალ დოქტრინას აყალიბებს და აცხადებს, რომ „მწერლის სამუშაო მდგომარეობს იმაში, რომ აიღოს ბუნებიდან ფაქტები და გარემოებებისა თუ სოციალური წრის ცვალებადობის მიხედვით შეისწავლოს მათი მექანიზმი“.⁵ ნატურალისტთა აზრით, რომანის ჟანრი უნდა გახდეს მეცნიერული და უნდა აიგოს რეალობის მკაცრსა და მეთოდურ შესწავლაზე. მთავარი არაა შთაგონება, საზოგადოებრივი მოვლენები და ფაქტები ისე უნდა იყოს აღქმული და გაგებული, როგორც საცდელი საგნები. მწერალმა უნდა აჩვენოს ფაქტების მოქმედების

⁴ ჯავახიშვილი, მხატვრული.

⁵ იქვე, ჯავახიშვილი, მხატვრული.

მექანიზმი და მათი ზემოქმედება ადამიანთა ხასიათებზე, გრძობებსა თუ მოვლენებზე.

სტრინდბერგი ემილ ზოლას „ტერეზა რაკენს“ თანამედროვე მწერლობის დიდ მიღწევად თვლის, რადგან სწორედ ამ რომანმა შეუწყო ხელი ნატურალისტური დრამის შექმნას. თუმცა მისი შეხედულებები ზოლასეული კონცეფციისგან განსხვავდება, ის არ ცდილობს ზოლას მსგავსად, ყველაფერი ბიოლოგიური კანონებით ახსნას. „ნატურალისტებმა „ცოდვის“ ცნება ღმერთთან ერთად უარყვეს, მაგრამ საქციელზე პასუხისმგებლობას – სასჯელს, ციხეს ან სასჯელის შიშს, ვერაფრით ვერ უარყოფენ იმ უბრალო მიზეზის გამო, რომ ეს ყველაფერი მანც ადგილზე რჩება, მიუხედავად იმისა, ათავისუფლებენ თუ არა ნატურალისტები გმირს პასუხისმგებლობისგან“.⁶

სტრინდბერგის აზრით, ნატურალისტურ დრამაში, ნაჩვენებია უნდა იყოს: ცხოვრებისეული სიმართლე, ადამიანური გრძობის გახსნა, ხასიათების ფსიქოლოგიური დამუშავება. დრამატურგი აკრიტიკებს ნატურალიზმის იმ წარმომადგენელთა ნაწარმოებებს, ვისთანაც ცხოვრების უბრალო „ფოტოგრაფირება“ მოცემული. მოვლენების სიღრმისეული აღქმა და გაგება, ადამიანის ბუნების შეცნობა ახალი დრამის და ნატურალისტური მიმდინარეობის ერთ-ერთი მთავარი მოტივია. იგი აღნიშნავს: „ეს უკუღმართად გაგებული ნატურალიზმია, რომლის ავტორებსაც მიაჩნიათ, რომ ხელოვნების აზრი მხოლოდ ის არის, რომ ზუსტად ასახოს ბუნების სურათი“.⁷ იგივე მოსაზრება აქვს ავანგარდული ლიტერატურის ბრიტანელ მკვლევარ მარტინ ბერჰაიმს, რომელიც წერს: „ნატურალიზმი ცხოვრების დოკუმენტური ასახვა ნატურალისტური ხერხებით ყოველგვარი შელამაზების გარეშე“.⁸

ცნობილია, რომ სტრინდბერგს ქალების მიმართ ამბივალენტური დამოკიდებულება ჰქონდა, რომელიც ფობიის ხასიათსაც ატარებდა. ის ფაქტი, რომ პერსონაჟი ქალის ბედი თანაგრძობას იწვევს, მხოლოდ ჩვენს სისუსტეზე მიგვანიშნებს, რადგან მის ადგილას წარმოვიდგინოთ თავს. რეჟისორი სოფო ქელბაქიანი სწორედ ამ „ქალთმოძულე“ დრამატურგის პიესის ინსცენირებას გვთავაზობს ათონელის თეატრში.

⁶ სტრინდბერგი, რომანი, 2013, გვ. 184.

⁷ სტრინდბერგი, ღია, სკანდინავიური, 1992, გვ. 150.

⁸ Banham, Martin, The Cambridge, 1998.

სპექტაკლში, სცენაზე ვხედავთ სამზარეულოს გრძელ მაგიდას, რაზეც განთავსებულია ყველა ის საჭირო რეკვიზიტი, რაც პიესაშია აღწერილი. დამატებულია შუშის გამჭვირვალე ყუთი, რომელიც ასოციაციურად აკვარიუმის წარმოდგენას გვიქმნის. მარცხნივ კედელზე მრგვალი სარკეა, სადაც გამოსახულია ხელის მტევანი ანთებული ცეცხლით, იგი თითქოს უხილავი პერსონაჟია და პერიოდულად მიგვანიშნებს იმ ცეცხლზე, რომელიც სცენაზე ტრიალებს და მოსვენებას უკარგავს როგორც მაყურებელს, ისე მსახიობებს. სპექტაკლს კრისტიანას (თაკი მუმლაძე) პერსონაჟი იწყებს, რომელიც პიესის წამძღვარებულ შესავალს გვაცნობს. სტრინდბერგის ქალის ფორმაში განსხეულება, ვფიქრობ, რეჟისორის კიდეც ერთი საინტერესო მიგნებაა. „ფრეკენ ჟულის“ შესავალს მანიფესტის მნიშვნელობა აქვს. სტრინდბერგი დეტალურად აანალიზებს პიესას და ერთგვარ სახელმძღვანელოს იძლევა რეჟისორებისთვის. სოფო ქელბაქიანი ზედმიწევნით მიჰყვება დრამატურგის ინსტრუქციას, თუმცა ინდივიდუალური დეტალებით ქმნის საკუთარ ინტერპრეტაციას.

პერსონაჟების ჩაცმულობა აბსოლუტურად განსაზღვრავს მსახიობების ხასიათს. კრისტიანის შავი კაბა სამზარეულოს წინსაფარში საკმაოდ მოკრძალებული და სადა ჩანს, თუმცა, როგორც კი წინსაფარს იხსნის, ვხედავთ მის გამომწვევ დეკოლტეს, რომელიც საკმაოდ თვალშისაცემია. თაკი მუმლაძის მიერ განსახიერებული პერსონაჟი ზუსტად ასეთია, თითქოს კრისტიანი თავმდაბალი და ღვთისმოშიშია, მაგრამ ამავე დროს ვნებიან მოსამსახურეს ვხედავთ, რომლის მთავარი ინტერესიც დაოჯახებაა.

ირაკლი გოგოლაძე ჟანის საკმაოდ საინტერესო სახეს ქმნის. ნათლად აჩვენებს პერსონაჟის მიზნებსა და მისწრაფებებს. ჟანი სპექტაკლის დასაწყისში თითქოს დაძაბულია და მისი მონოლოგი მცირე მონაკვეთის განმავლობაში მონოტონური და ერთფეროვანია, თუმცა მსახიობი თავისი გმირის საკმაოდ საინტერესო სახეს გვთავაზობს. ირაკლი გოგოლაძე შემოდის გრაფის ჩექმების წმენდით (როგორც პიესაშია), რომელსაც კუთხეში დებს – ამ მიზანსცენით ვხედავთ, როგორც მის სულიერ მონობას ბატონის მიმართ, ასევე სწრაფვას, რომ მასაც ეცვას გრაფისნაირი ჩექმა. პერსონაჟი ცდილობს იყოს კარგად აღზრდილი, განათლებული ახალგაზრდა, რომელიც ფრანგულად ლაპარაკობს, მაგრამ ის მაინც ვერასდროს

გათავისუფლდა მსახურის კომპლექსებისგან და ბოლომდე გრავის ლაქიად დარჩა.

ფრეკენი სკანდინავიის ქვეყნებში გაუთხოვარი ქალისადმი მიმართვის ერთ-ერთი ფორმაა. სპექტაკლის მთავარი გმირი ფრეკენ ჟულიც (ანასტასია ჭანტურაია) ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალია. ზაფხულის ღამის დღესასწაულზე გრავის სასახლის სამზარეულოში ფრეკენ ჟულის სოციალური არჩევანისა და გენდერული ქცევის კონფლიქტს ვხედავთ. ის სახალხო დღესასწაულზე მოსამსახურეებთან და გლეხებთან ერთად ერთობა, ამ სცენას განსაკუთრებულს კომპოზიტორ სანდრო ჩინჩალაძის კომპოზიცია ქმნის. ჟულის ჩაცმულობა პერსონაჟს კიდევ უფრო გამორჩეულს ხდის: ყელამდე შეკრული მუქი ფერის პერანგი, მომდგარი შარვალი და მოკლედ შეჭრილი თმა - თითქოს უსქესო, ფრიგიდულ ქალს წარმოადგენს. დედამისი ძალით გაათხოვეს და შემთხვევით ჩასახული უარყოფილი შვილი მოევლინა ქვეყანას, რომელსაც მემკვიდრეობით მხოლოდ საპირისპირო სქესისადმი სიძულვილი დაუტოვა.

ფრეკენს მამა ყველაფერს ასწავლიდა, რასაც კაცები სწავლობდნენ. სწორედ ის უნდა ყოფილიყო მაგალითი იმისა, რომ ქალი ისეთივეა, როგორც მამაკაცი. ანასტასია ჭანტურაიას სამსახიობო ოსტატობა სპექტაკლს კიდევ უფრო საინტერესოს და განსაკუთრებულს ხდის. ჟულის თითქოს მამაკაცური ქცევები და ამავდროულად ნაზი მორჩილი ქალის როლის თამაში სწორედ ის შერწყმაა, რასაც ავგუსტ სტრინდბერგი ელოდა პერსონაჟისგან, როდესაც მას ქმნიდა. მძაფრი კონფლიქტური სახით მიმდინარეობს ჟანსა და ფრეკენს შორის სქესთა დაპირისპირება. მთელი სპექტაკლის განმავლობაში ვხედავთ ერთმანეთზე გაბატონების სურვილს. ქალი სიძულვილით, ეჭვიანობით, რევანშის ალებისა და ჟანის დამცირების სურვილით გამოირჩევა. პარალელურად გვესმის, როგორ ვერ აპატია თავის საყვარელ ძალღს მამაკაცთან „ლალატი“ და სიკვდილისთვის გაიმეტა უდანაშაულო „ძუკნა დიანა“. ჟანისთან ინტიმური ურთიერთობის შემდეგ ფრეკენი თავის ძალღს ემსგავსება - ვერ აპატიებს საკუთარ თავს, მამაკაცს რომ დანებდა.

პიესაში ჟანის და ფრეკენის გაქცევის დროს ჟულს პატარა ჭივჭავი მიჰყავს თან, სპექტაკლში კი თევზი. ეს მიზანსცენა ბიბლიურ ტექსტს მოგვაგონებს, სადაც ნათქვამია, რომ მხოლოდ თევზი გა-

დარჩა წყალდიდობის დროს, რომელიც ღმერთმა გაგზავნა ხალხის ცოდვებისთვის. სოფო ქელბაქიანის სპექტაკლში კი ვერც ფრეკენი და ვერც მისი თევზი ვერ აღწევენ თავს ცხოვრების ცოდვებს - ჟულის თევზი ჟანის მსხვერპლად იქცევა.

რეჟისორისთვის, ისევე როგორც პიესის ავტორისთვის, ფრეკენი, ჟანი და კრისტიანა ის პერსონაჟები აღმოჩნდნენ, რომლებიც „დამპალ ხეებად“ გვევლინებიან და ახალ ხეებს ზრდის საშუალებას არ აძლევენ. საბოლოოდ ჩვენ ვხედავთ, რომ სოფო ქელბაქიანმა ნაწილობრივ გაიზიარა დრამატურგის შეხედულებები.

დრამატურგს მუდმივად ეცვლება სათეატრო ენისა და გამომსახველობის შესახებ შეხედულებები. მისი შემოქმედების გვიან პერიოდში პიესიდან იღვენება მოქმედება და ის უფრო სტატიკური ხდება. ამის მიუხედავად, შვედი დრამატურგის პიესებისადმი ინტერესი კრიზისულ სიტუაციებში არ განელეებულა, პირიქით, იზრდებოდა - გარდატეხის პერიოდებში, როდესაც მნეობრივ ფასეულობათა გადაფასება ხდებოდა.

ბიბლიოგრაფია:

1. სტრინდბერგი ა., ღია წერილი ინტიმურ თეატრს, სკანდინავიური ესეები. თბ., 1992.
2. თანამედროვე დრამა და თანამედროვე თეატრი. წიგნში სკანდინავიური ესეები. თბ., 1992.
3. Banham, Martin, ed., კემბრიჯის გზამკვლევი თეატრში. კემბრიჯის უნივერსიტეტის გამოცემა. 1998.
4. ჯავახიშვილი ტ., მხატვრული მიმდინარეობები, http://darejanjavaxishvili.blogspot.com/p/blog-page_19.html
5. ქაჯაია თამთა, ძუკნა დიანა, <https://www.theatrelife.ge/zuknadiana>

ლაშა ჩხარტიშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი,
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

თქანიკური პროგრესი - თეატრის მუდმივი განახლების ინსტრუმენტი

რეზიუმე

პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების და განვითარების 26 საუკუნის მანძილზე სათეატრო ხელოვნება მუდმივად იდგა გამოწვევების პირისპირ, მისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა წინააღმდეგობებით იყო სავსე, რომელთა დაძლევა თეატრისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. სწორედ სათეატრო ხელოვნების წინაშე არსებული გამოწვევები და შექმნილი წინააღმდეგობრიობა, იგივე კრიზისული პერიოდი, ხშირ შემთხვევაში, თეატრს უმუშავებდა, ერთი მხრივ, თვითგადარჩენის ინსტინქტს, ხოლო მეორე მხრივ, განახლების რეფლექსს.

დროთა განმავლობაში, მუდმივად ისმოდა სკეპტიკური მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ თეატრი, როგორც ხელოვნება და სოციალური ინსტიტუცია, კარგავდა აქტუალობას, თავისი მნიშვნელობის მასშ-

ტაბს, თუმცა თეატრი ყოველთვის ახერხებდა არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას.

ტექნოლოგიის ეპოქის თეატრში მსახიობის ხელოვნება მაინც აქტუალურ, აუცილებელ და წამყვან კომპონენტად რჩება. მის გარეშე თეატრი წარმოდგენელია, ვინაიდან ის ერთადერთი ცოცხალი ხელოვნებაა და სწორედ ამით განსხვავდება სხვა ხელოვნების დარგებისგან. ამიტომ მსახიობი თანამედროვე თეატრში არის ის იარაღი, რითაც რეჟისორი თავის სათქმელს ამბობს და არა ვიზუალური ეფექტი, რომელიც ქმნის „ვიზუალურ ემოციასაც“.

თანამედროვე მსახიობი ორი პრობლემის წინაშე დგას: ა) იყოს უნივერსალური შესაძლებლობის; ბ) ებრძოდოს ტექნიკურ პროგრესს პირველობის შესანარჩუნებლად. მსახიობის უნივერსალურობის მოთხოვ-

ნა თანამედროვე თეატრში გამოწვეულია იმ პროცესებით, რომლებიც ევროპულ თეატრში მიმდინარეობს. თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მისი ფორმისა და შინაარსის ჰიბრიდულობაა, ხერხებისა და საშუალებების ნაზავი, ამიტომაც ჩვენი ეპოქის მსახიობი მზად უნდა იყოს სხვადასხვა გამოწვევის დასაძლევად.

უახლესი მსოფლიო თეატრი ტექნიკურ პროგრესთან ერთად ვითარდება. თეატრში აისახება მეცნიერული სიახლეები და მიღწევები. თეატრი ეძებს ამბებს, ხან მხიარულს და ხანაც ტრაგიკულს. ის ქმნის ცხოვრების სარკეს. ის არ ღალატობს ტრადიციას, ქმნის ახალს და ავითარებს ძველს.

საკვანძო სიტყვები: ტექნიკური პროგრესი, კიბერ სივრცე, ონლაინ თეატრი, ციფრული თეატრი, რობერ ლეჰაჟი, პანდემია

პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების და განვითარების 26 საუკუნის მანძილზე სათეატრო ხელოვნება მუდმივად იდგა გამოწვევების პირისპირ, მისი განვითარების მრავალსაუკუნოვანი გზა წინააღმდეგობებით იყო სავსე, რომელთა დაძლევა თეატრისთვის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენდა. სწორედ სათეატრო ხელოვნების წინაშე არსებული გამოწვევები და შექმნილი წინააღმდეგობრიობა, იგივე კრიზისული პერიოდი, ხშირ შემთხვევაში, თეატრს უმუშავებდა, ერთი მხრივ, თვითგადარჩენის ინსტინქტს, ხოლო მეორე მხრივ, განახლების რეფლექსს.

დროთა განმავლობაში, მუდმივად ისმოდა სკეპტიკური მოსაზრებები იმის თაობაზე, რომ თეატრი, როგორც ხელოვნება და სოციალური ინსტიტუცია, კარგავდა აქტუალობას, თავისი მნიშვნელობის მასშტაბს, თუმცა თეატრი ყოველთვის ახერხებდა არა მხოლოდ გადარჩენას, არამედ გამოწვევებზე ეფექტურ რეაგირებას.

განსაკუთრებით, გარდამტეხი აღმოჩნდა თეატრისთვის XX და XXI საუკუნეები, როცა კინომ, ტელევიზიამ და ინტერნეტმა სერიოზული კონკურენცია გაუწია მას. თეატრმა ორბიტაზე გაჩენილი კონკურენტები თავის სამსახურში ჩააყენა და მსოფლიო ცივილიზაციის ტექნიკური მიღწევები ეფექტურად გამოიყენა თავის სასარგებლოდ, რითაც სათეატრო ხელოვნებამ საგრძნობი წინსვლა გა-

ნიცადა, მისი შესაძლებლობები გაფართოვდა და სანახაობრივად უფრო მრავალფეროვანი გახდა. ტექნიკური პროგრესის შეჭრამ სათეატრო ხელოვნებას კი არ დაუკარგა მთავარი კოლორიტი, თუ ხიბლი - „ცოცხალი ხელოვნების“ სახით, არამედ პირიქით, უფრო საინტერესო და მიმზიდველი გახდა ის. თეატრის განვითარების არცერთ ეტაპზე „ცოცხალ ხელოვნებას“ უარი არ უთქვამს ტექნიკურ პროგრესზე, პირიქით, სათეატრო ხელოვნება თავის სამსახურში აყენებდა ტექნიკურ პროგრესს. ამის დასტურია ანტიკურ ბერძნულ თეატრში *Deus Ex Machina*, რომელიც პროფესიული თეატრის ჩამოყალიბების პირველივე ეტაპზე წარმოდგენების მნიშვნელოვან ეფექტად (კომპონენტად) იქცა მსახიობის ხელოვნებასთან, მუსიკასთან, რაც მთავარია, დრამატულ ტექსტთან ერთად. მსახიობის ხელოვნება, როგორც გამოსახვის მთავარი საშუალება, დარჩა მაგისტრალური და დომინანტი თეატრში, რომელსაც ფონი შეუქმნა ტექნიკური პროგრესის სხვადასხვა პროდუქტმა და ის, უსულო საგანი - ტექნოლოგიური პროდუქტი (ჰოლოგრაფია) გამოსახულების სახით გახდა მსახიობის პარტნიორი სცენაზე. მსახიობის გვერდით გაჩნდა გამოსახულება (ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იან წლებში), რომელიც სრულყოფილ და სრულყოფილებიან პერსონაჟად და მსახიობის პარტნიორად მოგვევლინა. გამოწვევამ, რომელიც სათეატრო ხელოვნების აპრობირებულ ხერხად იქცა, გამორჩეული ადგილი დაიკავა თანამედროვე თეატრში. თეატრში ამ გამოწვევის საბოლოოდ დანერგვის თვალსაჩინო მაგალითია კანადელი რეჟისორის, რობერ ლეჰაჟის შემოქმედება, რომელმაც ჯერ კიდევ 1994 შექმნა თეატრალური კომპანია „EX MACHINA“, რომლის მიზანიც არის ძიება და ექსპერიმენტების განხორციელება ტექნოლოგიური სიახლეების და ტრადიციული სათეატრო ფორმების შერწყმის სფეროში. „EX MACHINA“ არის მულტი-დისციპლინარული დასი, რომელიც მსახიობებს, მწერლებს, რეჟისორებს, ტექნიკურ პერსონალს, ოპერის მომღერლებს, თოჯინების თეატრის მსახიობებს, კომპიუტერული გრაფიკის დიზაინერებს, ვიდეო არტისტებსა და მუსიკოსებს აერთიანებს. შემოქმედებითი ჯგუფი მიიჩნევს, რომ „საშემსრულებლო ხელოვნება - ცეკვა, მუსიკა, სიმღერა აუცილებლად უნდა შეერწყას კინემატოგრაფიას, ვიდეო ხელოვნებას, მულტიმედიას. მათი რწმენით - უნდა გაიმართოს შეხვედრები დრამატურგებსა და მეცნიერებს, სცენოგრაფებსა და

არქიტექტორებს, კვებეკის მსახიობებსა და დანარჩენი სამყაროს მსახიობებს შორის. მათ სჯერათ, რომ ამ ურთიერთობების შემდეგ, ნამდვილად ჩამოყალიბდება ხელოვნების ახალი ფორმები. თეატრი მისიწრაფვის ახალი გამოწვევებისაკენ მუდმივად. მისი მიზანია გახდეს ერთგვარი ლაბორატორია, თეატრის ახალი ფორმების ინკუბატორი, რომელიც თანამედროვე მაყურებელს სწორედ ამ ახალი საუკუნის ენაზე დაელაპარაკება“.¹ ტექნიკური პროგრესის მოტრფიალე რეჟისორმა ამ მიმართულებით არაერთი წარმატებული ექსპერიმენტი განახორციელა. რობერტ ლეპაჟი ჩვენი დროის ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული ოსტატია, რომელიც თეატრში მეცნიერების სიხლეებისა და ახალი გამოცდილების დანერგვის გზით, განავითარა არა მხოლოდ სათეატრო ხელოვნება, არამედ ადამიანის გონებაც.

ტექნიკური პროგრესის ბუმმა ჩვენს საუკუნეში შვა ახალი ტიპის თეატრი, რომელსაც დღეს დასავლეთში „ჰიბრიდულ თეატრს“ უწოდებენ. ციფრული ტექნოლოგიების სამყაროში მსახიობს უამრავი გამოწვევის მიღება მოუხდა, მას გაუჩნდა ახალი პარტნიორი სცენაზე უსულო საგნის, უფრო სწორად, გამოსახულების სახით, რომელიც სერიოზულ კონკურენციას უწევს მას. „გამოსახვის ახალ ფორმებს ნერგავს და ავითარებს უამრავი თეატრალური კომპანია ევროპასა და ამერიკაში, მაგრამ მსახიობის ხელოვნება მაინც წამყვანი და ცენტრალური ფიგურა რჩება ამ მომხიბვლელ თაიგულში. ამ ძიებებმა აჩვენა, რომ მსახიობი ტექნოლოგიურ პროგრესს კი არ შეეწირა, არამედ წარმოიჩინდა. უსულო საგნისა და ცოცხალი მსახიობის პარტნიორობა სცენაზე არც თანამედროვე თეატრისთვის არის უცხო და ახალი. თოჯინების თეატრი (და თეატრის პარამიმკური ჟანრები, ჩრდილების, მარიონეტების თეატრების სახით) მისი მრავალი განშტოებით ამის კარგი მაგალითია, რომლის ისტორიაც რამდენიმე საუკუნეს ითვლის. ამ ხერხებს წარმატებით იყენებენ უახლეს თეატრშიც“.²

ევროპელი თეატრის მკვლევრები კარგა ხანია საუბრობენ ჰიბრიდული თეატრის ერაზე. ჰიბრიდულობა უახლესი თეატრის ერთ-ერთი დომინანტური ტენდენციაა. გაქრა, ფაქტობრივად მოკვდა ჟანრის ცნება უახლეს ევროპულ თეატრში, დაიკარგა საზღვარი

¹ თბილისი, 2013, გვ. 10.

² ჩხარტიშვილი, პანდემია, თეატრი, 2020, გვ. 32.

ვერბალურ და არავერბალურ თეატრს შორის, კლასიკურ და თანამედროვე ბალეტს შორის, მოძრაობისა და ცეკვის თეატრს შორის, დრამატულ და თოჯინურ თეატრს შორის, ფიზიკურ და დრამატულ თეატრს შორის... ევროპაში უახლესი თეატრის, იმავე contemporary theatre-ს ნოვატორულ დადგმებს „ჰიბრიდული თეატრის ხანას“ უწოდებენ. Contemporary performances-ს ასე განმარტავს საერთაშორისო დისკუსიების ცენტრის ქსელის კურატორი კადენ მენსონი (Caden Manson): „ტერმინი „Contemporary performance“ - თანამედროვე სპექტაკლი - გამოიყენება ჰიბრიდული მხატვრული ნაწარმოების აღნიშვნისთვის, როცა თეატრის სფეროები (ცეკვა, ვიდეო ხელოვნება, ვიზუალური ხელოვნება, საშემსრულებლო ხელოვნება და სხვა) ექსპერიმენტულად მოგზაურობენ ერთმანეთში. ზოგჯერ ის ანარქისტულ ქაოსს მოგაგონებთ, მაგრამ ის კომპლექსურ, ინტერაქტიურ-ინტელექტუალურ სისტემას ეფუძნება“.³

დღეს, როგორც არასდროს, თეატრზე, როგორც ცოცხალ ხელოვნებაზე ერთგვარად ძალადობს ტექნიკური პროგრესი. განსაკუთრებით ეს პროცესი თვალშისაცემი გახდა XX საუკუნეში, ხოლო მძაფრად იჩინა თავი პანდემიის პერიოდში, როცა თეატრმა გარკვეული დროის მონაკვეთში დაკარგა ცოცხალი კომუნიკაცია მაყურებელთან და ის მხოლოდ ტექნოლოგიური საშუალებებით გახდა ხელმისაწვდომი. ერთი მხრივ, თეატრმა შეიძინა მაყურებლის შეუზღუდავი, დიდი აუდიტორია, ხოლო მეორე მხრივ, დაკარგა უშუალო კონტაქტი მასთან. პანდემიის დროს მხატვრული პროდუქტი, რომელიც ვირტუალურ სამყაროში იქმნებოდა, ციფრული ტექნოლოგიებით - არ იყო თეატრი. ცოცხალი ხელოვნება გახდა ტექნოლოგიური პროგრესის ძალადობის მსხვერპლი, თუმცა ეს იყო ერთადერთი საშუალება გადარჩენა-არსებობისთვის.

ხელოვნების ახალ თუ ძველ დარგებს შორის საშემსრულებლო ხელოვნება ერთადერთია, რომელიც მაყურებელთან ცოცხალ კომუნიკაციაზეა დაფუძნებული. სწორედ, ცოცხალი ურთიერთობაა მისი ერთ-ერთი მთავარი ძალა. ცოცხალი ურთიერთობის პლატფორმა თეატრს პანდემიამ ჩამოართვა.

ოცდაექვსი საუკუნის წინათ, საბერძნეთში ჩამოყალიბებულმა, ევროპული მოდელის პროფესიულმა, ვერბალურმა, არისტოტელესეულმა თეატრმა განვითარების მრავალსაუკუნოვან პერიოდ-

³ Manson, How do, 2011.

ში აჩვენა, რომ თვითგანახლების, თვითგადარჩენის უნიკალური რესურსი და თვისება აქვს. ისტორიის განმავლობაში არაერთხელ გაჩნდა ჩიხში შესული, უკიდურეს კრიზისში მყოფი სათეატრო ხელოვნების გაუჩინარების ეჭვი. ყველა ეპოქაში თეატრის გადარჩენა სწორედ ტექნიკური პროგრესის ათვისების და მისი სათეატრო ხელოვნებაში დანერგვის საშუალებით ხდებოდა. თეატრი ტექნიკურ პროგრესს, ისე როგორც ცენზურას, თავის სასარგებლოდ, განვითარებისთვის იყენებდა. თეატრში მოღვაწე ბევრი ხელოვანი უსწრებდა კიდევ დროს და ტექნიკურ პროგრესს თეატრის ახალ განზომილებაში გადასასვლელად იყენებდა.

სათეატრო პროდუქტი ცოცხლობს მხოლოდ მაშინ, როცა მას ჰყავს თუნდაც ერთი ცოცხალი მაყურებელი. პანდემიის პირობებში კი, სათეატრო ხელოვნებას შეექმნა ავთენტური ფორმით არსებობის საფრთხე. პანდემიამ წარმოშვა ახალი ტიპის ხელოვნება, რომელიც გამოიხატა თეატრისა და კინოხელოვნებების სინთეზურ, ჰიბრიდულ პროდუქტში, რასაც პირობითად შეგვიძლია „ონლაინ თეატრი“ ვუწოდოთ.

შეიცვალა მოცემულობა: ადრე, თუ სცენაზე ერთ მხარეს ცოცხალი მსახიობი იდგა, ხოლო მეორე მხარეს – მაყურებელი, რომელიც ემოციებს დაუფარავად, საჯაროდ გამოხატავდა, ახლა ერთ მხარეს სპექტაკლის ჩანაწერი (ან ციფრული ფორმატისთვის სპეციალურად დადგმული წარმოდგენა) აღმოჩნდა, ხოლო მეორე მხარეს – საზოგადოება, რომელიც წარმოდგენას ონლაინ, პაუზებით, ან ეპიზოდების მიხედვით ადევნებს თვალს მისთვის მოხერხებულ სივრცეში – ქუჩაში, სახლში, სამსახურში, ტრანსპორტში... არსებობის ასეთი ფორმა ძირეულად, კონცეპტუალურად და რადიკალურად ეწინააღმდეგება თეატრის არსს. თეატრი ყოველთვის უმკლავდებოდა წინააღმდეგობებს, გამოწვევებს, ითვისებდა ტექნოლოგიურ პროგრესს და თავის სასარგებლოდ იყენებდა. მაგრამ, მაყურებელთან უშუალო კომუნიკაციის, ირიბი ან პირდაპირი ინტერაქციის გარეშე, დისტანციურად არასდროს უარსებია. ვირტუალურ სივრცეში გადანაცვლებულმა თეატრმა შვა ახალი ჰიბრიდული მხატვრული პროდუქტი – ონლაინ თეატრი,⁴ სადაც თეატრსა და კინოში

⁴ 2020 წელს, თეატრის კრიტიკოსთა საერთაშორისო გაერთიანებამ ონლაინ ფორმატში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია „თეატრი ონლაინ“, რომელშიც მონაწილეობდნენ სხვადასხვა კონტინენტის თეატრის პრაქტიკოსები და თეორეტიკოსები. მომხსენებლების უმრავლესობა ტერმინს „ონლაინ თეატრი“ – ორ

მუშაობის ხერხები, ფორმები, საშუალებები, მეთოდოლოგია ერწყმის ერთმანეთს, ისე, როგორც აქამდე არასდროს.

ონლაინ პრემიერისთვის მომზადებული თეატრალიზებული კითხვები თუ პავილიონებში დადგმული სატელევიზიო ფილმ-სპექტაკლები აერთიანებდნენ აქამდე ნაცნობ, გამოყენებულ საშუალებებს, რომლებსაც სატელევიზიო დადგმებში ვხვდებოდით.⁵ სწორედ სატელევიზიო თეატრის ახალი, გადამუშავებული ვერსიაა ონლაინ თეატრი, რომელიც სათეატრო პროდუქტის კომპიუტერისა და ინტერნეტის საშუალებით გავრცელებას ნიშნავს. უკრაინელი მკვლევარი ანნა კურიჩნაია ამ საკითხზე წერს: „ჩნდება კითხვა: არის თუ არა „ონლაინ თეატრი“ ახალი ფენომენი თეატრისთვის? ან, სავსებით სავარაუდოა, რომ საუბარია სატელევიზიო სპექტაკლების მივიწყებული ჟანრისა და ტრადიციის აღორძინებაზე, რომელიც დროთა განმავლობაში განდევნილ იქნა სატელევიზიო ეთერებიდან მხატვრული დონის მკვეთრი ვარდნისა და დაბალი (არამომგებიანი) რეიტინგის გამო“.⁶ ონლაინ თეატრს, ცხადია, ბევრი აქვს საერთო სატელევიზიო თეატრთან, მაგრამ ის მაინც, თვისებრივად განსხვავებული მოვლენაა. ონლაინ თეატრი აჩენს სხვა პერსპექტივას სათეატრო ხელოვნებაში.

2007 წელს, მკვლევარმა და რეჟისორმა ნადია მასურამ (Nadja Masura) მერილენდის უნივერსიტეტში (აშშ, ვაშინგტონი) დაიცვა დისერტაცია თემაზე „ციფრული თეატრი“. ნაშრომში ავტორი განიხილავდა გზებს, რომლებითაც ციფრულ ტექნოლოგიებს – როგორებიცაა ანიმაცია, ვიდეო, მოძრაობის გადაღება/სენსინგი და ინტერნეტ მაუწყებლობა – გამოიყენებდნენ ცოცხალ დადგმაში ცოცხალ მსახიობებთან ერთად.

„ციფრული თეატრი არის თეატრის სახეობა, რომელიც იყენებს როგორც „ცოცხალ“ მსახიობებს, ასევე მაყურებელს ციფრულ მედიასთან ერთად, რათა შექმნას ხელოვნების ჰიბრიდული ფორმა,

კონტექსტში იყენებდა: 1. პანდემიამდე დადგმული სპექტაკლის ვიდეო ჩანაწერის ლაივსტრიმის საშუალებით ჩვენებისას; 2. პანდემიის პერიოდში დისტანციურად მომზადებული სპექტაკლების ონლაინ პრემიერებზე საუბარში.

⁵ პირველ სატელევიზიო დადგმებს საფუძველი ჩაუყარა „სავარძლის თეატრმა“ (Armchair Theatre), რომელიც ბრიტანეთის ეროვნული ტელევიზიის ეთერში გადიოდა ანთოლოგიური სერიების სახით, 1956-1972 წლებში.

⁶ Kurinnaya, theater, new opportunities, 2020, გვ. 86.

რომელიც აცოცხლებს თეატრს თანამედროვე მაცურებლისთვის“;⁷ – წერს მასური. მის სპექტაკლებში გამოყენებული ტექნოლოგიები მოიცავდა: ვიდეო კონფერენციას, მედია პროექციას, MIDI კონტროლს, მოძრაობის გადაღებას, VR ანიმაციასა და AI-ს (ხელოვნურ ინტელექტს).

ციფრული ტექნიკის, ახალი ტექნოლოგიების გამოყენებას სცენაზე დიდი ტრადიცია აქვს. ამ მხრივ, ალსანიშნავია, ერვინ პისკატორის, იოსებ სვობოდას, გორდონ კრეგის, კოტე მარჯანიშვილის, ფუტურისტი არტისტების ძიებები და მიღწევები. ციფრულმა თეატრმა კი ახალი შესაძლებლობები და ექსპერიმენტების მოტივაცია გააჩინა თანამედროვე თეატრის არტისტებში, რადგან მას შეუძლია როლების და მათი შემსრულებლების შერწყმა, მოქმედების ადგილის დეფინიცია, წარმოდგენის განსხვავებული ვიზუალიზაცია...

სწორედ სატელევიზიო და ციფრული თეატრის ჰიბრიდია ონლაინ თეატრი, რომელიც ძნელია მიაკუთვნო როგორც თეატრს, ისევე კინოხელოვნებას. რადგან ონლაინ თეატრში კონცეპტუალურად ირღვევა ხელოვნების ორივე დარგის კანონები.

ამ პროცესს მექსიკელმა მეცნიერმა, კულტურის ექსპერტმა მონიკა ბაიონერო დიასმა სათეატრო დიფუზია უწოდა. იგი წერს: „ახლა ყალიბდება ახალი სასცენო ენა, რომელიც საშუალებას მისცემს თეატრს იპოვოს ახალი არხები, გზები. სათეატრო დიფუზიის პერიოდში თეატრი ეძებს ახალ პლატფორმებს მაცურებელთან შესახვედრად“...⁸

დისტანციურ რეჟიმში მომზადებული სპექტაკლებში მსახიობები კამერების წინ სათეატრო ხერხებით თამაშობენ. როლის შესრულება არ არის უწყვეტი პროცესი. როგორც თეატრში, სპექტაკლის მომზადებაში ერთგვიან პროფესიონალი ოპერატორები და თეატრის რეჟისორები, რომლებიც იქცევიან არაპროფესიონალ კინორეჟისორებად. შესაბამისად, კომპიუტერების, სმარტფონების ეკრანებზე ჩვენ თვალს ვადევნებდით კინოსპექტაკლებს, ცოცხალი კომუნიკაციის გარეშე. მსახიობებსა და მაცურებელს შორის კომუნიკაციამ გადაინაცვლა ვირტუალურ სივრცეში, სადაც მაცურებელი ოვაციას გამოხატავს არა ცოცხლად, როგორც თეატრში, არამედ, ვირტუალურად გრაფიკული ემოციების საშუალებით. მსა-

⁷ Masura, Digital Theatre.

⁸ Diaz Bajonero, Theater, 2020, გვ. 16.

ხიობები და დამდგმელი ჯგუფი მაყურებლისგან უკუკავშირის იღებს. ამასთან დაკავშირებით, თეატრის მკვლევარი ემილია დემენცოვა წერს: „თეატრებმა და თეატრის პრაქტიკოსებმა უნდა აირჩიონ საუკეთესო ინსტრუმენტები სთრიმინგისა და სხვა ონლაინ პროექტებისთვის. თითოეულ პლატფორმას აქვს თავისი უპირატესობები და ნაკლოვანებები, როგორც მხატვრული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით. ხელმისაწვდომობა და კონტაქტი აუდიტორიასთან დღეს, როგორც არასდროს, ყველაზე მნიშვნელოვანია. ახლა გაჩნდა შანსი, ახალი გამოწვევის წყალობით, რომ თეატრებმა მიიპყრონ მაყურებლის ყურადღება, რომელიც ადრე სხვა თეატრებს ამჯობინებდა“.⁹

ონლაინ თეატრში იკარგება მთავარი – ენერჯის გაცვლის პროცესი. შეუძლებელია რაკურსის შერჩევა, რადგან რეჟისორი და ოპერატორი გთავაზობენ რაკურსს, მაყურებელი კი იძულებულია, ეს მიიღოს.

ტექნოლოგიის ეპოქის თეატრში მსახიობის ხელოვნება, მსახიობი თეატრში მაინც აქტუალურ, აუცილებელ და წამყვან კომპონენტად რჩება. მის გარეშე თეატრი წარმოუდგენელია, ვინაიდან ის ერთადერთი ცოცხალი ხელოვნებაა და სწორედ ამით განსხვავდება სხვა ხელოვნების დარგებისგან. ამიტომ მსახიობი თანამედროვე თეატრში არის ის იარაღი, რითაც რეჟისორი თავის სათქმელს ამბობს და არა ვიზუალური ეფექტი, რომელიც ქმნის „ვიზუალურ ემოციასაც“.

თანამედროვე მსახიობი ორი პრობლემის წინაშე დგას: ა) იყოს უნივერსალური შესაძლებლობის; ბ) ებრძოდეს ტექნიკურ პროგრესს პირველობის შესანარჩუნებლად. მსახიობის უნივერსალურობის მოთხოვნა თანამედროვე თეატრში გამოწვეულია იმ პროცესებით, რომლებიც ევროპულ თეატრში მიმდინარეობს. თანამედროვე თეატრის ერთ-ერთი მთავარი მახასიათებელი მისი ფორმისა და შინაარსის ჰიბრიდულობაა, ხერხებისა და საშუალებების ნაზავი, ამიტომაც ჩვენი ეპოქის მსახიობი მზად უნდა იყოს სხვადასხვა გამოწვევის დასაძლევად.

უახლესი მსოფლიო თეატრი ტექნიკურ პროგრესთან ერთად ვითარდება. თეატრში აისახება მეცნიერული სიახლეები და მიღწევები. თეატრი ეძებს ამბებს, ხან მხიარულს და ხანაც ტრაგიკულს,

9 Dementsova, Theatre, 2020, გვ. 34.

ის ქმნის ცხოვრების სარკეს. ის არ ღალატობს ტრადიციას, ქმნის ახალს და ავითარებს ძველს.

ბიბლიოგრაფია:

1. თბილისის საერთაშორისო თეატრალური ფესტივალის კატალოგი, თბ., 2013;
2. ჩხარტიშვილი ლ., თეატრი მორიგი განახლების პირისპირ, ანუ ჰიბრიდული თეატრის ერა იწყება? <https://www.theatrelife.ge/teatrimorigamocvevispirispir> [გადამოწმებულია: 25.09.2023].
3. ჩხარტიშვილი ლ., თეატრი კარანტინში, <https://www.theatrelife.ge/teatrikarantinsi> [გადამოწმებულია: 25.09.2023].
4. ჩხარტიშვილი ლ., მთვარისკენ სწრაფვის და მასზე ცხოვრების ასახვის თავისებურებები უახლეს სათეატრო ხელოვნებაში (რობერტ ლეპაჟის „მთვარის შორი მხარე“ და კლაუს გუთის „ბოჰემა“ სპექტაკლების მაგალითზე), <http://lashachkhartishvili.blogspot.com/2020/02/blog-post.html> [გადამოწმებულია: 25.09.2023].
5. ჩხარტიშვილი ლ., პანდემია და თეატრი ახალი გამოწვევების პირისპირ, <http://lashachkhartishvili.blogspot.com/2020/04/blog-post.html> [გადამოწმებულია: 25.09.2023].
6. ჩხარტიშვილი ლ., პანდემია და თეატრი ახალი გამოწვევების პირისპირ, ჟურნ. „თეატრი“, #2, 2020.
7. Chkhartishvili L., Some Aspects Of The Latest Challenges Of Contemporary Theater In Terms Of Technical Progress, Art And Modernity, International Journal Of Arts And Media Researches, #1 (11), 2021.
8. Dementsova E., Theatre will fail in self-isolation: danger as opportunity, (Materials of International scientific online conference „Theater Online“), Baku, Almaty, Tbilisi, 2020.
9. Diaz Bajonero M., Theater has no certainties: reflections from confinement, (Materials of International scientific online conference „Theater Online“), Baku, Almaty, Tbilisi, 2020.
10. Kurinnaya A., THEATER ONLINE: new opportunities and challenges, (Materials of International scientific online conference „Theater Online“), Baku, Almaty, Tbilisi, 2020.
11. Manson, How do you define Contemporary Performance., February 24, 2011.
12. Masura N., Digital Theatre, MITH, College of Arts and Humanities at the University of Maryland, <https://mith.umd.edu/research/digital-theatre/> [გადამოწმებულია: 20.03.2022].

მარინა ხარატიშვილი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს
სახელმწიფო უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი
ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

სანდრო ახმეტელის ეროვნული სულისკვამთების ახსნისათვის

(შალვა დადიანის პიესა „თეთნულდის“ მაგალითზე)

რეზიუმე

სანდრო ახმეტელმა ეროვნული კულტურის ფესვებზე ამომზადილი ხელოვნებით შექმნა უნიკალური სათეატრო მოდელი - ახმეტელის „პოლიტიკური თეატრი - ფორუმი“. მისი მაღალი რანგის შემოქმედება ეროვნული კულტურის უნიკალურ თვისებას ავლენს. მან ნაციონალური თეატრის საძირკველზე ისეთივე უნიკალური „შენობა“ ააგო, როგორც ნაციონალური სანახაობითი კულტურა იყო. მისი ადამიანური თვალთახედვა, ამროვნების თავისებურება, მზად აღმოჩნდა ამ სანახაობითი კულტურის თვითმყოფადობის შეთვისებისათვის.

ამაღლებული ხელოვნების ნიმუში შექმნა სანდრო ახმეტელმა შალვა დადიანის პიესა „თეთნულდის“ დადგმით. პიესაში შეურყვნელია თეთნულდი, ძველი სვანეთის შეუვალობის,

სულიერების სიმბოლოა, ხალხის ხსოვნაში გაცოცხლებული ღვთაებაა. პიესის სცენური ვერსიის მთავარი კონფლიქტი სწორედ ძველი და ახალგაზრდა თაობის დაპირისპირებაშია. ძველი თაობისთვის თეთნულდი ხელშეუხებია, ახალგაზრდა თაობა კი იპყრობს მას.

სპექტაკლში ახმეტელმა მთიელები მოქმედ პირად გამოიყვანა - მთა არის ხელშეუხები მოცემულობა და იქ გათამაშებული ტრაგედია ნებისმიერი პიროვნებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ახმეტელის კვლევის საგანი სწორედ მთა აღმოჩნდა. მთამ ხომ შეინარჩუნა თვითმყოფადობა, ადათ-წესები, ტრადიციები, ეროვნული მენტალიტეტი.

სანდრო ახმეტელის სათეატრო მოღვაწეობა ხალხური შემოქმედების მოტივებით იყო ნასაზრდოები. თეატრალური

ფოლკლორის ხაზი რეფრენად გასდევს მის შემოქმედებას. მან სპექტაკლი „თეთნულდი“ გაიაზრა როგორც „ფოლკლორულ-სარიტუალო სანახაობა“. რეჟისორმა სპექტაკლში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ძველი სვანეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველ სცენებს. მან სვანთა ურყევი ტრადიციების, ადათ-წესების ერთგვარი პედალირება მოახდინა და მათი ეთნოსის თავისებურებები მასშტაბურად

საკვანძო სიტყვები: ეროვნული, თვითმყოფადობა, ტრადიციები, ხალხური შემოქმედება, ეთნოსი

მეოცე საუკუნის პირველი ნახევრის ქართულ კულტურას არაერთი დიდებული ხელოვანი ამშვენებს. მათი ღვაწლი და დამსახურება ერის წინაშე განუზომელია. სანდრო ახმეტელი ერთ-ერთი მათგანია. მან ეროვნული კულტურის ფესვებზე ამოზრდილი ხელოვნებით შექმნა უნიკალური სათეატრო მოდელი - ახმეტელის „პოლიტიკური თეატრი - ფორუმი“. მისი მაღალი რანგის შემოქმედება ეროვნული კულტურის უნიკალურ თვისებას ავლენს.

რაც დრო გადის, მით უფრო აქტუალური ხდება ახმეტელის შემოქმედების სხვადასხვა ასპექტი, სადადგმო და საშემსრულებლო კულტურის მხატვრულ-ესთეტიკურ ფორმათა ძიებები. თეატრის მკვლევრებმა ჯეროვნად შეაფასეს მისი ღვაწლი, თუმცა მსჯელობა ახმეტელის სათეატრო მოდელის უნიკალურობაზე, მისი მრავალფეროვანი შემოქმედების მნიშვნელობაზე დღემდე არ ცხრება.

სანდრო ახმეტელის მოღვაწეობა სათეატრო სარბიელზე სამი ასპექტით წარიმართა: მსახიობი, რეჟისორ-ლიდერი და სათეატრო კრიტიკოსი. მისი მოღვაწეობა სამივე მიმართულებით ეროვნული სულისკვთებით გამოირჩეოდა. თავადაც ხომ ეროვნული კულტურის სიყვარულით აღვსილი, მრავალმხრივი, თვითნაბადი ნიჭით დაჯილდოებული პიროვნება იყო. მის სახელს უკავშირდება ქართული ეროვნული თეატრის განვითარების პრობლემა. მან ეროვნული თეატრის საძირკველზე ისეთივე უნიკალური „შენობა“ ააგო, როგორც ნაციონალური სანახაობითი კულტურა იყო. შეიძლება მთელი მისი შემოქმედება კიდევ ერთი ასპექტით განვიხილოთ - როგორ შეისწავლა და შეისისხლხორცა მან ეროვნული სანახაობითი კულტურის თვითმყოფადობა და დავასკვნათ, რომ

თავად მისი თვალთახედვა, ბუნება, ამროვნების თავისებურება, გრძობათა ბუნება მზად აღმოჩნდა ამ სანახაობითი კულტურის შეთვისებისათვის. ახმეტელი ორგანული ნაწილი იყო ამ სანახაობითი კულტურის. მისი ქართული სული მულავნდებოდა ყველგან და ყოველთვის, მაშინაც, როდესაც ბორის ლავრენიოვის „რღვევას“ დგამდა, და მაშინაც, როდესაც (ვაჟა-ფშაველას მიხედვით) „ლამარას“ და (შალვა დადიანის პიესის) „თეთნულდის“ სასცენო ვარიანტს ქმნიდა.

ამაღლებული ხელოვნების ნიმუში შექმნა „თეთნულდის“ დადგმით. თავად უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებდა ამ პიესის სცენურ ინტერპრეტაციას. „განსაკუთრებით დიდია თეთნულდის როლი. ის ახალი ტიპის პიესაა..... „თეთნულდით“ ჩვენ გავალრმავებთ და შევამოწმებთ ჩვენი თეატრის პრინციპებს“.¹ ასეთ მაღალ მისიას აკისრებდა რეჟისორი „თეთნულდის“ დადგმას.

შალვა დადიანმა პიესა „თეთნულდი“ 1931 წელს დაწერა, როდესაც ჩვენი ქვეყნის ისტორიაში სოციალისტური აღმშენებლობის პერიოდი დაიწყო. ამ პროცესის პარალელურად დღის წესრიგში დადგა ახალგაზრდა თაობის სულიერი კონსტიტუციის ჩამოყალიბების საკითხი. ადამიანთა ახალი მსოფლშეგრძნების, მსოფლალქმის ფორმირება იოლი არ აღმოჩნდა. მით უფრო მთის მოსახლეობაში, რომელიც უფრო ძნელი დასამორჩილებელი იყო, ვიდრე ეგონათ, თუნდაც ადგილობრივ ხელმძღვანელ ორგანოებს.

პიესის სიუჟეტური ქარგა სვანეთში შექმნილი მძიმე ვითარების ფონზე იშლება. მასში მოთხრობილი ამბავი პატრიარქალურ სვანეთსა და ახალგაზრდობას შორის არსებული მსოფლმხედველობრივი განსხვავების ნიადაგზე აღმოცენებულ კონფლიქტს წარმოაჩენს. რთულად აღწევდა ცივილიზაცია მთაში, მოსახლეობა ჯერ კიდევ კავით ამუშავებდა მიწას, ჯერ ისევ მისდევდა სისხლის აღების წესს. მხოლოდ ახალგაზრდა თაობას სჯეროდა, რომ სვანეთის ბუნებრივი რესურსის რაციონალურად გამოყენება ამ კუთხის წარმატების და განვითარების გარანტი გახდებოდა.

სწორედ ამ მისიით მიემგზავრებიან სვანეთში ახალგაზრდა მეცნიერი, სვანი გელახსანი და მისი მეუღლე და თანამოაზრე, ისიც სვანი - ლაჰილი. ახალგაზრდები დიდ წინააღმდეგობას აწყდებიან ძველი ტრადიციების დამცველ თაობასთან შეპირისპირებისას.

¹ ახმეტელი, წერილები, 1964, გვ. 134.

ლაჭილის ბაბუა - არგიშდი საკუთარ შვილიშვილს - სოთრანს განათლების მიღებას უკრძალავს, რათა სწავლა-განათლებამ არ „წაბილწოს“ იგი, ხოლო საკუთარ შვილიშვილს - ლაჭილს მოიკვეტს, რადგან მან სისხლის აღების ტრადიცია უარყო და ცოლად გელახსანს გაჰყვა.

არგიშდი ტრადიციებზე აღზრდილი, სვანურ წეს-ჩვეულებებზე ჩამოყალიბებული, ძველი თაობის წარმომადგენელია. არგიშდი სვანეთში მხოლოდშობილი ადამიანი არ არის. მას ამგვარი ამროვნების ადამიანები უდგანან მხარში, უძლიერებენ პოზიციას და ბრძოლის უნარიანობას. არგიშდის თანამოაზრეები წმინდა თეთნულდზე მეცნიერთა ასვლის წინააღმდეგეები არიან. მათ მიაჩნიათ, რომ მწვერვალის დაპყრობა საუკუნეებით განმტკიცებული რწმენის შებღალვის ტოლფასია. „თეთნულდზე სუფევს ღმერთი მთელი სვანეთისა“ - ამბობს ბიმურზი, ლაჭილის დედამთილი, დიგორხანი კი თეთნულდის საკრალურ მნიშვნელობაზე ამახვილებს ყურადღებას: „ღმერთები ბევრია და მათ წმინდა და მაღალ მთებზე უყვართ ცხოვრება. რამდენიც მწვერვალია, იმდენი ღმერთია, ხოლო თეთნულდი კი ტახტია ღმერთებისა“.²

შალვა დადიანის პიესაში თეთნულდი შეურყვნელია, ძველი სვანეთის შეუვალობის, სულიერების სიმბოლოა, ხალხის ხსოვნაში გაცოცხლებული ღვთაებაა. პიესაში წარმოდგენილია ორი საპირისპირო ჯგუფი - ერთისთვის წმინდა თეთნულდის ხელყოფა მიუღებელია, მეორის წარმომადგენლები კი, მეცნიერული ამროვნებით შეიარაღებულნი, თეთნულდის დაცვაში ცრურწმენას ხედავენ. არგიშდის მიერ თეთნულდის დაცვა მისი იდენტობის, ტრადიციის, მამაპაპისეული რწმენის შენარჩუნებაც არის. მხოლოდ ახალგაზრდა გელახსანს ძალუძს დაუმტკიცოს სოფლის მკვიდრთ, რომ „რელიგიური ფანატიზმის სამოსში გახვეული“ თეთნულდი არანაირ სიწმინდეს არ წარმოადგენს, რომ იგი არ არის ღმერთების განსასვენებელი სავანე.

ახმეტელი კარგად ფლობდა დრამატურგის ენას, მას გააზრებული ჰქონდა, რომ ტრაგედია მოტივაციის გარეშე ძნელი აღსაქმელია. ახმეტელს სურდა ძველი რწმენის ამ განძარცვაში წარმოეჩინა „ახლის დაბადების პათოსი, მისი მგზნებარე სული“, მას მიაჩნდა, რომ ეს იქნებოდა „ზეიმი რელიგიური ბურუსით მოცულ

² დადიანი, პიესები, თეთნულდი, 1958.

სამყაროში“.³ დიდი რეჟისორი იმასაც უწყობდა, ბურუსში მყოფი ხალხი ბრმა როდია. ეს ადამიანები პატივისცემას იმსახურებენ. პიესის სცენური ვერსიის მთავარი კონფლიქტი სწორედ ძველი და ახალგაზრდა თაობის დაპირისპირებაშია, ცხოვრების ძველი წესი უპირისპირდება ახალს. ძველი თაობისთვის თეთნულდი ხელშეუხებია, ახალგაზრდა თაობა კი იპყრობს მას.

სანდრო ახმეტელს ცხოვრება მოუწია მაშინ, როდესაც რეჟიმი ყალიბდებოდა. მისი ყველა ნაბიჯი, ყოველი სვლა იყო ერთგვარი დაპირისპირება სახელმწიფო სტრუქტურებთან. თავისი სულიერი კონსტიტუციით ის თავისუფალი ადამიანი იყო, ცხოვრება კი მოუხდა იმ რეჟიმის პირობებში, რომელიც თავისუფლებას არ ცნობდა – პიროვნების ნიველირებით მასა მორჩილ მონად მოიაზრებოდა. ამ თვალსაზრისით ახმეტელი უსწრებს დროს. თავის დადგმაში მან მთიელები მოქმედ პირად გამოიყვანა. ახმეტელი ადრე მიხვდა, რომ მთა არის ხელშეუხებელი მოცემულობა და იქ გათამაშებული ტრაგედია ნებისმიერი პიროვნებისთვის განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. ამიტომ ერთ შემთხვევაში იგი იღებს სვანეთს (თეთნულდი), ხოლო მეორე შემთხვევაში ხევსურეთს (ლამარა). იგი თითქოს მთის ლალ ცხოვრებას მიეღობის, იქ ეძიებს და პოულობს განსაკუთრებულობას, აღმატებულ რანგს ანიჭებს მას, რაც ვერ დაინახა ბარში, იმას პოულობს მთაში. ამ მხრივ მთა გამორჩეულია. სვანეთი რეჟისორული აზროვნების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ასპექტია. ბარში შესწავლილია ადამიანის ფსიქო-ემოციური სამყარო, ადამიანთა ურთიერთობები. ალბათ ამიტომაც ახმეტელის კვლევის საგანი სწორედ მთა აღმოჩნდა. „მთაში შემონახული სანახაობითი კულტურის ძირძველი საშუალებების – საერთო ეროვნული თვისებებისა და მთის სანახაობითი კულტურის შეკერება – ახმეტელის სათეატრო მოდელისთვის – ორგანული, დამაჯერებელი, ჰარმონიული გახლდათ“.⁴

„თეთნულდში“ ბუნების მკაცრმა და შეუვალმა თვისებებმა ადამიანში პოვა განსხეულება. სწორედ ჭეშმარიტი მთიელის განსახიერებაა სალი კლდესავით შეუვალი აკაკი ხორავას არგიშდი. ეს სი-ახლოვე ბუნებასთან – ბუნებასთან წილნაყარობას განაპირობებს. ჩემი აზრით, სწორედ პიროვნებისა და მთის ამ ურთიერთობაში,

³ ახმეტელი, წერილები, 1964, გვ. 134.

⁴ არველაძე, რეჟიმები, 2019, გვ. 171.

ამოიკითხა ახმეტელმა უმთავრესი ღირებულება – ბუნებრივი ყოფითი ცხოვრების გამო ადამიანი ემსგავსება ბუნებას.

სპექტაკლში „ლამარა“ მთის ჭიუხებში, მთის ბილიკებზე, ნიაგვივით დაქროდა თამარ წულუკიძის ლამარა. ეს იყო მისი ორგანული, ბუნებრივი მდგომარეობა, ლალი, შინაგანად თავისუფალი, ჭაბუკურად წრფელი. მისი სიყვარულისადმი დამოკიდებულებაც ბუნებრივი გამოვლინებაა. სწორედ მთამ შემოინახა ადამიანის ბუნებრივი ურთიერთობები. ახმეტელმა ჩამოყალიბებულად განაზოგადა და სიმბოლოს სახით წარმოაჩინა ლამარას სცენური სახე.

სანდრო ახმეტელის სათეატრო მოღვაწეობა ხალხური შემოქმედების მოტივებით იყო ნასაზრდოები და მასზე იყო დაფუძნებული. თეატრალური ფოლკლორის ხაზი რეფრენად გასდევდა მის შემოქმედებას – უძველესი ხალხური დრამატურგიული ფორმებიდან – თანამედროვე ხალხურ სანახაობამდე. ეს იყო ბერიკაობა თუ ყეენობა, თეატრალური ნიღბები თუ ხალხური ლექსები, სიმღერები თუ პანტომიმური ელემენტები. ახმეტელი ყველგან ეძებდა თეატრალურ ფორმებსა თუ გამომსახველობით საშუალებებს. მას უნდოდა ხალხური თეატრალური შემოქმედების, ფოლკლორის მდიდარი გამომსახველობითი შესაძლებლობები ახალი აზრის, ახალი შინაარსის გადმოსაცემად, ახალი მხატვრულ-ესთეტიკური პრინციპების შესაქმნელად გამოეყენებინა. იგი ეძებდა თავისი ხალხის ეროვნული ცნობიერების, სულის გამომხატველ თეატრალურ ფორმებს, ცდილობდა „ამოეცნო და ამოეზიდა ხალხის სიღრმეებში დამარხული სულიერი განძეულობანი“.⁵

სანდრო ახმეტელმა სპექტაკლი „თეთნულდი“ გაიაზრა როგორც „ფოლკლორულ-სარიტუალო სანახაობა“. მას უნდოდა სპექტაკლი ხალხური სანახაობითი ელემენტებით დაეტვირთა და ამ მიზნით, პიესის სადადგმო ვერსიაში რამდენიმე სცენა დაამატა (ბაპებისა და ყეენობის). ეპიზოდების სცენური განხორციელებისათვის რეჟისორმა დაამუშავა ლიტერატურული პირველწყარო: დაამატა ზოგიერთი სცენა, შეცვალა მათი თანმიმდევრობა, დაშალა ქოროს მონოლოგები და ტექსტი სხვადასხვა პერსონაჟს გადაუნაწილა.

ახმეტელმა სპექტაკლში მნიშვნელოვანი ადგილი დაუთმო ძველი სვანეთის ყოფა-ცხოვრების ამსახველ სცენებს. პატრიარქა-

⁵ კიკნაძე, ახმეტელი, 1976, გვ. 208.

ლური მსოფლმხედველობის გასაძლიერებლად პიესაში გაზარდა „ბაპების“ სცენები, მეტი დატვირთვა და მნიშვნელობა შესძინა მათ. შალვა დადიანის პიესაში წარმოდგენილი იყო მხოლოდ ერთი ბაპი - ბიპურზი, ახმეტელმა კი რაოდენობა ექვსამდე გაზარდა და თითოეულ მათგანს თავისი ფუნქცია მიუჩინა. ისინი ძველი სვანეთის ტრადიციების, რელიგიური ინსტინქტების დამცველებად გამოიყვანა. რეჟისორმა აქცენტი სწორედ სანახაობითი კულტურის ხალხური საწყისების მნიშვნელობასა და რაობაზე გადაიტანა. ბაპების სცენა ხალხური ფორმების გამოყენების საუკეთესო მაგალითს წარმოადგენდა. ახმეტელმა მათ ეპიზოდს მეტად სახიერი და მეტყველი ფორმა მოუძებნა და დადგა წყევლის რიტუალი. ამ ეპიზოდში ბაპები სალოცავ სიტყვებს ექსტაზით გადმოსცემდნენ. წყევლის სცენები მოჭარბებული ემოციების ფონზე მიმდინარეობდა, რიტმული სიმღერისა და მოძრაობის თანხლებით, რომელიც შემზარავ, უაღრესად დაძაბულ სურათს ქმნიდა. „თითქოს მთელი ძველი სამყარო რელიგიურ ექსტაზშია, განიცდის თავისი დასასრულის ტრაგედიას“⁶ - ვკითხულობთ ახმეტელის წერილებში.

რეჟისორმა სვანური ხალხური მუსიკის რიტმზე ააგო ბაპების წყევლის სცენა. კომპოზიტორმა იოანე ტუსკიამ ამ ეპიზოდებისთვის გამოიყენა სვანური ხალხური მუსიკის ინტონაციები და საფერხულო-სარიტუალო რიტმები. შესაძლებელია ითქვას, რომ მუსიკალურმა პარტიტურამ სპექტაკლში დრამატურგიული ფუნქცია შეიძინა. სპექტაკლში მოხმობილი სვანური ჰანგი არ იყო საილუსტრაციო ფონად ჩაფიქრებული. ყოველი მუსიკალური ფრაზა გამონახატავდა დრამატული ტექსტისათვის დამახასიათებელ პაექრობას, დიალოგს. ამასთანავე, იგრძნობოდა დრამატიზმი. თითქმის ტრაგიკულ ნოტაზე აჟღერებული საფინალო ბგერები ორგანულად ეხმიანებოდა ეპიზოდის აზრობრივ თუ პლასტიკურ გადაწყვეტას.

რაც შეეხება გელახსანის დაღუპვის ეპიზოდს - როგორც დოკუმენტური მასალა გვიდასტურებს, რეჟისორმა სვანური ზარი გამოიყენა. მისი გამოსახვის ფორმა, მუსიკალური ტონალობა და ვიზუალურ-ვერბალური პლასტების ერთიანობა, ერთი მხრივ აჩენდა მოვლენის ტრაგიკულ ბუნებას, ხოლო მეორე მხრივ სანახაობას სახიერებას მატებდა. ამგვარი სვლა რეჟისორისთვის შემთხვევითი მიგნება არ იყო. ქართველის ეთნო ბუნების შეგრძნება, მისი

⁶ ახმეტელი, წერილები, 1953, გვ. 134.

ფსიქო-ემოციური სამყაროს ნიუანსთა ცოდნა და სცენური სახი-
ერებით ამ გამოცდილების წარმოჩენა სანდრო ახმეტელის ხელ-
წერის დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენდა. იგი თავად იყო ამ
სანახაობითი კულტურის ნაწილი.

გელახსანის დაღუპვით შინაგანად აღესილი არგიშდი საზე-
იმოდ მოუხმობს ყველას. ძალზე შთამბეჭდავი და ემოციური იყო
ეს სცენა, რაც ქალთა გუნდის სამგლოვიარო საგალობლის ფონზე
სრულდებოდა. თამარ წულუკიძე თავის მოგონებებში ასე აღწერს
ამ სცენას: „ისმის ხმამალალი მწუხარე შეძახილები და მოთქმა-
გოდება მოხუცი დედაბრისა. ოდნავ განათებულ სცენაზე ყოვე-
ლი მხრიდან თითქოს ხვრელებიდან ძვრებიან „ბაპები“ ნადირთა
ტყავებში გახვეულნი. საშინელი და საზარელი პირველყოფილი
სანახაობანი: გრძელი წვერებით, აბურძგნულები, აგრეხილები,
დაკორძებულები, გამობობლდებიან, სმენად გადაიქცევიან, წრეს
შეჰკრავენ. ბოროტად კბილებდაკრეჭილ სახეზე სასიხარულო
ზეიმი ეტყობათ. ერთმანეთს მხრებზე ხელებს აწყობენ. მათი და-
ნასკულ-დაპრანჭული ხელები გამხდარი მუხის ტოტებსა ჰგვანან.
ფერხულს შექმნიან და იწყებენ ცეკვას. ცეკვავენ ჯერ ნელა, შემდეგ
თანდათან უჩქარებენ, ძუნძულებენ მთელი სიმძიმით, თან რაღაც
ბგერებს გადმოსცემენ, გაურკვეველს ბურდღუნებენ, ხტიან, ტრი-
ალებენ შეშლილებივით“.⁷ ქართული ეთნოკულტურისთვის ფერ-
ხულები უპირველეს გამოვლენას წარმოადგენს და სათავეს უძვე-
ლესი საცეკვაო რიტუალებიდან იღებს, რომლებშიც მოქმედების
წრიული ფორმა სავალდებულო ელემენტია. საფერხულო წყობაში
დაცულია რელიგიურ-მითოლოგიური სიმბოლიკა - წრე, როგორც
ერთიანობის, მონოლითურობის, სიმტკიცის სიმბოლო. სანდრო
ახმეტელის სპექტაკლში ფერხულში ჩაბმული ხელგადახვეული ბა-
პები მკაცრად ჩაკეტილ, ერთიანი იდეითა და გზნებით შეკავშირე-
ბულ წრეს ქმნიდნენ, რომელიც თანდათანობით იშლებოდა. მთაში
ირღვეოდა თაობების მიერ დაკანონებული ცხოვრების წესი. სპექ-
ტაკლის ეს ეპიზოდი ასეთი სახიერი მეტაფორით სრულდებოდა.

მუზეუმებში დაცული მასალების და სხვადასხვა მკვლევართა
მოსაზრებების გაცნობის შედეგად, განსაკუთრებით ქალბატონ თა-
მარ წულუკიძის აღწერიდან გამომდინარე, შესაძლებელია ბაპების
უჩვეულო გარეგნული სახიერებით მივაკვლიოთ რეჟისორის უმ-

⁷ წულუკიძე, მოგონებები, 1983.

თავრეს მიზანს: მან, ერთი მხრივ, სახიერად წარმოადგინა ძველი სვანური (ზოგადად ხალხური) სანახაობის რიტუალური ქმედება, მეორე მხრივ კი, სასცენო ქმედების ენაზე გადატანილმა ეპიზოდმა ნათლად წარმოაჩინა ტრადიციის მანკიერი ასპექტი, ტრადიციის ბრმა ერთგულების, ფანტიზმისა და თავყანისცემის დამანგრეველი ძალა.

სპექტაკლში ბაპების გარეგნობა, მათი „საფარი“ - ხალხური სანახაობითი კულტურის და მისი ქმედითი ბუნების წიაღიდანაა აღმოცენებული. ჩემი ღრმა რწმენით, ამ ეპიზოდში თვალნათლივ გამოჩნდა ახმეტელის ხელწერის თავისებურება, უძველესი ხალხური სანახაობების ღრმა ცოდნა. განსაკუთრებით ნიღბების არსებობა მიგვანიშნებს, რომ რეჟისორი არა მარტო ამჟღავნებს თეატრის ისტორიის ცოდნას, არამედ ცდილობს ამ ცოდნის ტრანსფორმაციას სასცენო სივრცეში. სათეატრო ხელოვნებამ მატერიალური ნიღაბი ხომ ისე გამოიყენა, როგორც სანახაობის უპირველესი ნიშანი. ნიღაბი, როგორც რელიგიურ-საკრალური ფენომენი, თავად დიონისესადმი მიძღვნილი სანახაობებიდან გადმოეცა სასცენო ხელოვნებას, როგორც მისი მნიშვნელობის ნიშანი. მატერიალურმა ნიღაბმა თანდათან იცვალა ფორმა, მაგრამ მნიშვნელობა, ანუ მისი არსი, როგორც სანახაობის ფუძისეული ნიშანი, საუკუნეთა მანძილზე უცვლელი დარჩა. ახმეტელს გაცნობიერებული ჰქონდა ნიღბის არსი, ამიტომაც მან საგანგებოდ აქცია ბაპები ამ რელიგიურ-საკრალური ამბის ადეპტად. ნიღბის ფორმას მეტ სიძველესა და იდუმალებას მატებდა ბაპების გრძელი თეთრი წვერი. თეთრი ფერი ხომ ღვთაებრიობის, ნათლის, უმანკოების სიმბოლოა. როგორც ეტყობა, ღვთაებრიობის შინაარსით დააკავშირეს რეჟისორმა და მხატვარმა ბაპების ვიზუალური სახიერება სვანეთში გაბატონებულ მწვერვალ თეთნულდის რელიგიურ-საკრალურ მითთან და ამით მეტი სახიერება შესძინეს სპექტაკლს.

ახმეტელმა სპექტაკლში სვანური ფოლკლორის მსუბუქი სანახაობა - ლამპრობა და ყეენობა გამოიყენა. როგორც ჩანს, მას სურდა სვანური ეთნოსის ტრადიციების თავისებურებები უფრო მასშტაბურად წარმოეჩინა. ამ შემთხვევაში რეჟისორის ნიჭიერება, ცოდნამ ეროვნული სანახაობითი კულტურის გამდიდრება ხალხური შემოქმედების უძველესი ფორმებით შეძლო.

ამ სპექტაკლისთვის ირაკლი გამრეკელმა მონუმენტური, გრან-

დიოზული დეკორაცია შექმნა, რომელშიც ასეთივე გრანდიოზული პოტენციალის მქონე ადამიანები ჩაასახლა. სპექტაკლის დეკორაცია მთის ადეკვატურ გაშლილ სივრცეს ქმნიდა. ამ გაშლილ სივრცეში ადამიანების ურთიერთობებიც იდენტური იყო, რადგან ბუნება განსაკუთრებულობის, ამაღლებულობის მატარებელია. ასეთი გმირები არიან სვანური ხალხური წიალიდან გამოსული პერსონაჟები. ახმეტელმა სპექტაკლში მნიშვნელოვან პრობლემაზე გაამახვილა ყურადღება - დეკორაციის ღია სივრცეში წარმოაჩინა არა მარტო სვანეთი, არამედ მთელი სამყარო და ამ სამყაროში არის მთა, როგორც ადებტი, ერთ-ერთი განსხეულება ამ სამყაროსი. აქეთ-იქით განლაგებულ ცამდე აზიდულ სვანურ კოშკებს შორის მოჩანდა დიდებული და ზვიადი თეთნულდის მყინვარი, როგორც სიმბოლო ძველი, პატრიარქალური ყოფისა.

მიუხედავად ამბის განვითარების ტრაგიკული დინებისა, სპექტაკლი ამაღლებული განწყობით მუხტავდა მაყურებელს, რაც უწინარესად რეჟისორის მხატვრული გადაწყვეტის პრინციპით იყო განპირობებული. ამაზე მიგვანიშნებს დოკუმენტური მასალა, თვითმხილველთა სულის შემძვრელი მონათხრობი და ფოტოებზე აღბეჭდილი ეპიზოდები. მხატვრის მიერ შესრულებული სვანური კოშკების სიდიადე, რეჟისორული გადაწყვეტის ამაღლებული ტონალობა, სპექტაკლის პლასტიკური ნახაზის სახიერება, მუსიკალური პარტიტურის ორგანულობა, შემოქმედებითი გუნდის თანხმიერებით აღბეჭდილი მსახიობთა შესრულება ამძაფრებდა ახმეტელის თეატრის ეროვნული სულისკვთების გამოხატულებას. ამ ერთიანობის პრინციპით შედუღებულ ანსამბლში ეროვნული ხალხური სანახაობითი კულტურა მნიშვნელოვან როლს ასრულებდა.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ეროვნული სათეატრო ხელოვნების განვითარების სხვადასხვა ეტაპზე, ეროვნული ხალხური სანახაობითი კულტურისადმი ასეთი დამოკიდებულება, მისი ცალკეული პასაჟების გამოყენება, არა მარტო ორგანული აღმოჩნდა, განსაკუთრებით კი ახმეტელის თეატრისთვის, არამედ თავად იქცა ტრადიციის გამოხატულებად ქართული, პროფესიული სათეატრო ხელოვნებისათვის.

ბიბლიოგრაფია:

1. ახმეტელი ა., წერილები, თბ., 1964.
2. დადიანი შ., პიესები, თეთნულდი, თბ., 1958.
3. ახმეტელი ა., წერილები, თბ., 1964.
4. არველაძე ნ., რეჟიმები და რეჟისორები, თბ., 2019.
5. კიკნაძე ვ., სანდრო ახმეტელი, ხელოვნება, თბ., 1976.
6. ახმეტელი ა., წერილები, თბ., 1953.
7. წულუკიძე თ., მოგონებები, ხელოვნება, თბ., 1983.
8. თევზაძე მ., სცენური სივრცის პრობლემა სანდრო ახმეტელისა და ირაკლი გამრეკელის შემოქმედებაში, თბ., 2001.
9. ციციშვილი გ., შალვა დადიანის დრამატურგია, თბ., 1955.
10. კიკნაძე მ., ჟურნალი სახელოვნებო მეცნიერებათა ძიებანი, საბჭოთა რეპერტუარი სანდრო ახმეტელის შემოქმედებაში, 2021, (1,2).
11. რუსთაველის ეროვნული თეატრის მუზეუმი.

კინემატოგრაფია

ზვიად დოლიძე,

კინომცოდნე, საქართველოს შოთა რუსთაველის
თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის
პროფესორი, ხელოვნებათმცოდნეობის დოქტორი

ბრიტანული კინო 1970-იან წლებში

რეზიუმე

ბრიტანულ კინოში ყოველ-
თვის ჭარბობდა ეროვნული
იდენტობის საკითხები, სოცია-
ლური პრობლემატიკა და იდე-
ოლოგიური თემატიკა. ეკო-
ნომიკურმა არასტაბილურო-
ბამ, გაფიცვებმა, მასობრივმა
გამოსვლებმა, უმუშევრობამ,
ეთნიკური უმცირესობების ჩაგ-
ვრამ, ირლანდიის რესპუბლი-
კური არმიის ტერორისტულმა
აქტებმა და სხვა მოვლენებმა
ასახვა პოვა ეროვნულ კინემა-
ტოგრაფში. დეკადის დამდეგს
შეიქმნა საგანგაშო მდგომარე-
ობა კინოწარმოებისათვის, ვი-
ნაიდან ამერიკელები თითქმის
ალარ აფინანსებდნენ ბრიტა-
ნულ კინოპროდუქციას, ხოლო
სამთავრობო დახმარება ძალ-
ზე მინიმალური იყო. ამის გამო
ადგილობრივი კინემატოგრა-
ფისტები შეუდგნენ მუშაობას
ახალ თემებზე, ექსპერიმენტე-
ბის ფორმასა და გამოსახულე-
ბაზე. მათი ყურადღება გადავი-
და ისეთ კინოსურათებზე, რომ-
ლებიც მისტიროდნენ წარსულ

დროებას, ვიქტორიანულ ეპო-
ქას. მათში გადმოცემული ამბე-
ბი სიამაყის გრძნობით ავსებდა
მაყურებელს. ამგვარი ნამუ-
შევრები წარმატებით გადიოდა
კინობაზარზე, განსაკუთრებით,
პროვინციულ კინოთეატრებში.

ფაქტობრივად, ბრიტანუ-
ლი კინოწარმოება, რომელ-
საც, დიდწილად, ამერიკული
ფინანსების იმედი ჰქონდა, არ
განიხილებოდა როგორც და-
მოუკიდებელი ინდუსტრია, რაც
ბევრს არ მოსწონდა და სამარ-
ცხვინოდაც მიაჩნდათ. არცერთ
კინომეწარმეს არ გააჩნდა გა-
რანტია, რომ ამერიკელები
მუდამ დააფინანსებდნენ მათ
კინოსურათებს. სავალალოდ
მოჩანდა ის გარემოებაც, რომ
არც არავინ ზრუნავდა ამის სა-
პირისპირო ქმედებაზე.

ბრიტანული კინოკომპანიე-
ბი ხშირად მიმართავდნენ ეკ-
რანიზაციებს ან სატელევიზიო
ფილმების კინოვერსიებს, რაც
უფრო მეტ შემოსავალს იძლე-
ოდა. „საშინელებათა ფილმი“

წარმოადგენდა შედარებით წარმატებულ ჟანრს. მასში გამოჩნდა ახალი სტილისტური სვლები და განსხვავებული სიუჟეტები. ამ მიმართულებით წამყვანი კინოკომპანიები იყო „ჰამერ ფილმზი“ და „ამიქუსი“. ეს უკანასკნელი დააარსეს გაერთიანებულ სამეფოში მცხოვრებმა ამერიკელებმა, თუმცა მის ნამუშევრებს ადგილობრივი კინოკრიტიკოსები არაფრად აგდებდნენ. ბრიტანული „საშინელებათა ფილმების“ თემატიკა მრავალფეროვნებით გამოირჩეოდა - იღებდნენ კინოსურათებს ვამპირებზე, ოკულტიზმზე, ჯადოქრობაზე, წარმართულ თაყვანისმცემლობაზე და სხვა.

ბრიტანული კრიმინალური დრამები იყოფოდა ოთხ მიმართულებად: განგსტერული სამყარო, პოლიციური კინოსურათები, აგათა ქრისტის ეკრანიზაციები და სათავგადასავლო ფილმები ჯაშუშებზე (მაგალითად: სერიები ჯეიმზ ბონდზე). ამ მხრივ, მნიშვნელოვანი ნამუშევარი გამოდგა შურისძიების თემატიკის შემცველი განგსტერული ფილმი,

„მოაშორეთ ქარტერი“ (1971), რომელიც გადაიღო დებიუტანტმა, მაიკ ჰოჯესმა. ეს იყო „მეტრო-გოლდვინ-მეიერის“ ბრიტანული ფილიალის - „მგმბრიტიშის“ ბოლო პროდუქცია, ხოლო მთავარი როლები ითამაშეს უკვე სახელგანთქმულმა მსახიობმა, მაიკლ ქეინმა და ცნობილმა დრამატურგმა და კინოსცენარისტმა, ჯონ ოზბორნმა. ქეინის პერსონაჟი, ჯეკ ქარტერი, თავად არის დაუნდობელი ბოროტმოქმედი და ლონდონიდან მიემგზავრება ნიუკასლში, საკუთარი ძმის მკვლელებზე შურის საძიებლად. პრაქტიკულად, ის არის ანტიგმირი, გზა რომ გაუხსნას ასეთივე ტიპაჟების გამოჩენას სხვა კრიმინალურ დრამებშიც.

ბრიტანეთის კინონინსტიტუტი ნაყოფიერად იკვლევდა კინოსა და ტელევიზიის ურთიერთობის საკითხებს, ატარებდა ლექციებს ეროვნული კინემატოგრაფის შესახებ ადგილობრივ უნივერსიტეტებში, ეწეოდა არქივის ფუნქციას, მცირე თანხებით კვლავინდებურად ეხმარებოდა კინოწარმოებასა და დისტრიბუციას, განსაკუთრებით, რეგიონებში.

საკვანძო სიტყვები: ფინანსური პრობლემები, ისტორიული თემატიკა, კინოკულტურა, ჟანრების სიუხვე, სერიები

ბრიტანულ კინოში ყოველთვის ჭარბობდა ეროვნული იდენტობის საკითხები, სოციალური პრობლემები და იდეოლოგიური თემატიკა. ეკონომიკურმა არასტაბილურობამ, გაფიცებმა, მასობრივმა გამოსვლებმა, უმუშევრობამ, ეთნიკური უმცირესობების ჩაგვრამ, ირლანდიის რესპუბლიკური არმიის ტერორისტულმა აქტებმა და სხვა მოვლენებმა ასახვა პოვა ეროვნულ კინემატოგრაფში. დეკადის დამდეგს შეიქმნა საგანგაშო მდგომარეობა კინოწარმოებისათვის, ვინაიდან ამერიკელები თითქმის აღარ აფინანსებდნენ ბრიტანულ კინოპროდუქციას, ხოლო სამთავრობო დახმარება ძალზე მინიმალური იყო. ამის გამო ადგილობრივი კინემატოგრაფისტები შეუდგნენ მუშაობას ახალ თემებზე, ექსპერიმენტებს ფორმასა და გამოსახულებაზე. მათი ყურადღება გადავიდა ისეთ კინოსურათებზე, რომლებიც მისტიროდნენ წარსულ დროებას, ვიქტორიანულ ეპოქას. მათში გადმოცემული ამბები სიამაყის გრძნობით ავსებდა მაყურებელს. ამგვარი ნამუშევრები წარმატებით გადიოდა კინობაზარზე, განსაკუთრებით, პროვინციულ კინოთეატრებში.

ფაქტობრივად, ბრიტანული კინოწარმოება, რომელსაც, დიდწილად, ამერიკული ფინანსების იმედი ჰქონდა, არ განიხილებოდა როგორც დამოუკიდებელი ინდუსტრია, რაც ბევრს არ მოსწონდა და სამარცხვინოდ მიაჩნდა. არცერთ კინომეწარმეს არ გააჩნდა არანაირი გარანტია, რომ ამერიკელები მუდამ დააფინანსებდნენ მათ კინოსურათებს. სავალალოდ მოჩანდა ის გარემოებაც, რომ არც არავინ ზრუნავდა ამის საპირისპირო ქმედებაზე.

1970 წლისათვის კინოთეატრებში დასწრება შემცირდა, რამაც მათი ნაწილის დახურვა გამოიწვია. კინოკლასიფიკაციის ბრიტანულმა საბჭომ, ფილმებში მოხშირებული სექსისა და ძალადობის გამო, შემოიღო მაყურებელთა ასაკობრივი ზღვრის ახლებური სისტემა. გამოიცა კანონი კინოგანათლების გააქტიურებისა და ბრიტანეთის კინოინსტიტუტისათვის მცირეოდენი დაფინანსების გამოყოფის შესახებ. ეკონომიკის სტაგნაციისა და სოციალურ-კულტურული პრობლემების გავლენამ კინოზე ხელისუფლება აიძულა, გამოეკვლია მისი სიცოცხლისუნარიანობა და, შეძლების-

უხსოვარი დროიდან, ადამიანები ცდილობდნენ აეხსნათ ესა თუ ის, მათთვის გაუგებარი მოვლენები, ბოროტი ან კეთილი ძალების ჩარევით. შუა საუკუნეებში, ალქაჯებზე ნადირობამ პიკს მიაღწია: ასაკი, ცუდი გარეგნობა, ან ახალგაზრდობა და სილამაზე – ნებისმიერი მიზეზი იყო საკმარისი ალქაჯობისა და ეშმაკთან კავშირის ბრალდებისთვის. XVIII საუკუნის მიწურულს, ინკვიზიცია წითურ, ან მწვანეთვალეა ქალებს ალქაჯობის, ხოლო ტყუპების დედებს ბავშვებთან ერთად, ეშმაკთან კავშირის ბრალდებით კოცონზე საჯაროდ წვადა. ასევე ნუ დავივიწყებთ სალემისა და პენდელის ალქაჯების გახმაურებულ შემზარავ სასამართლო პროცესებს ალქაჯების წინააღმდეგ. ალქაჯები (დანიურ. Hæxan) კინემატოგრაფში დამსახურებულ ადგილს იკავებენ, რადგან ეს პერსონაჟი, გარდა იმისა, რომ მრავალფეროვან და სრულიად ურთიერთსაპირისპირო სახესა და ხასიათს გამოხატავს, მას ასევე ნისლიანი საბურველის მსგავსად მოსდევს გარკვეული პირობითი სამყარო, ტრადიციები. ალქაჯი კინოში ან, ძლიერი, იდუმალი, მანიპულატორი ქალის სახეს ატარებს, რომელსაც, სიუჟეტის მიხედვით, მრავალი თვისება, სხვადასხვა შიში და მოთხოვნილება გააჩნია, ან უსუსური, ფაქიზი არსების მსგავსი სახით გვევლინება, რომელსაც გარემოცვა იმდენი ხანი ამცირებს, უარყოფს და ცდილობს მის გამოყენებას, არაფრად ჩავდებას, რომ საბოლოოდ ის ალქაჯის თვისე-

ბებს იძენს. ამ თემატიკის ძალიან ბევრი ფილმი არსებობს, თემატიკი აქტუალობას დღემდე არ კარგავს. განსხვავებით პირვანდელი წარმოდგენებისა, ალქაჯი, როგორც პერსონაჟი, კინოში ხშირად მერყეობს უარყოფითსა და დადებითი ხასიათის მატარებელ გმირს შორის. მიუხედავად იმისა, რომ ალქაჯი და მისტიკა განუყრელია, მათ ძალიან ხშირად ვნახავთ მელოდრამაში, კომედიასა და დოკუმენტურ კინოშიც კი;

1922 წელს, დანიელმა რეჟისორმა ბენჟამინ კრისტენსონმა მხატვრულ-დოკუმენტური მისტიკური ჟანრის ფილმი გადაიღო, სახელწოდებით „ალქაჯები“. ეს თეტიკა, ფერთა გამა, კომპოზიციები და ამბები, რომლებიც რეჟისორმა ამ ფილმში შემოგვთავაზა, გარკვეული კანონზომიერებებით მეორდება ამ თემატიკის ფილმებში. ქალი პერსონაჟი, ძალიან უშნო, ბებერი, კოჟრებით, ან ძალიან ლამაზი, მიმზიდველი, მაცდური, დამოუკიდებელი, ერუდირებული, ან ისტერიული. ბრალდება, სოციუმისაგან გამორჩეულობის ნიჟადაგზე. ზებუნებრივთან, ეშმაკეულთან კავშირი - აქ აუცილებლად იკვეთება მისტიფიკაციის დეტალები: სიმბოლოები, ცხოველები, მსხვერპლშეწირვა, წარმართული რიტუალები, მთვარე, ცოცხზე ფრენა, ეროტიკული აღვირახსნილი ქმედებები. დაპირისპირებული მხარე - რელიგია, სოციუმი, ლტოლვით შეპყრობილი მამაკაცი. სასჯელი - ძალადობრივი და ალოგიკური, საზოგადოების მხრიდან. იდუმალებით მოცული ღამის ფონი. შეკრებები, რიტუალები, ბნელი საქმეები. შეთქმულებისა და ინტრიგების სტრატეგიული მოზომილი ტემპორიტი. თვითგადარჩენა - ეს პუნქტი მერყეობს ტრაგიკული ბედისწერიდან - შეუბრალებელ შურისძიებამდე. ამოსავალ წერტილად იქცა შემდგომი კინოსურათებისთვის. დროთა განმავლობაში ამ კანონზომიერებების დახმარებით ფილმებში ბევრი ახალი თემა წამოიჭრა, თინეიჯერული და რელიგიური ძალადობიდან დაწყებული (ბრაიან დე პალმას „კერი“), საკუთარი თავის შეცნობისა და ალტერ ეგოს მიღებით დასრულებული (რობერტ ეგერსის „ალქაჯი, ახალი ინგლისის ზღაპრები“). ზოგ კინოსურათში ალქაჯის დამახასიათებელი თვისებები ანტაგონისტ და პროტაგონისტ პერსონაჟებზე განაწილდა, რამაც საოცარი სიმძაფრე შესძინა კინოსურათს, საუბარი მაქვს - რომან პოლანსკის „როზმარის ჩვილზე“. ამ პერსონაჟმა სიღრმისეულად აღწერა ქალური ბუნების ყველა შრე და მტკივნეული ისტორიული ტრიგერი

მისი ყველაზე ნაზი წერტილიდან ყველაზე ცხოველურ წერტილამდე. რაც შეეხება „ვამპირს“, ის მითოლოგიური ან ფოლკლორული არსებაა. უმეტეს შემთხვევაში, განმარტების და მითების თანახმად, ის გაცოცხლებული ადამიანის ცხედარია, რომელიც ადამიანის ან ცხოველის სისხლით იკვებება. მისი ანალოგები სხვადასხვა კულტურაში არსებობს. ამბები სისხლისმსმელი მიცვალებულების შესახებ, მსოფლიოს თითქმის ყველა თქმულებასა და ლეგენდაში გვხვდება, მათ შორის ყველაზე ძველ ქვეყნებშიც.³ თუკი მისტიკური კინოს პოპულარული ქალი პერსონაჟი აღქაჯია, მაშინ გრაფი დრაკულა, როგორც წესი, ვამპირთა მეტაფორად მოიხარება კაც პერსონაჟებში. გინესის რეკორდების წიგნის მიხედვით, მსოფლიოში დრაკულას შესახებ 272 ფილმია გადაღებული, მათგან 155 კი სრულმეტრაჟიანია. თუმცა, მათი უმეტესობა დაფუძნებულია ბრემ სტოკერის პერსონაჟზე და არა ვლად ცეპეშის ისტორიულ პიროვნებაზე. ფილმები ცეპეშის შესახებ, რიცხობრივად სულ ერთ ათეულს უდრის. მათ შორის, ფილოსოფიური ალეგორიების მთელი რიგი ახასიათებს ექსპრესიონიზმის შედეგს „ნოსფერატუ, საშინელებათა სიმფონია“⁴ გერმანელი რეჟისორის, ექსპრესიონისტული მიმდინარეობის ლიდერის, ფრიდრიხ მურნაუს,⁵ 1921 წელს გადაღებული ფილმია, რომელიც ეკრანზე 1922 წელს გამოვიდა. მურნაუს სტოკერის რომანის, „დრაკულას“ ეკრანიზაცია სურდა, მაგრამ კინოსტუდიამ Prana Film რომანის გამოყენების უფლება ვერ მოიპოვა. იმისათვის, რომ მურნაუს გაეგრძელებინა ამ ფილმზე მუშაობა, მან გმირებს სახელები შეუცვალა და ასევე გადააკეთა სიუჟეტიც. მას შემდეგ, რაც ფილმი ეკრანზე გამოვიდა, სტოკერის ქვრივმა სასამართლოში იჩივლა და ფილმის ყველა ასლის განადგურება მოითხოვა.

სტუდია Prana Film, ამის გამო გაკოტრდა, ხოლო „ნოსფერატუ“ მისი პირველი და უკანასკნელი ფილმი აღმოჩნდა. ამ დროისთვის, ფილმი მთელ მსოფლიოში გავრცელდა და სწორედ ამ საავტორო კონფლიქტის მიზეზით, რამდენიმე ასლი შემორჩა. ერთ-ერთ ასლზე, ფირის სხვადასხვა ნაწილზე სხვადასხვა ფერია დატანილი

³ McNally, Raymond, In Search, 1994, p. 117.

⁴ Савочкин, Рецензия.

⁵ მურნაუ- ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი გერმანელი კინორეჟისორი უხმო პერიოდის კინოში. ის ითვლება 20-იანი წლების გერმანული კინო ექსპრესიონიზმის გამორჩეულ პერსონად.

ფილმში ატმოსფეროს გასამძაფრებლად. დღევანდელი ინფორმაციით, „ნოსფერატუს“ ერთადერთ, ორიგინალურ, სრულ ვერსიას გერმანელი ფილმების კოლექციონერი, მაქს შრეკ ჰანს გაუტენბურგი ინახავს. კრისტენსენის „ალქაჯების“ მსგავსად - მურნაუს ნოსფერატუმ ვამპირული კინო ესთეტიკურ კანონზომიერების და ახალი მარადიული თემების ძიებას ჩაუყარა საფუძველი. დღესდღეობით კანონზომიერებები, რომლებიც ყველა მისტიკური ჟანრის ფილმს, სადაც ვამპირი ფიგურირებს, აერთიანებს, შემდეგია: ვამპირის სახე - მარტოსული, ან განმარტოებისკენ მიდრეკილი, უკვდავი, სისხლისმსმელი, ფრთხილი და დაუნდობელი მტაცებელი, ფერმიხდილი, გამხდარი და დასამახსოვრებლად ცივი და მშვიერი მზერით, არისტოკრატის მკაცრი კლასიკური დეტალებით კოსტიუმში. მას ახასიათებს ჩუმი გადაადგილების და ჰიპნოზურად მშვიდი ურთიერთობის უნარი. მურნაუს ვამპირი გერმანული კინო ექსპრესიონიზმის ქმნილებაა, რაც განაპირობებს იმას, რომ მისი სახე კრებითა და ის აუცილებლად მოკლებულია ადამიანობას და სიცოცხლეს. ყოველივე ამას, ემატება მისი მანერული სიარული და ქცევა.

გარემო და ატმოსფერო - პირქუში, გოტიკური არქიტექტურის ელემენტებითა და ავისმომასწავებელი ბუნების მოვლენებით - წვიმით, ჭექა-ქუხილით და ქარით, ასევე აუცილებელი ინტერიერის ატრიბუტი კუბოთი, რომელშიც ვამპირს სძინავს. ამ რეკვიზიტის არსებობა სიკვდილის განწყობასთან გვაახლოებს. ასევე აღსანიშნავია წყვდიადის რომანტიკული ფონი, სადაც განათება უდავოდ დიდ როლს თამაშობს - მოძრავი ჩრდილებით, ცივ კედლებზე. მურნაუს ნოსფერატუს გარემო ასევე გერმანული კინო ექსპრესიონიზმის მიმდინარეობას პასუხობს გეომეტრიული ფორმების სიჭარბით ინტერიერში და კადრში გვირების განლაგების კომპოზიციური წყობით - თითქოს ტეტრაგრამების წერტილების განლაგების მსგავსად. ასევე კონტრასტული და მაყურებლის ემოციური ფონის შესაქმნელად დაგეგმილი განათებით. მოწინააღმდეგე - მსხვერპლი, მონადირე, ან საზოგადოება. მურნაუსთან მოწინააღმდეგე ჯერ ახალგაზრდა იურისტი, შემდეგ კი მისი ცოლია. საბოლოოდ, ქალი თავს სწირავს ვამპირის განადგურებას - ეს მოტივი განსაკუთრებით სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა ვამპირების გასანადგურებლად მიმართულ სიუჟეტებში. ერთიგზი და

სიყვარული - მსხვერპლის ყელზე კბენა ძლიერი ეროტიკული დეტალია, რასაც ამძაფრებს ის, რომ მსხვერპლი ყოველთვის დაჰინობნობებულ, ან ეიფორიულ მდგომარეობაში იმყოფება. ეს ძალიან ჰგავს სექსუალური პრელუდიის ინსცენირებას. სასიყვარულო ხაზი კი ყოველთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან მოვლენებს უკავშირდება, რაც მას უფრო რომანტიკულს, ტრაგიკულს და მძაფრს ხდის. მურნაუს ფილმში, ეს მოტივი ეპოქასთან შესაფერისადაა გამოყენებული. დაღლილობა, სიბრძნე, ნელი თხრობის ტემპორიტმი - განმარტოებული პერსონაჟი მოშივებული და დაღლილია მაშინ, როდესაც მის სივრცეში ჩნდება სიცოცხლით სავსე ადამიანი. ის ერთდროულად იკმაყოფილებს ორ მოთხოვნილებას: კომუნიკაციაში შედის და თან მისით იკვებება. ცოდნა, მანერები და სიბრძნე, რომელიც დაგროვილი აქვს საუკუნეების მანძილზე, მსხვერპლის დაინტრიგების და დაინტერესების საუკეთესო გზაა. სწორედ ურთიერთობის ეს ფორმა ქმნის თხრობის მდორე ტემპს. მიზანი - თემა საკმაოდ მასშტაბური და ამავდროულად ბანალურია, ვამპირებთან მიმართებაში. დიდი ხნით განმარტოებულ მონსტრს მოსწყინდება და ადამიანებთან სიახლოვე სურს, რაც მხოლოდ უბედურებას იწვევს. არის თუ არა ეს ვამპირის მიზანი?! არა, ეს უბრალოდ შედეგია, რომელსაც შიშშილი და მტაცებლური ბუნება იწვევს. არც ძალაუფლების მოპოვებაა ვამპირის მიზანი. ის უკვდავია, რაც პირდაპირ უინტერესოს ხდის ძალაუფლებისადმი მის ლტოლვას. ძირითადად, ეს ელემენტი ყველა ავტორისგან იმ რაკურსითაა მოწოდებული, რისთვისაც თავად გამოიყენებდა უკვდავებას. ეს ხდის ვამპირებზე ფილმებს განსაკუთრებით მომხიბვლელს. ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული შიში, სწორედ რომ სიკვდილია. მაყურებელს ვაშორებთ ყველა ცხოვრებისეულ რუტინულ პრობლემას და ვაყენებთ მარადისობის პირისპირ. ვთავაზობთ პერსონაჟს, რომელმაც ბევრი რამ უნდა იცოდეს და მრავალ კითხვაზე უნდა ჰქონდეს პასუხი. ეს ერთდროულად გვამშვიდებს და ბავშვურ ცნობისმოყვარეობას გვიღვიძებს. უკვდავების დასასრული - ეს მოტივი კინოში ცვალებადია. მურნაუმ შემოიტანა ახალი ტენდენცია და ვამპირი მზის სხივებით მოკლა. ეს ფანტაზია არ ახასიათებს ვამპირების განადგურების ხერხს ფოლკლორიდან, თუმცა საპატიო ადგილი დაიმკვიდრა ვამპირული თემის მისტიფიკაციაში. ასევე შევხვდებით სხვადასხვა ხერხს,

როგორებიცაა: ცეცხლის წაკიდება, თავის და კიდურების მოკვეთა, გულის განგმირვა საღბის საშუალებით, ნაკურთხი წყალი და ნიორი. ყველაზე მნიშვნელოვანი თემა, რაც ვამპირულმა კინომ წამოჭრა, უკვდავებაში სიცოცხლის აზრის ძიებაა. ამ ტენდენციამ გამოიწვია ის, რომ თხრობა უფრო და უფრო მარტივი, ფილმები კი მეტად ატმოსფერული გახდა. ეს მეტამორფოზი ყველაზე უკეთ აღიქმება ჯიმ ჯარმუშის ფილმში „მხოლოდ შეყვარებულნი გადარჩებიან“. ფილმში ცხოველური ინსტინქტური შიმშილი გააზრებულმა სელექციურმა კვებამ ჩაანაცვლა. ხოლო სამყაროზე ბატონობის ძალიან ადამიანური სურვილი - სიყვარულის შენარჩუნების და სილამაზით ტკბობის სურვილმა.

მივუბრუნდეთ კითხვას: „რატომ მოგვწონს ის რაც გვაშინებს და რატომ გვიზიდავს ის რისიც არ გვესმის, ან ვერ ვხსნით“.

ვუბრუნდებით შიშს. ადამიანის ბუნებისთვის დამახასიათებელი არაერთი ტიპის შიში ტრანსფორმირდება დროსთან მიმართებაში. ჩვენ მიჩვეულნი ვართ შიშის, როგორც უარყოფითი ემოციის აღქმას. თუმცა მოდით შევხედოთ მის დადებით მხარესაც. ფრიც რიმანმა ნაშრომში „შიშის ძირითადი ფორმები“ გამოყო შიშის მნიშვნელოვანი როლი ადამიანის ცხოვრებაში. ის წერს:

„შიში ყოველთვის ისეთ სიტუაციაში გამოვლინდება ხოლმე, რომელსაც ადამიანი საერთოდ მოუზადებელი ხვდება. განვითარების ნებისმიერი პროცესი, თუ პიროვნული სიმწიფისკენ გადადგმული ყოველი ნაბიჯი, შიშს უკავშირდება, რადგან იგი რაღაც სიახლის მაუწყებელია. შინაგანი თუ გარეგნული თვალსაზრისით, შიში ყოველთვის უცნობი და გაურკვეველი სიტუაციებისკენ გვიბიძგებს, როგორც არასოდეს შეგვხვედრია და საკუთარ თავზე არ გამოგვიცდია“.

რიმანის სიტყვებში ერთდროულად ორი მნიშვნელოვანი საკითხია წამოჭრილი. პირველი ის, რომ შიში ცნობისმოყვარეობას აღვივებს, ეს კი უბიძგებს ადამიანს, შეეგებოს მისთვის გაურკვეველსა და ამოუცნობს. ასე რომ, ნებისმიერი პერსონაჟი რეალური თუ არარეალური, კაცობრიობის ცნობისმოყვარეობამ გახადა პოპულარული. მეორე საკითხი - შიშის გადალახვა ადამიანის განვითარებისთვის აუცილებელია. სწორედ ეს არის ინტერესის მიზეზი მათ მიმართ.

ვინაიდან კინოხელოვნება არ არსებობს მაცურებლის გარეშე, რომელიც ყოველთვის ითხოვს მეტს და მეტს ავტორებისგან. გაჩნდა ჟანრული მიქსის იდეაც. ყველა ჟანრს გააჩნია ერთგული მაცურებელი, მაგრამ მათი საყვარელი ჟანრების მიქსი მისტიკურ ჟანრთან ყოველთვის ახალი და საინტერესო გამოცდილებაა. მისტიკური ჟანრი ხშირად ერევათ ფენტეზსა და ჰორორში, რადგან ხანდახან ამ ჟანრების ფორმა ჰგავს გამოგონილ სამყაროს, ან მოიცავს შემზარავ სისხლიან სცენებს. თუმცა მისტიკურ ჟანრთან ხასიათითა და თხრობის თავისებურებებით ახლო ჟანრები – დეტექტივი, ფსიქოლოგიური ტრილერი ან დრამა უფროა. დეტექტიური ჟანრის სიუჟეტის ძირითადი ელემენტი – გამოძიებაა, სიმართლის დადგენა, სამართლიანობის აღდგენა, ფსიქოლოგიური ტრილერის – ქვეცნობიერთან ან არაცნობიერთან სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა; ფსიქოლოგიურ დრამაში – კომპლექსების და წარმოუდგენელი აკვიატებული შიშების თუ გრძნობების ვიზუალური მატერიალიზება და ამ ყველაფერთან ბრძოლა. არანაირ ზებუნებრივს, ოკულტურს ან მითოლოგიურს ამ ჟანრებთან საერთო არაფერი აქვს და სწორედ ეს განასხვავებს ზემოხსენებულ ჟანრებს მისტიკურისგან. რატომ არის მისტიკური ჟანრი საინტერესო და მუდამ აქტუალური? პასუხია – შიში.

გერმანელი ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი ფრიც რიმანი⁶ თავის ფსიქოლოგიურ ნაშრომში „შიშის ძირითადი ფორმები“ წერს:

„შიში ჩვენი ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. იგი დაბადებიდან სიკვდილამდე ახალი, გარდასახული ფორმებით გასდევს ჩვენს არსებობას“.⁷

ფრიც რიმანის სიტყვებში იკითხება ძირითადი, თუ რა გრძნობა შეიძლებოდა გამხდარიყო პოპულარული ჟანრის (მისტიკა, ჰორორი, ტრილერი, დრამა) ჩამოყალიბების მიზეზი.

⁶ გერმანელი ფსიქოლოგი და ფსიქოანალიტიკოსი.

⁷ რიმანი, შიშის, გვ.13.

ბიბლიოგრაფია:

1. არუტინოვა ბ., მარწყვიშვილი ხ., დიდი წიგნი ფსიქოლოგიაზე, გამომცემლობა პალიტრა, თბ., 2020.
2. რიმაწუ ფ., შიშის ძირითადი ფორმები, გამომცემლობა, წიგნი და ერი, თბ., 2022.
3. დოლიძე ზ., მსოფლიო კინოს ისტორია, გამომცემლობა, კენტავრი, თბ., 2007.
4. ლოტტე ა., პოსტ მოდერნ ტექნოლოგიები, დემონური კინო, თბ., 2010.

ნინო ქავთარაძე,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფესორი ლელა ოჩიაური

**საბჭოთა ეპონომიკური პოლიტიკა ძველისა და
ახლის დაპირისპირების დისკურსში
(1920-1950-იანი წლების ქართული საბჭოთა კინოს მიხედვით)**

რეზიუმე

ნაშრომში განხილულია საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკა „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირების დისკურსში 1920-1950-იანი წლების ქართული საბჭოთა კინოს მაგალითზე. ის თუ როგორ განსაზღვრავდა სოციალურ-პოლიტიკური ცვლილებები და ახალი ეკონომიკური წესრიგი ფილმების პროპაგანდისტულ და იდეოლოგიურ ხაზს. 1920-იანი წლების „სახკინმრეწვის“ პროდუქციაში „ძველისა და ახლის“ დაპირისპირების დისკურსში რევოლუციამდელი ცხოვრების და ახალი საბჭოთა დროების დაპირისპირება ძირითადად მთიანი საქართველოს კონტექსტში იკვეთებოდა. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში „მცირეფილმიანობის პერიოდის“ ქართულ კინოში, გმირები ფრონტის ხაზიდან პირდაპირ კოლმეურნეობაში ინაცვლებენ. ნიკოლოზ სანიშვილის

„გაზაფხული საკენში“ (1949) ამის ნათელი გამოხატულებაა. მთავარი გმირი ბარიდან მთაში მიემგზავრება, სოციალისტური სოფლის აღმშენებლობას კი - „ბუნების დამორჩილებით“ ცდილობს.

„ბუნების დამორჩილების“ და მისი „მოთვინიერების“ ტენდენცია 1950-იანი წლების საბჭოთა კინოში ინდუსტრიალიზაციის ხაზმა ჩაანაცვლა. მშრომელი საბჭოთა მოქალაქეები მთიდან ბარში ახალი ცხოვრების დასაწყებად მიდიოდნენ. სწორედ ამ პროპაგანდისტული ხაზით შეიქმნა 1954 წელს ნიკოლოზ სანიშვილის ფილმი - „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“. საბჭოთა კინო იდეოლოგიის კლასიკური სქემა: - „ძველისა“ და „ახლის“, მთისა და ბარის (ქალაქის) მარადიული დიქტომია ფილმში მოხუცი ოსტატისა და მომავალი მეტალურგის პერსონაჟების სა-

ხითაა მოცემული. ქართველები მეტალურგიული წარსული (ხალიბები) კი ინდუსტრიული ქალაქის (რუსთავი) დაარსების დისკურსში ცოცხლდება. მთიდან ბარში მიგრაციის თემა ასახული შოთა მანაგაძის ფილმში „საბუდარელი ჭაბუკი“

(1957). 1950-იანი წლების მიწურულს ქართულ კინოში ახალი სივრცე და ახალი „პერსონაჟი“ – ქალაქი შემოდის და ფილმებში „ძველის“ და „ახლის“ დაპირისპირებისთვის სივრცე აღარ რჩება.

საკვანძო სიტყვები: საბჭოთა იდეოლოგია, ძველი და ახალი, კოლექტივიზაცია, ინდუსტრიალიზაცია

1926 წელს სერგეი ეიზენშტეინი, სტალინის მოთხოვნით, მუშაობას იწყებს ფილმზე „გენერალური ხაზი“ („ძველი და ახალი“). 1929 წელს დასრულებულ კინოსურათში, მონტაჟური კინოსა და საბჭოთა კინოავანგარდის „პატრიარქი“, ათწლეულის მაგისტრალურ იდეოლოგიურ ხაზს მიჰყვება. ცარისტული რუსეთისგან ჩაგრული გლეხის რევოლუციის შემდგომი ცნობიერება, უპირველესად, საბჭოთა სისტემის „ტექნოლოგიური მიღწევებით“ უნდა შეცვლილიყო. ეიზენშტეინი ამ ახალი ცხოვრების ხატს – რძის სეპარატორს – სოფლის მეურნეობისა და ზოგადად, გლეხობის „პროგრესის“ მეტაფორად აქცევს. „ძველისა“ და „ახლის“ ეს მკაფიო ვიზუალური რიტორიკა არა მხოლოდ რუსულ საბჭოთა კინოში იქცა დომინანტურ პარადიგმად, არამედ 1920-იანი წლების მიწურულს „სახკინმრეწვის“ არა ერთ ფილმშიც იჩენს თავს.

ახალი საბჭოთა ცხოვრების ამსახველი პროპაგანდისტული კულტურფილმების გამოჩენამდე, „ნეპის“ პერიოდის (1921-1928) კინოწარმოება კოლოსალურ მასშტაბებს აღწევდა. ეს მაჩვენებელი, ხარისხზე მეტად, ფილმების რაოდენობაზე აისახა.

1921 წლის მარტში კომუნისტური პარტიის მე-10 ყრილობაზე მიღებულმა ახალმა ეკონომიკურმა პოლიტიკამ სამხედრო კომუნიზმი სრულად ჩაანაცვლა. „კერძო საკუთრებისა და საბაზრო ურთიერთობების დანერგვით, ჯერ კიდევ სუსტი საბჭოთა ეკონომიკის აღორძინება „ნეპის“ უმთავრესი მიზანი გახდა. რევოლუციისა და სამოქალაქო ომის დამანგრეველი შედეგების გამოსწორება, უცხოური კაპიტალის მოზიდვა, თუ ფულადი რეფორმის განხორციელება, ბუნებრივია, ბოლშევიკების იდეოლოგიური პლატფორ-

მიდან გადახვევას და კაპიტალისტური ელემენტების დაშვებას გულისხმობდა“.¹

სტალინმა, 1920-იანი წლების დასაწყისშივე, განსაზღვრა პარტიისა და ბოლშევიკური იმპერიის შენებისა და განვითარების დრამატურგია. გაზეთ „პრავდაში“ გამოქვეყნებული სტატია, სახელწოდებით „პარტია ხელისუფლების აღებამდე და აღების შემდეგ“, საშინაო და საგარეო პოლიტიკის, ეკონომიკის, სოციალური წყობის სტალინისეულ „მზა ფორმულებს“ წარმოადგენდა. სწორედ აქ იკვეთება ის ტენდენციები და მიმართულებები, რომლებიც საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის შედეგად, 1920-1930 წლებში დაინერგა.

ახალი ეკონომიკური პოლიტიკის დროს, საბჭოთა კინოში ჟანრული არსენალი გაფართოვდა. ცხადია, ყველა ფილმი ცენზურისა და პროპაგანდის პრინციპების მკაცრი დაცვითა და ამ ახალი „ეკონომიკური წესრიგის“ სიმულტანური ასახვით იქმნებოდა. თუმცა „ძველისა და ახლის“ კინემატოგრაფიული ხატები ამ პერიოდის ქართულ ფილმებში ჯერ კიდევ არ გვხვდება.

„ნეპის“ დასრულებისთანავე, ბოლშევიკურმა სახელმწიფომ ძველი ცხოვრებისა და ახალი „სოციალისტური წესრიგის“ დაპირისპირების საჩვენებლად, XX საუკუნის 10-იან წლებში, გერმანიაში აღმოცენებული კინოჟანრი კულტურფილმი აითვისა, რომელიც დოკუმენტური კინოს ერთგვარი ნაირსახეობაა. საწყის ეტაპზე ახალ ჟანრს საგანმანათლებლო დატვირთვა ჰქონდა, მაგრამ მალე, ნაციონალ-სოციალისტების რეჟიმმა პოლიტიკური „ფუნქცია“ შესძინა.

1920-იანი წლების დასაწყისიდან კინო საბჭოთა სისტემის იდეოლოგიის მთავარ ინსტრუმენტად იქცა. ახალი სახელმწიფოს შენების გზა და ახალი ადამიანი სწორედ ფილმების მეშვეობით უნდა მისულიყო მაყურებლამდე. ანატოლი ლუნაჩარსკის თქმით, ლენინი განსაკუთრებულ აქცენტს დოკუმენტურ კინოჟანრებზე აკეთებდა: „თუ გექნებათ კარგი ქრონიკა, სერიოზული და საგანმანათლებლო სურათები, არაფერი დაშავდება, მაყურებლის მოსაზიდად რაიმე უსარგებლო ფილმიც რომ აჩვენოთ. რა თქმა უნდა, ცენზურა მაინც საჭიროა. კონტრრევოლუციური და უზნეო ფილმები არ უნდა დავუშვათ“.²

¹ ჯაფარიძე, საბჭოთა, 2018, გვ. 7.

² ძანძავა, კულტურფილმი, 2012.

1920-იანი წლების მიწურულს ქართული კულტურფილმები, გარემოზე დაკვირვების, ბუნების შესწავლა-ათვისების, ან/და მისი დამორჩილების ვიზუალურ იკონოგრაფიად იქცნენ. ცალკეული ავტორები, ცხადია, სრულად იზიარებდნენ საგანმანათლებლო და პროპაგანდისტულ მიზნებს. მათ ფილმებში კი, ძველისა და ახლის დაპირისპირების დისკურსში ხდებოდა ერთგვარი პრიმიტიული მეტაფორების ტირაჟირება, რომლებშიც მარადიული ანტინომიების კინემატოგრაფიულ გამოხატულებად მთა და ბარი გვევლინება. მთა - შორს დგას რევოლუციური იდეოლოგიის თუ სოციალისტური აღმშენებლობის საყოველთაო სიკეთისგან, მაშინ, როცა ბარში საბჭოთა ეკონომიკური პოლიტიკის მიღწევები ინერგება და ეს სივრცე დაუდგრომელი პროგრესის არეალია.

„სახკინმრეწვის“ ფილმებში (1928-1934 წლებში) დრომოჭმული წეს-ჩვეულებებისა და ახალი საბჭოთა დროების დაპირისპირება, ძირითადად, მთიანი საქართველოს კონტექსტში იკვეთება. მიხეილ გელოვანის სადებიუტო ნამუშევარში „ახალგაზრდობა იმარჯვებს“ (1928) მთიანი აჭარაა ნაჩვენები, „უგუზბიარაში“ (დავით რონდელი, 1930) - აფხაზეთი, „ზვავთა მხარეში“ (სიკო დოლიძე, 1931) - ფშავი, „უკანასკნელ ჯვაროსნებში“ (სიკო დოლიძე, 1934) - ხევსურეთი. ყველა ამ ავტორს ძველისა და ახლის დაპირისპირების სწორხაზოვანი რიტორიკა დრამატურგიულ, უფრო ზუსტად კი, პერსონაჟების დონეზე აქვს წარმოდგენილი.

მაყურებელზე ზემოქმედების ხერხები, უფრო ზუსტად კი, მეტოდები, კულტურფილმების შემთხვევაში განსხვავებული იყო. თუ რეჟისორების ნაწილი მარტივ დრამატურგიულ სქემებსა და პერსონაჟების აგების ჩარჩო-მოცემულობას ირჩევდა, ახალგაზრდა რეჟისორების მეორე ჯგუფი იდეოლოგიურ ხაზს უნიკალური, თავისთავადი, ავანგარდული კინოენითა და დოკუმენტური ესთეტიკით აცოცხლებდა.

მემარცხენე ფუტურისტული ჯგუფიდან (H2SO4) კინოში მისულმა მიხეილ კალატოზიშვილმა, საკუთარი ხედვის პრიზმაში (სუბიექტური კამერის ობიექტივში) „ძველისა და ახლის“ დაპირისპირებას სხვა მასშტაბი და ფორმა შესძინა. „ჯიმ შვანთე“ („მარილი სვანეთს“, 1930), ერთი შეხედვით, ზუსტად პასუხობდა „ნების“ შემდგომი საბჭოთა იდეოლოგიის დაკვეთას, მაგრამ დღევანდელი პერსპექტივიდან ცხადი ხდება, რომ რეჟისორმა „დროში შეინახა“

1920-იანი წლების სვანი ხალხის ყოფა, ავთენტური არქიტექტურა, პორტრეტები.

თუ მიხილვით კალატოზიშვილის „ჯიმ შვანთეში“ „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირების დისკურსი სვანეთში, უშგულის მაგალითზე აისახა და ფილმის „ოპტიმისტურ“ ფინალში ტრაქტორების გამოჩენით ვლინდება, ნუცა ლოლობერიძის კულტურფილმში „ბუბა“ დოკუმენტური ესთეტიკით, კამერის ობიექტივში ადგილობრივი ქალების, ბავშვების, უხუცესების შთამბეჭდავი პორტრეტები იქმნება. ფინალში კი ახალი ცხოვრების, იდეოლოგიური პროპაგანდის ვიზუალური მეტაფორა – რკინიგზა ჩნდება. ავტორი ასე გვაუწყებს რატის მოსახლეობის ძველ ყოფაზე ახალი საბჭოთა სისტემის გამარჯვებას.

1928 წელს „ნები“ დასრულებულად გამოცხადდა და საბჭოთა ეკონომიკა ხუთწლიანი გეგმების პრინციპზე გადავიდა. ამ ახალ კურსს დაექვემდებარა კონაწარმოებაც. 1930-იან წლებში გაკუთლავდა დაიწყო და კოლმეურნეობებში რეპრესიების ფონზე გაჩაღებული შრომა ადამიანების ყოფის უპირობო ალტერნატივად იქცა. „სტალინური კინომითოსის“ სოცრეალისტურ ფილმებში იქმნებოდა ერთგვარი სუროგატი რეალობა, სადაც კოლმეურნეობა „მიწიერ სამოთხედ“ იყო წარმოდგენილი.

1920-იან წლებში დაწყებული იდეოლოგიური ხაზი „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირების კონტექსტში, 1930-იან წლებშიც მთისა და ბარის სახით იყო წარმოდგენილი, მაგრამ არა ტრაქტორების, მატარებლების, ლიანდაგებისა თუ სეპარატორის, არამედ ფილმის გმირების კლასობრივ-სოციალური დაწინაურებითა და მთიდან-ბარში მიგრაციის სახით. ეს ტენდენცია საბჭოთა კინოში, დროის სულ მცირე მონაკვეთში საომარი პროპაგანდით შეიცვალა. 1940-იანი წლების მეორე ნახევარში, „მცირეფილმიანობის ხანაში“ ომის შემდგომ, გმირები ფრონტიდან ისევ კოლმეურნეობაში ინაცვლებენ.

ნიკოლოზ სანიშვილის „ბედნიერი შეხვედრა“ ამის ნათელი მაგალითია. ფრონტიდან სოფლად დაბრუნებული ახალგაზრდა მაიორი, აგრონომი – ბიძინა (თეიმურაზ ხელაშვილი) საკოლმეურნეო აღმშენებლობის პროცესში ერთვება და პარტორგანიზაციის მდივანადაც ირჩევენ. სანიშვილის მომდევნო ფილმიც „გაზაფხული საკენში“ (1949) საკოლმეურნეო ცხოვრებას ასახავს. აქაც ახალგაზ-

რდა ბრიგადირი კესოუ მირბა (ედიშერ მაღალაშვილი) მთაში მიემგზავრება. ომგამოვლილ გმირს სწამს, რომ მაღალმთიანი სოფლის აუთვისებელ მიწაზე სიმინდის უხვი მოსავლის მიღება და სოციალისტური აღმშენებლობაა შესაძლებელი. თუ ბუნებრივი მინერალების (ფოსფორიტი) საბადოს მიაკვლევს, ე.ი. ბუნებას „ჩართავს“ საკოლმეურნეო ცხოვრების დღის წესრიგში.

ბუნების დამორჩილების და მისი „მოთვინიერების“ ტენდენცია 1950-იანი წლების საბჭოთა კინოში თანდათან ინდუსტრიალიზაციის ხაზმა ჩაანაცვლა. სტალინის სიკვდილის შემდეგ საბჭოთა სახელმწიფო ახალ კურსს იღებს და კინოც სარკისებურად ირეკლავს პოლიტიკურ, ეკონომიკურ და სოციალურ ცვლილებებს. მშრომელი საბჭოთა მოქალაქეები, როგორც წესი, მთიდან ბარში მიდიოდნენ ბედის საძიებლად, ახალი ცხოვრების დასაწყებად, პროფესიის დასაუფლებლად და წინაპართა ტრადიციების გასაგრძელებლად, რომელიც ძველი ცხოვრების წესთან ერთად მთებში იკარგებოდა.

სწორედ ამ პროპაგანდისტული ხაზით შექმნა 1954 წელს, ნიკოლოზ სანიშვილმა ფილმი „ისინი ჩამოვიდნენ მთიდან“, რომელიც აკაკი ბელიაშვილის ნაწარმოების - „ვეფხია ხალიბაურის“ მიხედვით გადაიღეს და თავდაპირველად ლიბრეტოს ერთ-ერთი სახელწოდება „რუსთავის ჩირაღდნები“ იყო.

ხევსურეთის მაღალმთიან სოფელში ვეფხია ხალიბაური (ნუკრი ალხაზიშვილი) მეტალურგობას გადაწყვეტს. საბჭოთა კინოიდეოლოგიის კლასიკური სქემა: „ძველისა“ და „ახლის“, მთისა და ბარის (ქალაქის) მარადიული დიქოტომია ფილმში მოხუცი ოსტატის პაპა აპარეკასა და მომავალი მეტალურგის- ვეფხია ხალიბაურის სახითაა მოცემული. მოხუცი მთაში რჩება და მასთან ერთად კვდება ფოლადის მიღების საუკუნოვანი ტრადიცია, მაშინ, როდესაც ახალგაზრდა ქალაქში მკვიდრდება, მომავლის პროფესიის - მეტალურგობის დასაუფლებლად.

ინდუსტრიული მომავლის აღმშენებლობისთვის ისტორიული წარსულის გაცოცხლება საბჭოთა იდეოლოგიის აპრობირებული მეთოდი იყო. სწორედ ასე ჩნდება ნიკოლოზ სანიშვილის ფილმში ხალიბების თემა, მთავარი გმირის გვარის სახით. ხალიბები ქართველური წარმოშობის ტომია, რომლებიც მეტალურგის შემქმნელებად მოიაზრებიან. „ისტორიული სინამდვილე საბჭოთა სისტე-

მამ აქცია მითად, რომელმაც თავად ისტორია ჩაანაცვლა“.³

აკაკი ბელიაშვილმა გვარი - ხალიბაური გამოიგონა და კომუნისტური იდეოლოგია პერსონაჟში გააცოცხლა. „ამ პროპაგანდისტული ფილმის მიხედვით აშკარაა ნარატივი, რომელიც საქართველოს ისტორიაში ჰპოვებს გამოცახილს, კერძოდ უძველეს ხალიბურ ტომებთან. ფილმში აქცენტი ტრადიციის აღდგენა-დაბრუნებაზე კეთდება, ამჯერად „მოძმე“ რუსი ხალხის მეშვეობით“.⁴

ვეფხია ხალიბაური ურალიდან რუსთავში „მეტალურგიული გიგანტის“ საბეიმო გახსნის ცერემონიაზე ბრუნდება. ვეფხიას ემპირიულ ცოდნას, რომელიც მემკვიდრეობით, პაპა აპარეკასგან ხევსურეთში გადაეცა, ურალელი ოსტატის მეცნიერულად შესწავლილი და დამუშავებული მეტალი უპირისპირდება. მეფოლადეების ვიწრო ნაციონალური და ეთნიკური კონტექსტი გაზიარებული და საჯარო გახდა, წინაპართა ტრადიცია კი - ინდუსტრიალიზებული.

1950-იანი წლების სოცრეალისტურ ყოფაში მშრომელი ადამიანი მსოფლიო ომში მებრძოლ ჯარისკაცს უტოლდებოდა. საომარმა ჰეროიკამ ფრონტის ხაზიდან მარტენის ღუმელებთან გადაინაცვლა. უკვე ქარხანა იქცა ბრძოლის ველად, სადაც მებრძოლი ვაჟკაცები „მტერს“ - ფოლადს ამარცხებენ და იმორჩილებენ. სამუშაო პროცესის აღწერა საბრძოლო ტერმინებით მიმდინარეობდა:

„ფოლადს ადნობენ მარტენებში გმირთა სწორები,/ დულს ღუმელებში მოთუხთუხე ცეცხლის მორევი,/ და მობრიალე ალის როკვას თვალს უსწორებენ,/ მოგებული აქვთ მათთან უკვე ორთაბრძოლები“.⁵

1950-იანი წლების საბჭოთა „ინდუსტრიული რევოლუცია“ მხოლოდ რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მშენებლობით არ შემოფარგლულა. „ეს ფილმი გვიჩვენებს, თუ როგორ ივსება საქართველოს ინდუსტრიული მუშათა არმია მწირი სოფლებიდან მოსული ახალგაზრდებით, თუ რა გავლენას ახდენს ახლო-მახლო სოფლების ყოფა-ცხოვრებაზე საქართველოს ინდუსტრიის ისეთი კერა, როგორც ქუთაისის საავტომობილო ქარხანა“⁶ - ასე აფასებდა საბჭოთა პრესა შოთა მანაგაძის „საბუდარელ ჭაბუკს“ (1958)

³ გვახარია, ანარეკლები, 2020.

⁴ ქამუშაძე, ქალაქის, 2017, გვ. 48.

⁵ ჟურნალი, ცისკარი, 1982, N12. გვ. 17.

⁶ ჭოთა ხელოვნება, 1958. N1, გვ. 17.

ფილმში ნაჩვენებია, თუ როგორ ტოვებს სახლ-კარს მოუსავლიანი სოფლის მოსახლეობა და ქალაქში სახლდება. იმერეთის მაღალმთიან სოფელ საბუდარადან, ახალგაზრდა გოგिता (იმედა კახიანი) შეყვარებულის - თებროლეს (ბელა მირიანაშვილი) მოსაძებნად ქუთაისში ჩადის და ავტოქარხანაში საქმდება. გოგიტას მამა (გრიგოლ ტყაბლაძის გმირი) ძველი ცხოვრების გამოხატულებაა, შვილი კი - ახლის.

1950-იანი წლების იდეოლოგიას, ძველისა და ახლის, მთისა და ბარის ოპოზიციას რეჟისორი არა მხოლოდ პერსონაჟების (მამა-შვილი) სახით გადმოსცემს, არამედ, ვიზუალურ დონეზეც ცდილობს, ერთმანეთს დაუპირისპიროს იმერეთის მაღალმთიანი სოფლის პასტორალური ყოფა და ახალშექმნილი ქარხნის ინდუსტრიული ხედები.

ინდუსტრიული პეიზაჟები, დროის სულ მცირე მონაკვეთში, ურბანული გარემოთი იცვლება. 1950-იანი წლების მიწურულს, ახალი სივრცე და ახალი „პერსონაჟი“ - ქალაქი ჩნდება. 1920-იანი წლების ბოლოს კულტურფილმებში დამკვიდრებული „ძველისა“ და „ახლის“ დაპირისპირების რიტორიკა, 1950-იანი წლების მეორე ნახევარში „ინდუსტრიული რევოლუციითა“, და ახალგაზრდა გმირების მთიდან ბარში მიგრაციით იცვლება. „პოსტ სტალინური“ ლიბერალიზაციის ხანაში ფილმების თემატიკა, გმირები, გარემო სულ სხვაგვარი ხდება. ქართულ კინოში მოდიან 60-იანელები, რომელთა ფილმებშიც ინდუსტრიალიზაციის, კოლმეურნეობების, გმირების გეოგრაფიული და სოციალური მიგრაციის, „ძველის“ და „ახლის“ დაპირისპირებისთვის სივრცე აღარ რჩება.

ბიბლიოგრაფია:

1. გვასარია გ., გადაცემა ანარეკლები, რუსთავი - ქალაქი იდენტობის ძიებაში. <https://www.youtube.com/watch?v=LybiALK7WdQ&t=3s> (25.01.2020) (25.08.2023).
2. ჟურნალი საბჭოთა ხელოვნება, N1. 1958.
3. ჟურნალი, ცისკარი, 1982, N12.
4. საქართველოს ეროვნული არქივი, უახლესი ისტორიის ცენტრალური არქივი, ფონდი-52, ანაწერი-2, საქმე 1137-1158.
5. ქამუშაძე თ., სადისერტაციო ნაშრომი: ქალაქის სახის ფორმირება და პოსტსაბჭოთა ტრანსფორმაციები (რუსთავის მაგალითზე) 2017.
6. ძანძავა ნ., კულტურფილმი: ჟანრი და იდეოლოგია. <https://mastsavlebeli.ge/?p=2840> (25.08.2023).
7. ჯაფარიძე დ., საბჭოთა ეკონომიკა. ილიაუნის გზამკვლევი. ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი. 2018.

ქორეოლოგია

ვიქტორია ხარატიშვილი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა
და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: პროფესორი, ემერიტუსი უჩა დვალიშვილი

საგაგაფხულო კალმასობები ამინდის გამოსათხომ რიტუალში (ლაზარობა, გონჯაობა)

რეზიუმე

ქართული ეთნოგრაფიული კულტურა ოდითგანვე მდიდარი იყო სხვადასხვა რიტუალითა და სადღესასწაულო ქმედებებით. ეს რიტუალები ადამიანის გარემომცველ სამყაროსა და იმ უცნობ ძალებს ეხებოდა, რომლებიც საკრალურადაა აღიარებული და მასთან დაკავშირებულ ქცევის ნიმუშებს წარმოადგენს.

სამიწათმოქმედო სამუშაოებს მუდამ ამინდთან დაკავშირებული სირთულეები ახლდა. ადამიანი თავისი თავის ირგვლივ მომხდარ ბუნებრივ მოვლენებს ვერ ხსნიდა და მიმართავდა რიტუალის შესრულების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის ღრუბელთ ბატონს, რასაც თან სდევდა სასურველი ამინდის - დარისა თუ ავდრის გამოსათხოვი რიტუალი „ლაზარობა“, რომელიც საქართველოს თითქმის

ყველა კუთხეში სრულდებოდა და გავრცელებული იყო მისი სინონიმური სახელწოდებებით: „გონჯაობა“, „საწვიმარა გოჯა“, „ძიგოუ“, „კოტი-კოტი“, „ბოჭყუდია“ და სხვა. აღნიშნული რიტუალი გაგაფხულის ციკლის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია მასში არსებული ქორეოგრაფიული ასპექტების გამო. ლიტერატურულ ცნობებში შემონახულია ყოფას შერეული ისეთი ქმედებები, რომელიც საინტერესო ცნობას გვაწვდის, ამინდთან დაკავშირებულ საწესო რიტუალში, ცეკვის არსებობის უტყუარ ნიშნებზე.

ლაზარობა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით, ორმაგად საინტერესოა, როგორც ქორეოგრაფიული ნიმუში. მასში ერთდროულად ასახულია, სარიტუალო და სახუმარო შინაარსის ფერხულის ტიპის ცეკვა.

შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ „ლაზარობას“ თან ახლავს შერეული წყობის, მასობრივი, გრძელი ფერხული, რომელსაც ჰყავს ერთი წინამძღოლი ქალი. რიგ შემთხვევაში მას თავზე თასი ადგას, უფრო ხშირად კი ხელში ლაზარეს თოჯინა უჭირავს და წინ მიუძღვის ფერხულს. „ლაზარობის“ პირველი ნაწილი სრულდება მწკრივების სახით, ხოლო მეორე ნაწილში ფიქსირდება წრე-ფერხულს შიგნით მოთამაშით.

ამინდთან დაკავშირებულ საწესჩვეულებო ქმედებებში აღსანიშნავია, რომ რიტუალში ერთდროულად გვხვდება მუსიკა, ტექსტი და ცეკვისთვის დამახასიათებელი ელემენტები, რის გამოც თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ „ლაზარობას“ თან ახლავს ცეკვა, მახასიათებელი ყოფითი ნაბიჯებით. არ იკვეთება სვლების განსაკუთ-

რებული ფორმა, არ სრულდება ხელჩაბმით და, მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით, ფერხული უნდა სრულდებოდეს ნელი და დინჯი ნაბიჯებით.

ცალსახად გამოიკვეთა, რომ „ლაზარობას“ თან ახლავს ფერხულის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუში, რომელიც გაჯერებულია სიმბოლური და პირობითი მახასიათებლებით. საკითხის ანალიზისას შეგვიძლია განვსაზღვროთ ორი ძირითადი ასპექტი, ერთი – თეორიული და მეორე – პრაქტიკული, მასალის შესწავლის საფუძველზე შეგვიძლია ლოგიკური დასკვნების გაკეთება. დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მიმართულებისთვის საკმაოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს „ლაზარობა“, როგორც რიტუალის ერთ-ერთი სახე – საგაზაფხულო ფერხულების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნიმუში.

საკვანძო სიტყვები: ლაზარობა, ცეკვა, ფერხული, საწესჩვეულებო, ქორეოგრაფია

ქართული ეთნოგრაფიული კულტურა ოდითგანვე მდიდარი იყო სხვადასხვა რიტუალითა და სადღესასწაულო ქმედებებით. ეს რიტუალები ადამიანის გარემომცველ სამყაროსა და მასში არსებულ ამოუცნობ ძალებს ეხებოდა, რომლებიც საკრალურადაა აღიარებული. რწმენა – წარმოდგენებმა მრავალფეროვანი რიტუალების სისტემა შექმნა. ეს რიტუალები კი საკრალურთან დაკავშირებული ქცევის ნიმუშებია.

ოღითგანვე გაჩნდა რწმენა, რომ არსებობდა სხვადასხვა ღვთაება, რომელიც განაგებდა ხალხის ყოფა-ცხოვრებას, მათი კეთილგანწყობის მოსაპოვებლად, ადამიანი შესაბამის რიტუალს ასრულებდა. ამინდის ორგანიზაციის საკითხში კი ცეკვა ზეციური წყალობის მიღების საშუალებას წარმოადგენდა. სამიწათმოქმედო სამუშაოებს მუდამ ამინდთან დაკავშირებული სირთულეები ახლდა. ადამიანი თავისი თავის ირგვლივ მომხდარ ბუნებრივ მოვლენებს ვერ ხსნიდა და მიმართავდა რიტუალის შესრულების სხვადასხვა ფორმას, მათ შორის ღრუბელთ ბატონს, რასაც თან სდევდა სასურველი ამინდის - დარისა თუ ავდრის გამოსათხოვი რიტუალი „ლაზარობა“, რომელიც საქართველოს თითქმის ყველა კუთხეში სრულდებოდა და გავრცელებული იყო მისი სინონიმური სახელწოდებებით: „გონჯაობა“, „საწვიმარა გოჯა“, „ძივოუ“, „კოტი-კოტი“, „ბოტყუდია“ და სხვა.

აღნიშნული რიტუალი გაზაფხულის ციკლის ერთ-ერთი საინტერესო ნიმუშია მასში არსებული ქორეოგრაფიული ასპექტების გამო. ლიტერატურულ ცნობებში შემონახულია ყოფას შერეული ისეთი ნიმუშები, რომელიც საინტერესო ცნობას გვაწვდის, ამინდთან დაკავშირებულ საწესო ქმედებაში, ცეკვის არსებობის უტყუარ ნიშნებზე.

„ლაზარობა“ ძირითადად ძლიერი გვალვის ან ავდრის დროს იმართებოდა: „ქალიშვილები აკეთებდნენ თოჯინას, რომელსაც ლაზარეს დაარქმევდნენ, მას ქალივით მორთავდნენ და მთელს სოფელში დაატარებდნენ“.¹

„ერთ-ერთი თქმულებით ლაზარობისას ბავშვები აიღებდნენ ჯოხებს, რომელსაც ჯვარივით შეკრავდნენ, ჩააცმევდნენ ქალის ტანსაცმელს, ბამბით გაუკეთებდნენ თავსა და პირისახეს. ამ დედოფალს მოზრდილი ბავშვი დაიჭერდა ხელში და წინ წავიდოდა, დანარჩენები აიღებდნენ ჭურჭელს და კარდაკარ დაიწყებდნენ სიარულს, თან მღეროდნენ:

„ლაზარ მოდგა კარსა

ალარღარებს თავსა...

ამ წესის შემსრულებელს ყოველი მოსახლე კვერცხსა და ფქვილს აძლევდა“.²

¹ ჯავახიშვილი, ქართველი, 1951, გვ. 70.

² ვირსალაძე, ქართული, 1974, გვ. 223-224.

„დასავლეთ საქართველოში გავრცელებული იყო ამინდის კულტთან დაკავშირებული რიტუალი, რომელსაც თეთრ სამოსში გამოწყობილი გოგონები ასრულებდნენ - ისინი დაუვლიდნენ სახნავ-სათეს მიწებს და ცას წვიმის მოყვანას სთხოვდნენ, რიტუალს თან ახლდა ცეკვა „ფერხისა - მრგვალო მობმით როკვა“.³ ამ ფაქტს აღნიშნავს მაკალათიაც და ამოწმებს, რომ წვიმის მოყვანის მიზნით სახნავ-სათესში, თეთრ სამოსში გამოწყობილი გოგონების სარიტუალო დავლა სრულდებოდა.⁴

ტერმინი დავლა თავისთავად გულისხმობს საცეკვაო სვლას, წრის ჩამოვლას, რაც პირდაპირ მიანიშნებს რიტუალში საცეკვაო მოძრაობების არსებობას. აღნიშნულ ტერმინს ვხვდებით ჯემალ ნოლაიდელის მიერ აღწერილ ლაზარობაში, რომელსაც აჭარაში სოფლის გოგო-ბიჭები ასრულებდნენ:

„ისინი აკეთებდნენ თოჯინას, რომლის თანხლებითაც მთელს სოფელს ცეკვა-თამაშით დაივლიდნენ და თან ლაზარის მღეროდნენ“.⁵

„გარდა ამისა, რაჭაში გაზაფხულობით ქალთა ფერხული სრულდება, რომლის ტექსტი ასევე გვხვდება საქართველოს ცენტრალურ რაიონებში, როგორც სატრფიალო ლირიკის ნიმუში, ამ ეტაპზე ნიმუში უკვე სავსებით მოწყვეტილია საფერხულო და მით უმეტეს საწესო ხასიათს“,⁶ თუმცა მისი ტექსტი პირდაპირ მიგვანიშნებს ამინდთან დაკავშირებული რიტუალისა და საფერხულო სიმღერის ურთიერთკავშირზე.

„ქალო ანაო, ბანაო
ხელ-პირი დაგებანაო“....⁷

სადაც წვიმის გამოწვევასთან უნდა გვექონდეს საქმე.

საინტერესო ცნობას გვაწვდის კალისტრატე სამუშია კოლხეთში არსებულ ამინდის რიტუალზე სადაც სათემო ლოცვის შემდეგ იმართებოდა ცეკვა-სიმღერა-ლაზარობა, რომლის დროსაც შესაბამისი ლექსი იმღერებოდა.⁸

„ამინდის გამოთხოვის რიტუალში ფერხულის არსებობის

³ Вирсаладзе, Грузинская, 1964, Стр. 48.

⁴ მაკალათია, მესხეთ-ჯავახეთი, 1938, გვ. 104.

⁵ ნოლაიდელი, აჭარული, 1967, გვ. 61-62

⁶ იქვე, გვ. 62.

⁷ ჩიქოვანი, ქართული, 1969, გვ. 129.

⁸ სამუშია, ქართული, 1979. გვ. 13-14.

უტყუარი მაგალითია ბულგარეთში, ჟიტკოვიჩის რაიონში არსებული რიტუალი, წვიმის გამოთხოვის მიზნით ორსულ ქალს „წმინდა გიორგის ფერხულის დაბმას დაავალებდნენ, რათა თავიდან აეცილებინათ გვალვა. ეს რიტუალი ცნობილია „юрьевский хоровод“-ის სახელით“.⁹

ივანე ჯავახიშვილის ცნობით: „საქართველოს ზოგიერთ კუთხეში, ლაზარობაში, შემორჩენილია ჩვეულება, რომელშიც მომღერალთა წრიდან შეარჩევდნენ ერთ-ერთ ქალს, მას ყოველ სახლთან სიმღერისას წყალს გადაასხამდნენ ხოლმე“.¹⁰

ლაზარობის ამ კონკრეტულ რიტუალში დასტურდება, რომ ლაზარობას თან ახლავს ფერხული, რომელსაც წრის შიგნით მოთამაშე ჰყავს. რიტუალში ასევე ერთვებიან გარეშე პირებიც, რომლებიც უფრო მეტად თეატრალიზებულს ხდიან სანახაობას.

დიმიტრი ჯანელიძის ნაშრომში გვითხულობთ, რომ იმერეთში „გონჯაობას“ მართავდნენ. გონჯას 10-13 წლის ბავშვი წარმოადგენდა, რომელიც მთლად გაშიშვლებული და გამურული უნდა ყოფილიყო, ის ხელში ჯოხს დაიკავებდა და ბუქნას ასრულებდა სიმღერის თანხლებით. რიტუალის დასასრულს გონჯასთვის ფეცილი და კვერცი უნდა მიეცათ, რასაც შესაბამისი ტექსტით ითხოვდა“.¹¹

„გონჯაობის რიტუალი დღეს მთის რაჭაში თითქმის მივიწყებულია, თუმცა სოფელ „ღებში“ გვალვის წინააღმდეგ „კოხინჯობას“ იხდიდნენ. ღრუბელთ ბატონ „ელიას“ ევედრებიან დაიფაროს ყანები კოხისა და სეტყვისაგან. ამ მრისხანე ღვთაების გულის მოსაგებად თიკანს კლავენ“.¹²

ლაზარობა, ფორმისა და შინაარსის მიხედვით, ორმაგად საინტერესოა, როგორც ქორეოგრაფიული ნიმუში. მასში ერთდროულად ასახულია სარიტუალო და სახუმარო შინაარსის ფერხულის ტიპის ცეკვა. შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ „ლაზარობას“ თან ახლავს შერეული წყობის, მასობრივი, გრძელი ფერხული, რომელსაც ჰყავს ერთი წინამძღოლი ქალი. რიგ შემთხვევაში მას თავზე თასი ადგას, უფრო ხშირად კი ხელში ლაზარეს თოჯინა უჭირავს და წინ მიუძღვის ფერხისას... ლაზარობის რიტუალის პირველი ნაწილი სრულდება მწკრივების სახით, ხოლო მეორე ნაწილში

⁹ Агапкина, Мифопоэтические, 2002, Стр. 322.

¹⁰ ჯავახიშვილი, ქართველი, 1952, გვ. 72.

¹¹ ჯანელიძე, ქართული, 1948, გვ. 89-90.

¹² მაკალათია, მთის, 1930, გვ. 65.

ფიქსირდება წრე ფერხულს შიგნით მოთამაშით.

ყოველივე ამას ამტკიცებს ამინდთან დაკავშირებული რიტუალები, რომლებიც მწკრივებისა და გუნდურობის პრინციპით არის შესრულებული, თითოეულს კი წინასწარ შერჩეული ხელმძღვანელი ჰყავს. მაგალითად, აჭარაში არსებობდა რიტუალი, რომელიც ცნობილი იყო როგორც: „ოთხმოცი ათასი ქვის კენჭის შელოცვა. რიტუალში ასევე ფიქსირდება ხელმძღვანელი, პროცესის მმართველი.¹³

მწკრივად უნდა ეწყობოდნენ გვალვის დროს შესასრულებელ რიტუალშიც, რომელსაც „წვიმის მოხვნას“ ეძახდნენ. „რიტუალის შესრულებისას ქალიშვილები შეებმებოდნენ უღელში და იწყებდნენ გუთნის ტარებას მდინარეში, ისე, რომ თვითონაც და გუთანიც დასველებულიყო. წვიმის გამოწვევის მიზნით, ასევე სრულდებოდა ხატის გაბანავების წესი, რომელიც ძირითადად წმინდა „ელიას“ სახელზე იმართებოდა. მსგავსი შინაარსის რიტუალებია: კვირტობა, ხვამლობა, კოხინჯრობა, ელიაობა, წიფლობა, ელიაწითელობა და სხვა“.¹⁴

„ანალოგიურია პანკისელი ქისტი ქალების მიერ შესრულებული, რიტუალი, რომელიც ვაინახურ კულტურაშიც დასტურდება და „გოთანა-ნანას“ სახელწოდებითაა ცნობილი“.¹⁵

ამინდთან დაკავშირებულ საწესჩვეულებო ქმედებებში აღსანიშნავია, რომ რიტუალში ერთდროულად გვხვდება მუსიკა, ტექსტი და ცეკვისთვის დამახასიათებელი ელემენტები, რის გამოც თამამად შეგვიძლია აღვნიშნოთ, რომ „ლაზარობას“ თან ახლავს ცეკვა, მახასიათებელი ყოფითი ნაბიჯებით. აქ არ იკვეთება სვლების განსაკუთრებული ფორმა, არ სრულდება ხელმობმით და, მუსიკალური ნაწარმოების მიხედვით, ფერხისა უნდა სრულდებოდეს ნელი და ღინჯი ნაბიჯებით.

„მსგავსი ტიპის ფერხულს ვხვდებით აღდგომის წმინდა კვირას, განსაკუთრებით კი დიდ ხუთშაბათს, რომელსაც თრაკიელი ბულგარელები სეტყვის საწინააღმდეგოდ დააბამდნენ ხოლმე, ფერხული ლირიკული ხასიათის უნდა ყოფილიყო, ის არ სრულდებოდა ხტომებითა და მსგავსი მოძრაობებით, რათა სეტყვა არ გამოეწვი-

¹³ ნოლაიდელი, აჭარული, 1967, გვ. 61.

¹⁴ აბაკელია, ქართულ, 1991, გვ. 98.

¹⁵ ალთუნაშვილი, პანკისის, 2005, გვ. 125.

ათ, ასევე არ სრულდებოდა არანაირი სამუშაო, რომელიც დარტყმას მოითხოვდა: (ბარვა, თოხვნა, შეშის დაჩეხა, ფეხების ბაკუნნი), ყოველივე ეს გაიგივებული იყო სეტყვის მიწაზე დაცემასთან¹⁶.

ტუგანოვის ცნობით, ოსეთში ამინდის რიტუალს მხოლოდ ქალები ასრულებდნენ, რიტუალის დასასრულს ცეკვავდნენ „УТБИТБИ КАФТ“ – ქალთა ცეკვას. საყურადღებოა, რომ აღნიშნული ცეკვა მკვეთრად განსხვავდებოდა ჩვეული ცეკვებისგან, ისინი წრეს ატრიალებდნენ „ხონგა ქავთის“ მსგავსად და ასრულებდნენ „მილგა ქავთის“ მოძრაობებს, წრის შიგნით რამდენიმე მოცეკვავე სხარტი, მეომრული ილეთთა ნაერთებითა და ცერებზე ცეკვით ასრულებდა სარიტუალო ცეკვას.¹⁷

ვერა ბარდაველიძის ცნობით, ჩერქეზები წვიმის გამოსაწვევად „ხაცეგუაშეს“ წეს-ჩვეულებას მიმართავდნენ. „ხაცეგუაშე“ თიხის კნენინა იყო. რომლის გარშემოც რიტუალის დასასრულს წრეს შეკრავდნენ და წრის შიგნით ცეკვავდნენ, შემდეგ კი მის გარშემო ლეკურს დაუვლიდნენ. პირველი ქალიშვილები იცეკვებდნენ, შემდეგ გათხოვილი ქალები, ბოლოს კი მოხუცები. ამ წესის დაცვა სავალდებულო პირობა იყო ამინდის გამოსაწვევ რიტუალში.¹⁸

წვიმის, ელვისა და ჭექა-ქუხილის ღვთაებათა შორისაა „ელია“ – ღვთაება განსაკუთრებულ ადგილს იკავებდა. მასთან დაკავშირებულმა წეს-ჩვეულებებმა გარკვეულწილად შეუწყო ხელი რიტუალ „ლაზარეს“ სახელწოდების წარმოშობას. ამ ტერმინის ეტიმოლოგიური კვლევისას გამოიკვეთა, რომ „ელია“ ბერძნულ სახელ „ელიაზარისგან“ მომდინარეობს. სახელის ფუძისა და მწარმოებლის გაყოფით ტერმინის სრული დატვირთვა მივიღეთ: „ელია“-„ზარი“ – ელია ცნობილია, როგორც ღრუბელთ ბატონი, წვიმისა და ავდრის მბრძანებელი, ზარი – კი რაიმე შემადრწუნებელს უნდა ნიშნავდეს, მაგალითად: თავ-ზარი, გლოვის-ზარი და სხვა. შესაბამისად, ელიაზარი უნდა აღნიშნავდეს ელიას მიერ მოვლენილ ძლიერ, შემზარავ ჭექა-ქუხილსა და ავდარს, რაც ძირითადად გაზაფხულის სეზონისთვისაა დამახასიათებელი.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ ელიაზარი და ბიბლიური ლაზარე, რომელსაც უკავშირდება მკვდრეთით აღდგომის პირველი

¹⁶ Агапкина, Мифопоэтические, 2002, Стр. 335.

¹⁷ Туганов Осетинские, 1988, Стр. 13-14.

¹⁸ ბარდაველიძე, გონჯაობა, 20136 გვ. 27-28.

სასწაული და რომელიც მოიხსენიება ქრისტეს საყვარელ მეგობრად, შესაძლოა ერთსა და იმავე ადამიანს განასახიერებდეს. ამ მოსაზრებას ამყარებს სოფელ ბარალეთში ჩაწერილი თქმულება იესო ქრისტეს, ელია წინასწარმეტყველისა და წმინდა გიორგის შესახებ, რომელშიც ელია, ლაზარეს მსგავსად, ქრისტეს მეგობრად არის მოხსენიებული. „თუ ელია ღრუბელთ ბატონი და ბიბლიური ლაზარე ერთი და იგივე პიროვნებაა, მაშინ უდავოა, რომ გაზაფხულის ციკლთან დაკავშირებული ლაზარეს რიტუალი პირდაპირ უკავშირდება მის მკვდრეთით აღდგომას, როგორც გაზაფხულის გამოღვიძების, ზამთრის შემდგომ ბუნების მკვდრეთით აღდგომის ერთ-ერთი სიმბოლო“.

ზემოთ ჩამოთვლილი რიტუალების განხილვისას აღმოჩნდა, რომ ცრუმორწმუნეობასთან ერთად ოდიტგანვე დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა პირობითობასა და სიმბოლოურობას ხალხის ყოფა-ცხოვრებაში. თოჯინა ლაზარე სწორედ რომ სიმბოლოური გამოსახულებია ამინდის ღვთაებისა, მისი არსებითი სახით წარმოჩენა და კონტაქტი ღვთაების განმსახიერებელ თოჯინასთან, ამყარებს რწმენას წარმართი ადამიანის ცხოვრებაში. დაკვირვების შედეგად აღმოჩნდა, რომ ამინდთან დაკავშირებული რიტუალები მრავალი სიმბოლოური ნიშნისაგან შედგება. მათი საკრალური მნიშვნელობა სიმბოლოების მეშვეობით გამოიხატება. საკითხზე მუშაობისას მკაფიოდ გამოიკვეთა რამდენიმე დომინანტი ნიშანი, მათ შორის ფერისა და ფორმის სიმბოლოური დანიშნულება, რომელიც მჭიდროდაა დაკავშირებული რიტუალის მსვლელობასთან.

ფორმის მიხედვით გამოიყოფა: წრე, კვერცხი, ყველი, კენჭი, თასი, კალათი, მონაწილეთა წრიული განლაგება და სხვა. ფერის მიხედვით, დომინირებს თეთრი: კვერცხი, ყველი, კარაქი და ფეხილი. ასევე მნიშვნელოვანია თეთრი ფერის სამოსი, რომელიც რიტუალის მსვლელობისას აქტიურად გამოიყენება. მოგეხსენებათ, თეთრი ფერი ეს არის სიწმინდის, სინაზის, სიკეთისა და კეთილდღეობის სიმბოლო, სწორედ ასეთ წმინდა ადამიანს ან ქალწულ გოგონას შეეძლო ამინდთან დაკავშირებული რიტუალის ჩატარება. რაც შეეხება წრის სიმბოლოს, ეს არის ჰარმონიულობის, სრულყოფისა და ერთიანობის სიმბოლო, ეს არის ერთ-ერთი უნივერსალური გეომეტრიული სიმბოლო, რომელიც ასტროლოგიაში განასახიერებს მზის სიმბოლოს, შესაბამისად, შეიძლება ვიფიქ-

რომ, რომ ღრუბელთ ბატონთან ერთად ხალხი მზესაც ევედრებოდა ამოსვლას (რასაც დარი მოსდევს) ან ჩასვლას (რასაც ავდარი მოსდევს).

არსებული მასალების საფუძველზე გაჩნდა მოსაზრება, რომ ლაზარობისა და გონჯაობის რიტუალი შინაარსობრივი თვალსაზრისით შეიძლება ისევე განსხვავდებოდეს ერთმანეთისგან, როგორც მათი სახელწოდებები. ლაზარობა ეს უნდა იყოს დიონისეს კულტთან დაკავშირებული, მოკვდავთა და მკვდრეთით აღმდგართა საწესრევულებო რიტუალი, აქედან გამომდინარე, დიონისეს მკვდრეთით აღდგომა შესაძლოა დავეუკავშიროთ ლაზარეს მკვდრეთით აღდგომას.

ლაზარობის რიტუალის თითქმის განუყოფელი ნაწილია „თხის ან თიკნის შეწირვა“, რაც ასევე მჭიდროდ უკავშირდება დიონისეს კულტს და შესაძლოა თავად დიონისეს განმასახიერებელი სიმბოლოც იყოს. ცნობების თანახმად, დიონისე, მკვდრეთით აღდგომის შემდეგ „პერსეფონემ“ (მკვდრების სამეფოს ქალღმერთი) თიკნად გადააქცია, რათა დაეცვა იგი მოსალოდნელი საფრთხისგან.¹⁹ აქედან გამომდინარე, ძველ საბერძნეთში დიონისეს კულტისადმი მიძღვნილ რიტუალებს ყოველთვის თან ახლდა დასკვნითი ნაწილი – „თხის ცეცხლში დაწვა“. პარალელს თუ გავავლებთ, ვნახავთ, რომ ლაზარობის დროს „თოჯინა ლაზარეს“ წვავენ ან თიკანს სწირავდნენ მსხვერპლად.

ამ მაგალითებზე დაყრდნობით შეიძლება ითქვას, რომ ლაზარობა – ეს უნდა იყოს მოკვდავთა და მკვდრეთით აღმდგართა ღვთაებისადმი მიძღვნილი რიტუალი, რომელიც ზამთრიდან გაზაფხულის გამოღვიძებას, გაზაფხულის მკვდრეთით აღდგომას უნდა უკავშირდებოდეს და რალა თქმა უნდა, გაზაფხულზე უნდა შესრულებულიყო. „გონჯაობა“, სავარაუდოდ, მთელი ამ ციკლის მეორე საფეხურს, „ლაზარობის“ ლოგიკურ გაგრძელებას უნდა წარმოადგენდეს, რომელიც ნაყოფიერების კულტთან მჭიდროდაა დაკავშირებული, მის შესასრულებლად კი საუკეთესო დრო ზაფხული უნდა ყოფილიყო.

იმერეთის ეთნოყოფაში აღწერილი „გონჯაობა“ გვაძლევს საფუძველს ვიფიქროთ, რომ რიტუალი ნაყოფიერების კულტთან არის დაკავშირებული. აღნიშნული პროცესია მოგვაგონებს სვა-

¹⁹ ტონია, მითოლოგიური, 2003. გვ. 23.

ნეთში გავრცელებულ მელია-ტულეფიას რიტუალს. გონჯაობის რიტუალს ყოველთვის შეგონჯილები ანუ გამურულები ასრულებდნენ, რაც ასევე ნაყოფიერების ერთ-ერთი სიმბოლოა.

ნაშრომის საფუძველზე ნათელი გახდა ადამიანის დამოკიდებულება რწმენასთან, რასაც დიდი გავლენა ჰქონდა მათი ყოველდღიური ცხოვრების ავ-კარგიანობაზე. ჯერ კიდევ პალეოლითის ხანაში, როდესაც პირველყოფილმა ადამიანებმა კომუნიკაციის არავერბალურ ხერხებს მიმართეს, გაჩნდა საცეკვაო მოძრაობები და ფერხულისთვის დამახასიათებელი სხვადასხვა ფორმა, რომელიც სიმბოლური განსახიერება იყო სხვადასხვა ყოფითი პროცესისა. დროთა განმავლობაში, სხვა საკითხებთან ერთად, თავი იჩინა მიწათმოქმედებასთან დაკავშირებულმა პრობლემებმა, რის გამოც რიტუალებმა და მასში შემავალმა მოქმედებებმა შეიძინა უტილიტარული დანიშნულება და მთლიანად თავის თავზე აიღო კაცობრიობის ბედის წარმართვის საკითხები. დროის ცვლილებასთან ერთად გარკვეულმა რიტუალებმა დაკარგა ძირითადი დანიშნულება და იმავდროულად მიიღო ესთეტიკური სიამოვნების სახე. გაჩნდა ვერბალური ურთიერთობები და ის, რაც ადრე კომუნიკაციის ერთადერთ საშუალებას წარმოადგენდა, დღეს საცეკვაო მოძრაობებად გვევლინება. მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ საწესჩვეულებო რიტუალები ერთდროულად ითავსებდა უტილიტარულ და ესთეტიკურ დანიშნულებას.

ცალსახად გამოიკვეთა, რომ „ლაზარობას“ თან ახლავს ფერხულის ერთ-ერთ საინტერესო ნიმუში, რომელიც გაჯერებულია სიმბოლური და პირობითი მახასიათებლებით. საკითხის ანალიზისას შეგვიძლია განვსაზღვროთ ორი ძირითადი ასპექტი, ერთი - თეორიული და მეორე - პრაქტიკული, მასალის შესწავლის საფუძველზე, შეგვიძლია ლოგიკური დასკვნების გაკეთება. დასასრულს უნდა აღინიშნოს, რომ ორივე მიმართულებისთვის საკმაოდ საინტერესო მასალას წარმოადგენს „ლაზარობა“, როგორც რიტუალის ერთ-ერთი სახე - საგაზაფხულო ფერხულების ერთ-ერთ მნიშვნელოვანი ნიმუში.

ბიბლიოგრაფია:

1. აბაკელია ნ., აღავერდაშვილი ქ., ლამბაშიძე ნ., ქართულ დღეობათა კალენდარი (სტ. N4) თბ., 1991.
2. ალთუნაშვილი მ., (პანკისის ხეობა: ისტორიულ-ეთნოგრაფიული და გეოგრაფიული აღწერა) ქართ.-კავკ. ურთიერთ. ისტ. ს/კ ინ-ტი თბ., 2005.
3. ბარდაველიძე ვ., გონჯობა II ლაზარობა. ძველი ქართული წეს-ჩვეულება. თბ., 2013.
4. ვირსალაძე ე., ქართული ფოლკლორი, მეცნიერება 1974, ტომი IV, გვ. 223-224.
5. მაკალათია ს., მთის რაჭა.სახელგამი თბ., 1930.
6. ნოლაიდელი ჯ., აჭარული ზეპირსიტყვიერება და ეთნოგრაფიის მასალები. მეცნიერება 1967, გვ. 61.
7. სონღულაშვილი მალხაზ., საბავშვო ბიბლია, ბიბლიის თარგმნის ინსტიტუტი. სტოკჰოლმი, 1998. გვ 192-197.
8. ტონია ტ., კიკნაძე ზ., მითოლოგიური ენციკლოპედია ყმაწვილთათვის. ტომი II, თბ., 2003 გვ. 23.
9. ჩიქოვანი მ., ქართული ფოლკლორი. მასალები და გამოკვლევები. ტომი III., თბ., 1969, გვ 129.
10. ჯანელიძე დ., ქართული თეატრის ხალხური საწყისები, მასალები ქართული თეატრის ისტორიისათვის. 1948, გვ. 89-90.
11. ჯავახიშვილი ი., ქართველი ერის ისტორია თბ., 1951, წიგნი I. გვ 70.
12. Агапкина Т., Мифопоэтические основы славянского народного календаря. Весенне-летний цикл., 2002, Стр. 322.
13. Вирсаладзе Е., Грузинская весенняя хороводная поэзия., 1964, Стр . 48.

მედიის კვლევები

მარიამ ბაზალი,

საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი ნანა დოლიძე

ისპანური სენი ქართულ კრისაში

რეზიუმე

კორონავირუსის პანდემიამ მსოფლიო ახალი გამოწვევების წინაშე დააყენა. შეიცვალა ჩვენი ჩვეული ყოფა-ცხოვრების წესი. ინფორმაციამ, მით უფრო კი მისმა დროულად მიწოდებაში, განსაკუთრებული როლი შეიძინა ადამიანების ცხოვრებაში.

არავინ ელოდა, რომ 21-ე საუკუნეში, ტექნიკური თუ სამედიცინო პროგრესის პირობებში, შესაძლებელი იყო უხილავ მტერს სამყარო გაეჩერებინა. პანდემიამ გვაჩვენა, თუ როგორი პირობითია ძალაუფლების ვერტიკალი, რა მყიფე შეიძლება აღმოჩნდეს ფუნდამენტი, რომელზეც ადამიანის ყოველდღიური ცხოვრება არის დაშენებული. ჩვენში არსებული შფოთვის ერთ-ერთი მიზეზი უსუსურობის განცდა იყო, მასთან გამკლავების გზებს კი, ყველა ინდივიდუალურად ვირჩევდით. გარდა უმთავრესი მიზნისა, რაც ფიზიკურ გადარჩენას გულისხმობს, საყურადღებოა

ის მენტალური კრიზისიც, რომელიც შექმნილმა ვითარებამ გამოიწვია და კვალი დაგვამჩნია.

ხშირად გვსმენია და თავადაც ალბათ არაერთხელ გვითქვამს, რომ ისტორია მეორდება. არსებული ფრთიანი ფრაზა არაერთი ფაქტობრივი მოცემულობითაც მყარდება. კაცობრიობის ისტორიაში მომხდარი სხვადასხვა მოვლენა ციკლურია და გარკვეული პერიოდულობით იჩენს თავს. საუკუნე აცილებს 1918 წლის ესპანური გრიპის და 2019 წელს COVID-19-ის ეპიდემიით გამოწვეულ მოვლენებს. სამყაროშიც ბევრი რამ შეიცვალა და მედიცინაშიც, თუმცა მაშინდელ მედიას თუ გადაგავლებთ თვალს, ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული მასალები უჩვენებს, რომ პანდემიის საინფორმაციო მართვაში დიდად არაფერი შეცვლილა.

1918 წელს ევროპაში გლობალური პანდემია დაიწყო. გრი-

პის ვირუსი ესპანეთში, საფრანგეთში, დიდ ბრიტანეთსა და იტალიაში გავრცელდა. ვირუსის გავრცელების პარალელურად, ევროპაში პირველი მსოფლიო ომი მიმდინარეობდა. ვირუსით 550 მილიონამდე ადამიანი დაინფიცირდა, რაც მსოფლიო მოსახლეობის მესამედს შეადგენდა, და 50 მილიონზე მეტი ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

მკვლევრები, ესპანური გრიპის ვირუსის აღწერისას ხშირად პარალელს კოვიდ-19-ის პანდემიასთან ავლებენ. ისტორიკოსების თქმით, პანდემიას უმძიმესი შედეგები ჰქონდა, მსოფლიო კი მის დავიწყებას ცდილობდა. ამ მოვლენას მე-20 საუკუნის „მივიწყებულ პანდემიასაც“ უწოდებენ.

კვლევაში წარმოდგენილი იქნება, როგორ ასახავდა ქარ-

თული პრესა 1918-1920 წლებში „ესპანური გრიპის“ გავრცელებით შექმნილ მდგომარეობას. დაავადების აღწერის გაცნობისას და აგრეთვე, იმ რეკომენდაციების გათვალისწინებით, რომლებიც გასულ საუკუნეში ვირუსთან საბრძოლველად იყო გაცემული, შესაძლებელია კორონავირუსთან დაკავშირებული არაერთი მსგავსება დავინახოთ.

ყველაფერი, რაც კაცობრიობის არსებობის განმავლობაში ჩვენს თავს ხდება, თუნდაც თავისი ტრაგიკული შედეგებით, არის ერთგვარი შთავონება ცვლილებებისთვის. საინტერესოა გავიზიაროთ წარსულის გამოცდილება და აწმყოში ვეცადოთ გავაანალიზოთ, რა პროცესების მონაწილე ვართ და რა გამოცდილებას გადავცემთ მომავალ თაობებს.

საკვანძო სიტყვები: ესპანური სენი, ესპანური გრიპი, ისპანკა, ქართული პრესა ეპიდემიის შესახებ, ეპიდემია, კორონავირუსი, COVID-19

რატომ ვიცნობთ მომაკვდინებელ სენს, „ესპანური გრიპის“ სახელწოდებით?¹

ბევრი თვლიდა, რომ ეს ავადმყოფობა ესპანეთში გაჩნდა, სინამდვილეში ეს სახელწოდება მედიას უკავშირდება. 1918 წელს ევროპასა და ამერიკაში კაცობრიობის ყველზე მასშტაბური კატასტროფის შესახებ მედიის საშუალებით ცნობების გავრცელება აიკრ-

¹ History, Evan, why was.

ძალა. ესპანეთი ერთადერთი ქვეყანა იყო, სადაც მედიას ცენზურა არ შეეხო და პირველმა გამოაქვეყნა ცნობები პანდემიის შესახებ.

მეოცე საუკუნის პირველ ნახევარში, ესპანეთი ნეიტრალური ქვეყანა იყო. ის არ გაწვევრიანებულია ევროპის არცერთ სამხედრო-პოლიტიკურ გაერთიანებაში. ესპანეთს არ მიუღია მონაწილეობა არც პირველ და არც მეორე მსოფლიო ომში.²

ომის დროს ცენზურა გრიპის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას კრძალავდა, რათა თავიდან აეცილებინა ომში მონაწილე ჯარისკაცებზე ნეგატიური გავლენა. ესპანურ მედიას კი ავადმყოფობის შესახებ ახალი ამბები თავისუფლად შეეძლო გაევერცელებინა, რასაც ესპანეთის მეფის ალფონსო XIII-ის დაინფიცირებამაც შეუწყო ხელი, ის ერთ-ერთი პირველი დაავადდა აღნიშნული ვირუსით.

ესპანური გრიპის პირველი შემთხვევა კანზასში 1918 წლის 11 მარტს სამხედრო ბაზაზე დაფიქსირდა. თუმცა, მეცნიერები ჯერ კიდევ არ არიან შეთანხმებულები, თუ სად გაჩნდა ვირუსი. მისი წარმოშობის პოტენციურ სამშობლოდ საფრანგეთს, ჩინეთს, დიდ ბრიტანეთსა და აშშ-ს განიხილავენ.

რაც შეეხება ამერიკას, დაავადების გავრცელების პრევენციის მიზნით, ზოგიერთმა შტატმა კარანტინი გამოაცხადა. რამდენიმე შტატში პირბადეების ტარება სავალდებულო გახდა. დაიხურა ყველა გასართობი ადგილი. იმავე წლის ოქტომბერში სან-ფრანცისკოში მიღებული კანონის თანახმად, იმ დღეს, როდესაც შტატის მასშტაბით ინფექციებმა 50 000-ს გადააჭარბა, ყველა ვინც არ ატარებდა სახის საფარს, უნდა დასჯილიყო, ფულადი ჯარიმით, 5 დოლარიდან 100 დოლარამდე მერყეობდა, ასევე სასჯელი ითვალისწინებდა 10-დღიან პატიმრობასაც.

ოფიციალური რეკომენდაცია დაუჩინებთ მოითხოვდა: „ატარეთ ნილაბი და გადაარჩინეთ თქვენი სიცოცხლე!“, „ნილაბი 99 პროცენტით იცავს ინფლუენციისგან!“ აღნიშნულ მოწოდებას მხარს უჭერდნენ სარეკლამო კამპანიებიც: „დაიცავით კანონები და ატარეთ დოლბანდი!“.

კამპანიაში მონაწილე ადამიანები ამბობდნენ: „ატარე ნილაბი ან წადი ციხეში!“ როგორც ჩანს, აღნიშნული რეკომენდაციები და სასჯელები მუშაობდა სან-ფრანცისკოში, შემდგომში კი ეს პრაქტიკა გაიზიარეს ამერიკის სხვა შტატებმა. მოწოდებების პარალელ-

² მოდებაძე, ესპანეთის, 2012, გვ. 8.

ლურად შეიქმნა ნიღბების კრიზისი და ამერიკაში ეკლესიებმა და სათემო ჯგუფებმა ნიღბები მასობრივად დაამზადეს.

საინტერესოა, რა ვითარება იყო ვირუსის გავრცელების კუთხით საქართველოში. აღნიშნულის შესახებ ინფორმაციას 1918-1920 წლების პერიოდული გამოცემებიდან ვეცნობით.

ყოველკვირეული გაზეთის „კლდე“ 1918 წლის მე-12 ნომერში ვკითხულობთ, რომ საქართველოში მძიმე სოციალური პირობები იყო, საშინაო თუ საგარეო ომებმა ქვეყანაზე მძიმე ეკონომიკური გავლენა მოახდინა და აღნიშნული მოცემულობა განსაკუთრებულად დაამძიმა ესპანური გრიპის გავრცელებამ:

„ხალხს მოედო ახალი სენი „ესპანიურ სენათ“ წოდებული და მუსრს ავლებს. ძნელია ანგარიშის მიცემა, თუ დღიურად რამდენი იხოცება. ეს სენი ციების სახით ჰკიდებს ხელს და შემდეგ მოუვლელობის გამო სახადად თუ ფილტვების ანთებათ იქცევა და ბევრ მსხვერპლს იწირავს. ამ სენმა ქალაქებში დაიბუდა პირველად და იშვიათი იყო ასეთი ოჯახი, სადაც ოთხი თუ ხუთი ავადმყოფი არ წოლილიყო, ხშირად კი მთელი ოჯახიც და იქამდე მიაღწია, რომ მომვლელს ვეღარ შოულობენ“.³

ავტორის ცნობით, დაავადების გავრცელებას ხელს უწყობს არა მხოლოდ სენის სირთულე, არამედ ის, რომ სოფლებში არ ექცევათ ყურადღება ადამიანებს და ამ ყოველივეში ხაზს უსვამს მთავრობის პასუხისმგებლობას.

„ნურავის ეგონება, რომ ამდენი მსხვერპლი, რასაც ეს სენი იწირავს, მარტო სენის სირთულესა და სიმკაცრეზე იყოს დამოკიდებული. არა, ამ შემთხვევაში მნიშვნელობა ეძლევა ავადმყოფის მოვლას, რაც სრულებით აკლია ჩვენს სოფლებს. საჭიროება მოითხოვდა მთავრობას მიექცია ყურადღება ამ გარემოებისთვის და რადგან ადგილობრივი ექიმები თავისი კეთილი სურვილით არ ეწევიან დახმარებას სოფლებს, ებრძანებინა მათთვის, ვინც ამაში ვალდებულია. ფიცხელი ზომები მიიღონ სანამ ჯერ კიდევ არ დაგვიანებულა და სენს ჩვენი სოფლები არ გაუპარტახებია“.⁴

1919 წლის „სახალხო კალენდარში“ ვკითხულობთ: „როგორც ევროპაში, ისე საქართველოს ქალაქებსა და სოფლებში მოდებულია სენი, რომელმაც თავისი სწრაფი გავრცელებით, ყველას თავ-

³ კლდე, #12. 1918. გვ. 4.

⁴ იქვე, გვ. 4.

ზარი დასცა“.⁵

ცნობილი ხდება, რომ ეპიდვითარებასთან გასამკლავებლად შედგა „ექიმთა თათბირი“. მათი დასკვნის მიხედვით, ეს არ იყო რამე ახალი სენი, არამედ გავრცელებული ავადმყოფობა არის ცნობილი ინფლუენცია, რომელსაც მიღებული ჰქონდა ეპიდემიური ხასიათი.

ასევე ვეცნობით, თუ რა რეკომენდაციებს გაცემდნენ მედიკოსები გასულ საუკუნეში, აღნიშნულ სენთან დაკავშირებით:

- უნდა ვერიდოთ ოჯახებში სიარულს, სადაც ინფლუენციით ავადმყოფი იმყოფება.
- როდესაც ავადმყოფთან გვიხდება ყოფნა, მისი სენი ჩვენც გადმოგვედება თუ თვითონ ავადმყოფს ან მის ტანისამოსს შევხებით და მაშინვე არ გავიწმინდეთ ხელები ისეთი სითხით, რომელიც სპობს ინფლუენციის ბაქტერიას, ან არ დავიბანეთ ხელები საპნით.
- საჭიროა თავი შევიკავოთ და თეატრებსა და კინემატოგრაფებში არ ვიაროთ, ვინაიდან ამ ადგილებში ბევრი ხალხი გროვდება და რასაკვირველია მათში ინფლუენციით ავადმყოფებიც იქნებიან.
- მორჩენის შემდეგ, როდესაც სიცხე დაიწევს, 3-4 დღეზე ადრე გარეთ გამოსვლა არ შეიძლება.⁶

ესპანური გრიპით გამოწვეულ ვითარებაზე ვკითხულობთ გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ 1918 წლის ნომერში:

„საქართველოში ინფლუენცია ქალაქად და სოფლად სასტიკად არის მოდებული. ოჯახი არ არის, რომ ამ ხანად ავადმყოფი არ იწვევს, ან არ ჰყოლოდეს ახლო წარსულში. სიკვდილის პროცენტიც შესამჩნევად დიდია. სიღნაღის სამაზრო ერობის გამგეობის თავმჯდომარემ გადმოგვცა, რომ ქიზიყში ორი კვირის განმავლობაში 240 კაცი მომკვდარა“.⁷

აღსანიშნავია, რომ კვლავ ხაზგასმულია ექიმისა და მედიკამენტების პრობლემა, არასათანადო ყურადღება და დამოკიდებულება სოფლებში არსებული ვითარების მიმართ.

„სოფელს არა ჰყავს ექიმი, არა აქვს წამალი და არ მოეპოვება თითქმის არავითარი დახმარება. პროვინციაში ძალიან ცოტა

⁵ სახალხო, 1919, გვ. 118.

⁶ იქვე, გვ. 120.

⁷ საქართველოს, 1987. გვ. 3.

ექიმი. ყველას ქალაქ ადგილას მოუყვრია თავი. პროვინციის აფთიაქში ქინაქინა და სასაქმებელი ზეთიც კი არ მოიპოვება. ქალაქ ტფილისში კი მომმარაგებელ კომიტეტის საწყობებში წამალი და სხვა საჭირო საქონელი არის, მაგრამ იქიდან ცოტა რამის გამოტანა რომ მოინდომოთ ბევრი კანცელარიის ნახვა დაგჭირდებათ და ბოლოს მაინც ვერას მიიღებთ“.⁸

1920 წლის „სახალხო საქმეში“ გამოქვეყნებულ წერილში ვკითხულობთ, რომ მოსახლეობა დახმარებას ითხოვს. „ისპანკამ“ იმსხვერპლა მოსახლეობის დიდი ნაწილი: „ეს როგორც მოსალოდნელი იყო მცხოვრებთა უღარიბეს ნაწილს დააწვა. ამ უბედურებას აორკეცებს ის, რომ მთელს ხუთ სოფელში არც საავადმყოფო, არც ექიმ-ფელშერი არ მოიპოვება. ჭირში მყოფი მოძმეები თავის მიერ არჩეული სამაზრო ერობისგან მოელის და კიდევაც მოსთხოვს შველა-დახმარებას. ერობა ვალდებულია ყურად იღოს ჩვენი ხმა დაეხმაროს უპატრონოდ მიტოვებულს კუთხეს“.

ესპანურ გრიბთან დაკავშირებით პოეტური ნამუშევარი გვხვდება იუმორისტულ ჟურნალში „ემშაკის მათრახი“. როგორც ჩანს, უმძიმეს და ტრაგიკულ ვითარებაშიც კი, დამცინავი დამოკიდებულება სიკვდილის მიმართ, საზოგადოებისთვის ერთგვარი თერაპიაა.

„შიმშილ-სიცივე, ციებ-ცხელება,
სურდო, სახადი, ინფლუნცია,
ფილტვის ანთება დღეს შეკავშირდნენ
და შექმნეს ერთი კოალიცია.
მყის თავმჯომარედ დასვეს ისპანკა,
გადასცეს მთელი ძალაუფლება,
და რაც გვეწვია, მკაცრობს, მბრძანებლობს,
დაიწყოს ხალხის მუსგრა, აკლება,
დღეს ანგარიში არ აქვს მის მსხვერპლსა,
მრავლად გაწყვიტა ქალი, კაცია,
ვინ იცის, რამდენ სასარგებლო პირთ
უდროოდ უყო ლიკვიდაცია;
გოდებს ქალაქი, მოსთქვამს სოფელი,
გაქრა ქეიფი, გაქრა ლხინები,
სადაც არ წახვალ, გლოვა, ზარია,
სჩანს კუბოები, ბალდახინები.
დღეს აფთიაქებს და მეკუბოებს,

⁸ საქართველოს, 1987. გვ. 3.

ულიმის ბედი, დაუდგა დარი,
ველარ აუდის საქმეს ვერც ერთი
და ჩაიმსაქნეს ოხრად ქანქარი“.⁹

1918 წელს ვირუსთან გასამკლავებლად არ არსებობდა ვაქცინა, მისი გავრცელების პრევენცია კი დაახლოებით იმავე მეთოდებით ხდებოდა, რასაც COVID-19-ის პანდემიის დროს ვიყენებდით. 100 წლის წინანდელი, პერიოდული პრესა, არის ერთგვარი პასუხი, კონსპირაციული თეორიების მოყვარულთათვის, რომელთა მოსაზრებების ფართოდ გავრცელების გამო, ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციამ, ჯერ კიდევ პანდემიის გამოცხადებამდე, **ინფოდემია**¹⁰ უწოდა. აღნიშნული დეზინფორმაციის მძლავრ ნაკადს გულისხმობს, რომელსაც ხშირად თან ახლავს დამახინჯებული და მცდარი ცნობები.

COVID-19-ის გავრცელების დროს, ინფორმაციული ზემოქმედების როლი საზოგადოებრივ ცნობიერებაზე და ადამიანთა ქცევაზე კიდევ უფრო გაიზარდა. გლობალურ გამოწვევებს შორის, მკვლევარები ხშირად აღნიშნავენ, რომ ინფორმაციას შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს მასობრივ ცნობიერებაზე. მცდარი ინფორმაციის გავრცელება კი, განსაკუთრებულად საშიშია, ვინაიდან ის საფრთხეს უქმნის ადამიანების ჯანმრთელობას. გარდა ჯანდაცვის სფეროს ეფექტური მუშაობისა, საზოგადოების სწორად ინფორმირებულობა არის ის იარაღი, რომლითაც შეიძლება უხილავ მტერთან ბრძოლა. ინფორმაციის და პრესის მნიშვნელობა, რომელიც საზოგადოებას დროულ ცნობებს მიაწვდის, 1918 წელს ვირუსის გავრცელების დროსაც ნათლად იკვეთება და ამაში დავრწმუნდით ჩვენი დროის პანდემიის შემთხვევაშიც. უალტერნატივოა მოქალაქისთვის მძიმე, კრიზისული სიტუაციის შესახებ სანდო ინფორმაციის მიწოდება.

⁹ ოლი, ეშმაკის, #20.

¹⁰ world health, Immunizing.

ბიბლიოგრაფია:

1. გაჩეჩილაძე მ., სახალხო კალენდარი, თბილისი, 1919.
2. კლდე, N12 1 დეკემბერი, თბილისი, 1918.
3. ოლილი ლ., ეშმაკის მათრახი, N20, 1920.
4. მოდებაძე გ., ესპანეთის საგარეო პოლიტიკა, თბ., 2012.
5. სახალხო საქმე, N 792, 1920.
6. ჯაფარიძე ი., ესპანური გრიპის დამანგრეველი შედეგები, ველური ბუნება N15 2021, გვ. 87.
7. Adams t., The big picture: spreading the message about the 1918 pandemic <https://www.theguardian.com/artanddesign/2020/may/03/the-big-picture-spreading-the-message-about-the-1918-pandemic>
8. ANDREWS E., Why Was It Called the „Spanish Flu?“ <https://www.history.com/news/why-was-it-called-the-spanish-flu> Last Updated July 12, 2023.
9. Immunizing the public against misinformation, 2020, https://www.who.int/news-room/feature-stories/detail/immunizing-the-public-against-misinformation?fbclid=IwAR1uNLPKucf_jT_jenPRE8JdKYDpkIm1U_o7MIIMtj_RoAbIHUjW0wUAsZU
10. Martini M., Gazzaniga V., Bragazzi N., Barberis I., The Spanish Influenza Pandemic: a lesson from history 100 years after 1918. 2019, https://www.ncbi.nlm.nih.gov/pmc/articles/PMC6477554/?fbclid=IwAR2cvlQgT_CGCHNZV_JtjANPH2VWP2bfFRJsgjGBwXoYalmjv-R-JOsvOzg
11. Shafer R.G., Spain hated being linked to the deadly 1918 flu pandemic. Trump’s Chinese virus label echoes that, 2020, <https://www.washingtonpost.com/history/2020/03/23/spanish-flu-chinese-virus-trump/>

გვანცა ლიპარტელიანი,
საქართველოს შოთა რუსთაველის თეატრისა და
კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის დოქტორანტი,
ხელმძღვანელი: ასოცირებული პროფესორი რევაზ ჭიჭინაძე

კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების გავლენები საზოგადოების მცირე ჯგუფებსა და ფართო მასებზე

რეზიუმე

აღნიშნული სტატია ეხება კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების გავლენას საზოგადოების მცირე და ფართო მასებზე. მსგავსი ტიპის პროექტები გახლავთ საგანმანათლებლო, შემეცნებითი და სამეცნიერო ხასიათის, რომელიც ხელს უწყობს კულტურის, ხელოვნებისა და განათლების საკითხების პოპულარიზებას, საზოგადოების ცნობიერების ამაღლებას და სოციალური პასუხისმგებლობის როლის მნიშვნელობის წინ წამოწევას. აქედან გამომდინარე, საინტერესოა, კულტუროლოგიური, მულტიმედიური პროექტების როლი და გავლენა საზოგადოების როგორც მცირე, ასევე ფართო მასებზე.

უპირველეს ყოვლისა, სტატია ეხება მოკლე აღწერას, თუ როგორი უნდა იყოს მულტიმედიური პროექტი, როგორ უნდა შეიქმნას ის ტექნიკური თვალ-

საზრისით, რა უნდა იყოს გაანალიზებული და რა ფაქტორებს უნდა მიექცეს ყურადღება, რათა სწორად იყოს მიწოდებული ის მნიშვნელოვანი გზავნილები საზოგადოებისთვის, რომლისთვისაც შეიქმნა ესა თუ ის პროექტი.

ყველაზე მეტად გასათვალისწინებელია შეფასების კრიტერიუმები, რომლებიც ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ასპექტად რჩება პროექტის წარმატების კუთხით. ზუსტად ეს კრიტერიუმები გვაწვდის ინფორმაციას, მივიღებთ თუ არა თავიდანვე ჩაფიქრებულ შედეგს, რამდენად სწორად ჩავწვდით არსს და გაამართლა თუ არა საზოგადოებისთვის სწორად გადაცემის, გაზიარების პროცესმა.

სტატიაში, ასევე, მიმოვიხილავ, თუ რა კულტუროლოგიურ მულტიმედიურ პროექტებს ვიცნობთ ქართულ რეალობაში

(მაგალითად: თბილისის ციფრული მუზეუმი და ა.შ.) და ჩემ მიერ ჩატარებული, მცირე მასშტაბის, კვლევის საფუძველზე, პატარა დასკვნას გავაკეთებ, თუ რა განწყობაა საზოგადოების მხრიდან.

შემიძლია, თავისუფლად ვთქვა, რომ ეს თემა საკმაოდ საინტერესო, სრულიად განსაკუთრებული, აქამდე ნაკლებად ნაკვლევია და ქართული საზოგადოებისთვის მნიშვნელოვანია. მცირე მასშტაბის კვლევამ, რომელსაც შემდგომ სტატიაში გაეცნობით, ის შედეგი დადო, რომ კვლევაში მონაწილე ადამიანების უმრავლესობა მსგავსი ტიპის პროექტებს მხარს უჭერს, მოლოდინი დადებითი აქვთ და თვლიან, რომ შესაძლოა საუკეთესო შედეგის მომტანი იყოს მომავალი თაობისთვის. ეს კი იმაზე მეტყველებს, რომ საზოგადოება მზადაა მიიღოს ახალი

კულტურული სიახლე და იყოს მასში ჩართული.

კვლევამ ცხადყო, რომ მცირე ჯგუფები, რომლებიც ისედაც აქტიურად მონაწილეობენ ან თავად ქმნიან მსგავსი ტიპის პროექტებს, მათთვის აუცილებელია უფრო მეტი მოტივაციის მიცემა, რათა, რაც შეიძლება მეტი ადამიანის ჩართულობას შეუწყონ ხელი. მათი სოციალური პასუხისმგებლობა საზოგადოების დანარჩენი წევრების მიმართ სწორედ ამ კუთხით გამოიხატება, რომ გაზიარდეს და ყველას მისწვდეს ის საინტერესო კულტურული და საგანმანათლებლო ტიპის პროექტები, რომლებიც, საბოლოო ჯამში, როგორც ზევით ვახსენე, იმ ევროპულ, თანამედროვე და მოაზროვნე საზოგადოებად ჩამოყალიბების პროცესში შეგვიწყობს ხელს, რომლისკენაც ასე მივიღტვით და ვოცნებობთ.

საკვანძო სიტყვები: მულტიმედია, კულტუროლოგია, მულტიმედიური პროექტები, შეფასების კრიტერიუმები, ქართული კულტუროლოგიური პროექტები, საზოგადოება, გავლენა, კვლევა

მულტიმედიური პროექტი გულისხმობს იმ შემოქმედებით დალისხმევას, რომელიც აერთიანებს მედიის სხვადასხვა ფორმას, როგორებიცაა - ტექსტი, სურათი, აუდიო და ვიდეო მასალა და ინტერაქტიური ელემენტები, რათა სრულყოფილად გადმოიცეს სათქმელი. მულტიმედიური პროექტი შესაძლოა იყოს ინდივიდუალური, დამოუკიდებელი, ან შეიძლება უფრო დიდი წარმოების

ნაწილი. მულტიმედიაური პროექტის დაგეგმვისა და შესრულებისას გასათვალისწინებელია რამდენიმე ძირითადი ასპექტი: **1. პროექტის მიზანი:** მკაფიოდ განსაზღვრული და ჩამოყალიბებული მიზანი, რის გამოც ვქმნით მულტიმედიაურ პროექტს. **2. სამიზნე აუდიტორია:** განსაზღვრული უნდა იყოს სამიზნე აუდიტორიის პრეფერენციები, ინტერესები; **3. კონტენტის შექმნა:** აუცილებელია მაღალი ხარისხის კონტენტი, რომელიც შეესაბამება პროექტის მიზანს და სამიზნე აუდიტორიას. შექმენით ან შეაგროვეთ ტექსტები, სურათები, აუდიო-ვიდეო მასალა/ელემენტები, რომლებიც ძალიან მკაფიოდ წარმოაჩინს თქვენს მესიჯ ბოქს-შეტყობინებას ან Storytelling-ს (ისტორია). დარწმუნდით, რომ შინაარსი თანხვედრაშია - ზუსტი, შესაბამისი და ვიზუალურად მიმზიდველი. **4. Story Telling ანუ როგორ მოვეყვით ისტორია:** თუ თქვენი მულტიმედიაური პროექტი ისტორიას ჰყვება, ფოკუსირება საჭირო დამაჯერებელ, ბუნებრივ ნარატიული სტრუქტურის შექმნაზე. აუცილებელია პერსონაჟები, სიუჟეტები და კონფლიქტები, რომლებიც ხიბლავს თქვენს აუდიტორიას და წინ უძღვის ამბავს. **5. მედიაინტეგრაცია:** საჭიროა გააერთიანოთ სხვადასხვა მედია ელემენტი, რათა შექმნათ შეკრული, საინტერესო და მიმზიდველი გამოცდილება. გამოიყენეთ მულტიმედიაური ელემენტები და პროგრამული უზრუნველყოფა ტექსტის, სურათების, აუდიო-ვიდეო მასალის ეფექტური შერწყმა-კოლაბორაციისთვის. ყურადღება უნდა მიექცეს გადასვლებს, ვადებს და სინქრონიზაციას სხვადასხვა მედია-კომპონენტს შორის. **6. დიზაინი და განლაგება:** ყურადღება მიაქციეთ ვიზუალურ დიზაინს და განლაგებას. აუცილებელია მულტიმედიაური პროექტი იყოს ესთეტიკური, სასიამოვნო სანახავი, ვიზუალური თანმიმდევრობა იყოს დაცული და მასში მკაფიოდ იყოს გამოხატული თქვენი მთავარი გზავნილი ან ისტორია. აუცილებელია ისეთი ფაქტორების განხილვა, როგორებიცაა ფერადი სქემები, ტიპოგრაფია და გრაფიკული ელემენტები. **7. ურთიერთქმედება და ჩართულობა:** გამოიყენეთ ინტერაქტიული ელემენტები, მომხმარებელი ჩართულობის გასაძლიერებლად. გამოიყენეთ ისეთი ფუნქციები, როგორებიცაა Buttons - დასატყერი ღილაკები, ვიქტორინა, თამაშები და სხვა ინტერაქტიული კომპონენტები, რომ წაახალისოთ მომხმარებლის მონაწილეობა და პროექტი უფრო მნიშვნელოვანი გახადოთ. **8. ტექნიკური მხარდაჭერა:** გასათვალისწინებელია ის

ფაქტორი, რომ თქვენს მულტიმედიურ პროექტებს სჭირდებათ ტექნიკური მოთხოვნები და შეზღუდვები. ფაილის ზომების ოპტიმიზაცია უფრო სწრაფი ჩატვირთვისთვის, უზრუნველყოთ თავსებადობა სხვადასხვა მოწყობილობასა და პლატფორმაზე და გაუმკლავდეს ნებისმიერ ტექნიკურ შეზღუდვას ან დამოკიდებულებას. **9. ტესტირება და გამოხმაურება:** საფუძვლიანად შეამოწმეთ თქვენი მულტიმედიური პროექტი, რათა სწრაფად აღმოაჩინოთ ხარვეზი და აღმოფხვრათ ის. ყურადღებით დააკვირდით მომხმარებელთა გამოხმაურებას, „რევიუებს“, ასევე მოუსმინეთ დაინტერესებულ ადამიანებს და მიიღეთ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია, თუ რას ითხოვენ თქვენი პროექტისგან და როგორ შეგიძლიათ მისი გაუმჯობესება. **10. პოპულარიზაცია:** განსაზღვრეთ შესაბამისი არხები და პლატფორმები თქვენი მულტიმედიური პროექტის გასავრცელებლად და პოპულარიზაციისათვის. განიხილეთ სოციალური მედია, ვებსაიტები, ბლოგები, პრეზენტაციები ან ღონისძიებები, რომლებიც დაგეხმარებათ, მულტიმედიური პროექტი ეფექტურად მიაწოდოთ თქვენს სამიზნე აუდიტორიას. **11. შეფასება:** შეაფასეთ თქვენი მულტიმედიური პროექტის წარმატება წინასწარ განსაზღვრული შეფასების კრიტერიუმების საფუძველზე. გაზომეთ ისეთი ფაქტორები, როგორებიცაა მომხმარებლის ჩართულობა, აუდიტორიის გამოხმაურება, პროექტის მიზნები და საერთო გავლენა. გამოიყენეთ ეს შეფასება მომავალი მულტიმედიური პროექტების გასაუმჯობესებლად.¹

ყოველი მულტიმედიური პროექტი უნიკალურია და კონკრეტული ელემენტები და მოსაზრებები შეიძლება განსხვავდებოდეს პროექტის ბუნების, მასშტაბისა და მიზნების მიხედვით. ზევით აღნიშნული დებულებები და მითითებები შესაძლოა შეიცვალოს და მოერგოს პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე სხვა საჭიროებებს, მასშტაბისა და მიზნების მიხედვით. მაქსიმალურად გამოიყენეთ კრეატიულობა მასშტაბური, მნიშვნელოვანი და გავლენიანი მულტიმედიური პროექტის შესაქმნელად.

მულტიმედიური პროდუქტი ეხება ნებისმიერ ციფრულ შინაარსს, რომელიც აერთიანებს მედიის სხვადასხვა ფორმას – როგორებიცაა ტექსტი, ფოტომასალა, აუდიო და ვიდეო, ასევე, ინტერაქტიური ელემენტები. ის შეიძლება სხვადასხვა ტიპის ელემენტებს

¹ Geeksforgeeks, Multimedia

მოიცავდეს: ვებსაიტები, მობილური აპლიკაციები, პრეზენტაცია, სოციალური მედია პლატფორმები, ელექტრონული სწავლების მოდულები, თამაშები და ა.შ. მულტიმედიური პროდუქტის შეფასებისას აუცილებელია რამდენიმე კრიტერიუმის გათვალისწინება.

შეფასების კრიტერიუმები: 1. გამოყენებადობა; 2. ფუნქციონალობა; 3. შინაარსობრივი დატვირთვა; 4. ვიზუალური დიზაინი; 5. აუდიო და ვიდეო ხარისხი; 6. ინტერაქტიურობა; 7. შესრულება; 8. თავსებადობა; 9. გამოხმაურება და ხარვეზების გამოსწორება; 10. მომხმარებლის კმაყოფილება.²

შეფასების კრიტერიუმებს შეუძლიათ, უზრუნველყონ მულტიმედიური პროდუქტის ყოვლისმომცველი შეფასება, იმის უზრუნველსაყოფად, რომ იგი აკმაყოფილებს აუდიტორიის საჭიროებებს და უზრუნველყოფს მაღალ სტანდარტს და მომხმარებელთა მხრიდან უმნიშვნელოვანესი გამოცდილების გაზიარებას.

მიმოვიხილავ რამდენიმე მულტიმედიურ პროექტს, რომელიც საქართველოში შეიქმნა: თბილისის ხელოვნების ციფრულ მუზეუმს, და ვისაუბრებთ თუ რამხელა მნიშვნელობა და როლი აქვს. „ხეობის ხმები“ – მულტიმედიურ პროექტს, რომელიც პანკისის ხეობისა და ქისტური კულტურის ახლოს გაცნობას ისახავს მიზნად, რომლის ავტორი გახლავთ ანა აბაკელია.

2022 წლის თებერვალში აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ გააკეთა განცხადება იმის თაობაზე, რომ ახალი პროგრამა ინერგებოდა, რომელიც გულისხმობდა: აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში კულტურის პროექტების განხორციელებას, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობას, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარებას, შემოქმედებითი პროცესების ხელშეწყობას და კულტურის პოპულარიზაციას. ითვალისწინებდა თავისუფალი ხელოვნების ახალი იდეების, ინიციატივების და პროექტების მხარდაჭერას; სახვითი, გამოყენებითი, მულტიმედიური ხელოვნების ხელშეწყობას; ასევე, 2013 წელს ხელოვნების მუზეუმში საერთაშორისო მულტიმედიური გამოფენა „მემკვიდრეობა“ – პროექტი მიზნად ისახავდა საზოგადოების ფართო მასებთან დიალოგის დაწყებას და ისტორიული, სოციალური და კულტურული სტრუქტურების მნიშვნელობის ხაზგასმას იდენტობის ჩამოყალიბების საკითხში.³

² Cemca, Evolution. Bcuassets, Article Multimedia.

³ Adjara, პროგრამა, კულტურის.

კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტებით არის შესაძლებელი მიეხედოს უამრავ თემას და საზოგადოების ფართო მასებამდე მიიტანოს ისეთი მნიშვნელოვანი საკითხები, რომელთა შესახებ მათ არ აქვთ ინფორმაცია. ასევე გავაცნოთ და მაქსიმალურად ხელი შევუწყოთ ქართული კულტურის განვითარებას და პოპულარიზაციას. მაგალითისთვის გავიხსენოთ კიდევ ერთი მულტიმედიური პროექტი, რომელიც გახლდათ პირველ არხზე (2020 წელი) - „საქართველო 360“. პროექტი, დაინტერესებულ პირებს, საშუალებას აძლევდა ემოგზაურათ საქართველოს უნიკალურ ადგილებში, რომლებიც აქამდე ნანახი არ ჰქონდათ. პროექტის მიზანი საქართველოს წარმოჩენა იყო, სხვადასხვა კუთხის კულტურის გაცნობა საზოგადოებისთვის და პოპულარიზაცია.⁴

ვენეციის 59-ე საერთაშორისო გამოფენაზე საქართველოს პავილიონს მარიამ ნატროშვილის და დეთუ ჯინჭარაძის ნამუშევარი „მე ვწუხვარ ბაღზე“ წარსდგა. ამ მულტიმედიურ პლატფორმაზე - „მე ვწუხვარ ბაღზე“ - იმუშავეს მხატვრებმა: მარიამ ნატროშვილმა და დეთუ ჯინჭარაძემ. ის მოგვითხრობს დასასრულის წინათვრძნობაზე, დიდი ზომის ვიდეო ინსტალაციის და VR გამოცდილების საშუალებით მნახველს ანთროპოცენის ეპოქის მაგიურ რეალიზმში იწვევს. ბუნებრივი და კულტურული ლანდშაფტების მოსალოდნელ ცვლილებებს მხატვრები ვირტუალური რეალობის ენაზე თარგმნიან.

ევროკომისია უწევს კინოსა და აუდიოვიზუალურ (AV) სექტორს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან დახმარებას, ევროპის კულტურული მრავალფეროვნებისა და სუვერენიტეტის დასაცავად. ამიტომ, მისთვის მნიშვნელოვანია მაღალი ხარისხის ევროპული ნაწარმოებების (ფილმების, სერიალების, დოკუმენტური ფილმების, ვიდეო თამაშების და მულტიმედიური პროექტების ჩათვლით) განვითარება, გავრცელება და პოპულარიზაცია, გლობალურ დონეზე ევროპული AV ინდუსტრიის კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით.⁵

კვლევის ჩასატარებლად და რეალური სიტუაციის შესაფასებლად, გამოვიყენე გუგლის ინტერნეტ კითხვარი, რომელმაც ძალიან გააადვილა საერთო ფონის შეცნობა და იმ საინტერესო ინფორ-

⁴ საქართველო 360.

⁵ Indigo, ხასაია, მე ვწუხვარ.

მაციის მოძიება, რაც მნიშვნელოვანი იყო და რასაც ეძღვნება მთელი ეს სტატია. რა თქმა უნდა, კვლევა არის საკმაოდ მცირე მასშტაბის და მხოლოდ ზოგად წარმოდგენას შეგვიქმნის დამოკიდებულებებზე კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების მხრივ. კვლევაში მონაწილე ადამიანებიდან, მამრობითი - 25, 8%, ხოლო მდედრობითი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა გახლდათ 74.2%. რადგან კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტები თითქმის ყველა ასაკობრივ კატეგორიას ეხება, გამოკითხულთა ასაკობრივი ზღვარი მერყეობდა 16 წლიდან ზევით. რაც ძალიან საინტერესოა, გამოიკვეთა, რომ განსაკუთრებული ინტერესი და ყურადღება 25-34 წლამდე ადამიანებმა გამოიჩინეს, მათი რაოდენობა 54.8% მოიცავდა. რაც შეეხება ადგილობრივ კატეგორიას, არც აქ იყო ასაკობრივი შეზღუდვა, ადამიანებმა საქართველოს სხვადასხვა ქალაქიდან შეძლეს კვლევაში მონაწილეობის მიღება, რაც მაჩვენებელია იმის, რომ ზევით აღნიშნული საკითხი - კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების გავლენა ადამიანებზე და შემდგომ მათი როლი და გავლენა საზოგადოების მასებზე საინტერესო საკითხი აღმოჩნდა, არამარტო თბილისის მაცხოვრებლებისთვის (თუმცა, რიცხოვნობად ლიდერობდნენ), არამედ საქართველოს სხვადასხვა ქალაქის მაცხოვრებლებისთვისაც. დავძენ, რომ, სავარაუდოდ, ამ თემის გარშემო უფრო სიღრმისეული კვლევებია საჭირო, რადგან მაქსიმალურად საფუძვლიანად იქნეს შესწავლილი ამ ადამიანების ინტერესი და ცნობისმოყვარეობა მხოლოდ ზედაპირულია, თუ რეალურად ფიქრობენ, რომ ამ საკითხების წინ წამოწევას შეუძლია ზოგადი სურათი შეცვალოს საზოგადოებრივი აზრის ფორმირების მხრივ. სკალაზე აღმოჩენდით ადამიანებს: დაუსაქმებელიდან - მაღალი რგოლის მენეჯერამდე. კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების შესახებ ინფორმაცია - რამდენად ხელმისაწვდომია, ან აქვთ თუ არა ინფორმაცია მათ შესახებ, აზრი თითქმის თანაბრად გაიყო: 51.6% ძალიან კარგად ცნობს თუ რას გულისხმობს ეს პროექტები - 48.4%-მა არ იცის, რომ ყოველდღიურობაშიც კი, კონკრეტულად, სოციალური ქსელით, შეიძლება ხვდებოდეს კულტუროლოგიურ მულტიმედიურ პროექტებს.

რამდენიმე საინტერესო პროექტიც გამოიკვეთა გამოკითხვისას, რომლებიც თავად კვლევაში მონაწილეებმა დაასახელეს:

1. თბილისის ციფრული მუზეუმი
2. ილია ზაუტაშვილი - „საზოგადოებრივი აზრი“
3. რადიო თავისუფლების პროექტები

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკმაოდ დიდმა ნაწილმა - 45.2%-მა არ იცის, თბილისის ციფრული მუზეუმი რომ კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტია.

შედეგების დაჯამების პროცესში, გამოიკვეთა, რომ კვლევაში მონაწილე ადამიანების მოლოდინი და განწყობა გახლდათ დადებითი. მათი აზრით, სწორად დაგეგმილი და გათვლილი კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტი გამოიწვევს ცნობიერების ამაღლებას, განათლების დონის ზრდას და შეუწყობს ხელს საზოგადოებაში შემოქმედებითი უნარების განვითარებას. გავლენა შეფასდა 80.6%-ის მიერ დადებითად, ხოლო - 19.4%-ის მხრიდან ნეიტრალურად, უარყოფითი დამოკიდებულება არ დაფიქსირებულა, მიუხედავად იმისა, რომ დაფიქსირდა საკმაოდ დიდი რიცხვი ადამიანებისა, რომლებმაც არ იცოდნენ რას ნიშნავდა კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტი და არ ჩაღრმავებანი, რა გავლენა შეიძლება ჰქონოდა მას საზოგადოებაზე.

კიდევ ერთ საკითხს უნდა შევხვით - რატომაა საინტერესო სოციალური პლატფორმები ჩვენთვის?! კარგად მოგეხსენებათ, რომ სოციალური ქსელები ჩვეულებრივად იქცა ინფორმაციის გაცვლის, ბიზნესის, კულტურის, პოლიტიკის და ყველა დანარჩენ მიმართულებათა თითქმის ერთადერთ და შეუცვლელ პლატფორმად. ხოლო, სოციალური ქსელების მომხმარებელთა რაოდენობა არის კოლოსალური ციფრი, რომელიც ყოველდღიურად დღის უდიდეს მონაკვეთს სწორედ აქ, ამ პლატფორმებზე ატარებს, სწორედ ამიტომაა ძალიან საინტერესო სოციალურ პლატფორმებზე განთავსებული კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების აქტივობა და მათი სიხშირე. ადამიანების ყოველდღიურ ცხოვრებაში მოხვედრა, ყველაზე სწრაფად და მარტივად სოციალური პლატფორმებითაა შესაძლებელი.

გამოკითხულთა 58% ამბობს, რომ მსგავსი ტიპის პროექტები ხვდება იშვიათად, ხშირად ხვდება - 12.9%-ს და საზოგადოების სწორედ იმ მცირე ჯგუფს, რომელზეც ვსაუბრობდი, ეს უკანასკნელნი თავად არიან დაინტერესებულნი, გამოწერილი აქვთ მსგავსი პროექტების გვერდები, არიან ჩართულები, მონაწილეო-

ბენ, თვალს ადევნებენ და ა.შ. გამოკითხულთა - 9.7%-ს კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტები საერთოდ არ ხვდება (ან ვერ ცნობს მათ). აქვე აღვნიშნოთ, რომ, ჩემი ვარაუდითა და კვლევაზე დაყრდნობით, ადამიანებს აინტერესებთ მსგავსი ტიპის პროექტები. გამოკითხულთა 64.5% აღნიშნავს, რომ მიუხედავად იმისა, თავად არასდროს უძებნია კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტები, თუ ხელმისაწვდომი იქნებოდა და ეცოდინებოდათ, რა შინაარსისაა -სიამოვნებით მიადევნებდნენ თვალყურს და ჩართულობაც ექნებოდათ. ეს საკმაოდ მაღალი მაჩვენებელია იმისთვის, რომ ვიფიქროთ - საზოგადოებას რამდენად სურს რაღაც თანამედროვე, შემოქმედებითი, საგანმანათლებლო და კულტურული ხასიათის მატარებელი სიახლე, რომლებიც საბოლოოდ ძალიან საინტერესო შედეგის მომტანი იქნება და აუცილებლად დადებითსკენ შეცვლის საზოგადოების ზოგად განწყობას, დამოკიდებულებას და ფონს. ამის მაჩვენებელია 93.5% გამოკითხულთა რაოდენობა, რომელიც მხარს უჭერს კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების ხელშეწყობასა და პოპულარიზაციას, როგორც სოციალურ პლატფორმებზე, ასევე, ზოგადად ყოველდღიურობაში.

სტატიის დასასრულს კი დავძენ, აუცილებელია ჩატარდეს ბევრად ფართომასშტაბიანი კვლევა ამ თემის ირგვლივ, რათა დავეყრდნოთ მაქსიმალურად ზუსტ მონაცემებს - თუ რა სურს საზოგადოებას?! როგორი განწყობა აქვს კულტუროლოგიური მულტიმედიური პროექტების მიმართ?! ხედავენ თუ არა რეალურ საჭიროებას?! და ამ უკანასკნელთ ნაბიჯ-ნაბიჯ მივაწოდოთ დეტალური ინფორმაცია, თუ რამხელა ცვლილებების შეიძლება გამოიწვიოს სწორად დაგეგმილმა პროექტმა, მესიჯმა, კომუნიკაციამ.

ასევე, ჩემი აზრით, მცირე ჯგუფების კვლევაა საჭირო, რომლებიც თავად ქმნიან ან მონაწილეობენ მსგავსი ტიპის პროექტებში. საინტერესოა, რამდენად გრძნობენ სოციალურ პასუხისმგებლობას, რომ მაქსიმალურად გააზიარონ და დააინტერესონ სხვა ადამიანები, ვისაც არ აქვს ცოდნა და საშუალება, იყვნენ ჩართულნი მსგავს პროცესებში. ჩემი ვარაუდით, თუ გავიაზრებთ, რამდენად სწორად შეიძლება ავითვისოთ სოციალური პლატფორმები და რა მასშტაბებზე შეიძლება გასვლა ამ კუთხით, შევძლებთ, დავგეგმოთ მთელი რიგი ნაბიჯები, იმისთვის, რომ ხელი შევუწყოთ როგორც

კულტუროლოგიური მულტიმედიაური პროექტების პოპულარიზებას, მათ შექმნას და მაქსიმალურ გაზიარებას, ასევე, მივალწიოთ იმ შედეგს, რომ დავიმსახუროთ საზოგადოების მხრიდან ინტერესი და გაჩნდეს სურვილი - ერთად გარდავიქმნათ იმ სოციალური პასუხისმგებლობის მქონე, განათლებულ და განვითარებულ საზოგადოებად, რომელიც მზად იქნება ნებისმიერი ტიპის გამოწვევისთვის.

ბიბლიოგრაფია:

1. Evaluation of Multimedia – Section 9, p. 54 – 55. <https://www.cemca.org/ckfinder/userfiles/files/Section9.pdf>
2. Module Evaluation Guide for Module Leaders; P. 1-12. <https://bcuasets.blob.core.windows.net/docs/Module%20Evaluation%20Guide%20for%20module%20leaders.pdf>
3. Article Multimedia; p. 1. <https://en.wikipedia.org/wiki/Multimedia>
4. The article - What is Multimedia?!, – p. 1. <https://www.geeksforgeeks.org/what-is-multimedia/>
5. Multimedia Projects and its stages, p. 1. <https://www.geeksforgeeks.org/multimedia-projects-and-its-stages/>
6. Stéphane Crozat, Philippe Trigano, Olivier Hû, Set of criteria for evaluation and design of multimedia applications in instructional context, P. 1-15. <https://edutice.hal.science/edutice-00000396/document>
7. Multimedia Project Management – Section Two – Developing Multimedia Systems, p. 1. <http://www.mit.edu/~bhdavis/Getty/CIDOC/07-Man.html>
8. საქართველო 360 - საქართველოს პირველი არხის ახალი პროექტი. http://188.93.90.242/?newsid=1201450&fbclid=IwAR2WKVUj3KrdQMVFIsa6PJ0KTIC3RzussiWC-RMa_Pbg6haU0moDg4u5sMA
9. პროგრამა - კულტურის პოპულარიზაცია და შემოქმედებითი პროცესების მხარდაჭერა. <http://adjava.gov.ge/branches/description.aspx?pid=1466&gid=6&ppid=13&fbclid=IwAR0CURyMbXOgD2HAw3ungspnfUoNa7q9uud2rXkpkzGS7279ijowk7cNNT4>
10. კულტურა, მე ვწუხვარ ბაღზე, გიორგი ხასაია. <https://indigo.com.ge/articles/me-vtsukhvar-bakhze>

THEATROLOGY

Ekaterine Kvirkelia,
Shota Rustaveli Theater and film Georgia State University
Ph.D. Student,
Supervisor - Doctor of Arts Davit Kobakhidze

THE USE OF MASKS IN THEATRICAL PEDAGOGY

(its use Saws and tools; For the first Course learning process)

Keywords: Theater, Mask, Training, Theatrical pedagogy, Student, Actors mastery

Abstract

The word „mask“ has different meanings: change, distinguish, modulate, diversity, conceal, cover, demonster, hide, disguise, cozy arrangement, limit, turn into frames, transform into unknown, screen, screen, Shield, cover, hidden hide-and-seeK, transmission, duplicity, liar, hypocrite, forgery, Falsehood, lies, & c. Sh. A variety of forms of disguise (social mask, amplua, image, role, stamp, theater and film mask, painting and sculptural masks, advertising masks, etc.) perform certain functions.

In the twentieth century, forms of modernism such as expressionism, futurism, symbolism, or surrealism often used the nighab as a clear means of expression, as a means of expressing and influencing a new artistic language or form, and its function became necessary, As a psycho-physical care, where it was found out in what ways and in what ways the viewer was affected. What a way the human psyche went to believe in the sight it had seen. (Works by F. Nietzsche, F. Schiller, K. Jung).

The mask is also a means of identifying our social role, an attribute of prestige and status, a variety of ways to influence a child or adult, a means of communication, and even self-actualization.

The mask is also a means of identifying our social role, an attribute of prestige and status, a variety of ways to influence a child or adult, a means of communication, and even self-actualization.

After a brief review, the essence of the mask and its significance in the theatrical art becomes clear. In addition, we can confidently say that the use of masks in theatrical pedagogy is a desirable way to diversify the course of rehearsals, to make the creative activity of students interesting and desirable.

The specifics of theatrical art and its teaching program is a different and at the same time difficult learning process. It is different from the fact that art universities have special ways of approaching and treating students, and these methods are mostly one of the most important components of the teaching of theater university students. The difficult thing is that the components of the curriculum are full of many difficulties and contradictions.

A dry and unhealthy environment is very unacceptable, in my opinion, for the acting faculty of the Theater University when mastering the established program. That's why it's important to go beyond the established rule and program to develop another, Any new and attractive curriculum for students that will diversify and enrich the existing curriculum and also make the learning process more productive and productive.

I would like to offer you a kind, one of the ways, training with masks that will help students in removing complexes. By changing the environment in a freshman year and discovering a new, initially unusual environment for them, students experience feelings of tension, complexes, closure, and nausea. This, at times, is not just a matter of changing the environment. It can be, in general, an evocation of the adolescent nature, or the environment in which he has been before, while improvisation and production, as well as a sense of comfort, that is, a sense of security, are directly related to human psychophysics. The psychological aspects of improvisation can not be ignored without the depth of human feeling and its levels of development, because in order for a future actor to have creative improvisation skills, we need to develop a high level of erudition and education or provoke them to provoke Dormant creative indicators, to diversify and enrich them. They are. One of the tools to achieve this is masks, which are desirable to use during rehearsal, especially for 1 year.

Training with masks also improves perception. This is manifested in the mobilization of psi-kik, since the face is hidden, the student tries to resort to different ways of re-service, to be mobilized, attentive and over-observant. Training with masks also improves the imagination, because the student's psyche is free from excessive irritants, he thinks purposefully and varied, abstractly. He is allowed a chain of previously unused actions that are radically different from his own in nature. It also enhances memory, and the student strives to recreate events he or she has ever seen, to conform to, and to accurately convey the character's spiritual and physical condition.

It is also interesting to learn with masks that the mask itself evokes a sense of mystery in the students. If we also recall what the mask was created for and what became the reason for its invention and use, we can clearly imagine what a person might feel after making it. Acting with masks is also a means of defense. This is manifested in the fact that no matter what the masked character commits, the culprit will be only the mask and not its train.

The man in the mask- this is the man in conflict. Conflict with our own spiritual world and conflict with the environment, which has a great impact on our daily lives.

At first glance, the mask appears as a constant means of self-defense, a means of protecting our „I“ from external irritants - from society and situations. Our psyche is looking for a means in which it feels comfortable. The feeling that no one in the mask can see you and scold you - evokes a feeling of calm. And if this is the case - (no one can see the real face of a person) - it will be a mask of guilt and not the person himself.

The method of acting psycho-technique, psychological aspects of teaching and teaching the performing arts, teaching „psycho-physical actions“ in general K. According to the method of S .. Stanislavsky:

- 1) imagination;
- 2) attention;
- 3) Emotional memory, which is one-
Is connected to the net directly and
Feedback;
- 4) Removal of muscle tension (muscle Stretch control) as a
psychologisturi tension relief technique;

5) Actor psycho-training experience Leba (Greek. Psyche-soul and Ing. Training), As an exercise system development, Just in order to reach out to the actors Exposing maximum capabilities.

This is what gives, sharpens and enhances training with masks. It can be considered as a supplement to the Stanislavski system in order to achieve the desired purposeful and unmistakable results in the process of raising an actor. A kind of add-on that intensifies the sensations, creates an idyll of comfort and protection, sharpens and purposefully loads each step towards perfect creativity.

The first psychological indicator during training with masks is protection, comfort, a chain of free actions. Because we are talking about the human psyche and dealing with the human psychological disposition, therefore, the first thing a teacher should do is to find out what category of students he has to work with, what problems there are in their creative work and use them to solve them as quickly as possible. Available tools and means. Student psychological explanation is a very complex process that depends on many aspects. Who, where, when, where, what comes, what brings in terms of knowledge and therefore use acceptable means for development.

Psychological functions (memory, thinking, attention, attention, etc.) are the most important aspects of human activities, and during training with masks these functions are intensified, more pronounced and visible than during normal training.

Illusory perception also intensifies during training with masks. Because man is always trying to materialize his own excitement and fear, trying to find a way to defend himself, such a means is masked.

The emotional state of a person is also affected by the creation of illusory perception. A person who is sad or in a happy state perceives the details and nuances seen in the same picture differently. This is a very individual process and it is impossible to predict. It is worth noting one of the main nuances that is irreplaceable for any person, in any situation, which is directly related to acting in the mask. If mood is paramount in the case of illusion, this mood is not so important during training with masks, because artificially creating a feeling of security and comfort with the help of masks, It always creates positive results. A person likes to be in any situation and even strives

for a comfortable environment, which, consequently, evokes a sense of security.

The role of the subconscious and intuition (conscious) in the work of the actor is important, which are the main ones in the creative work. The psychological basis of an actor's creativity is the combination of sensitivity and self-control as the greatest expressive ability that expresses the psychological state and actions of the stage. We get such results during the training with masks.

Mask - this is a very powerful psychological tool that provokes a person to act creatively during training. It acts strongly on the psyche, develops imaginative thinking, strengthens the student's plasticity, intensifies the memory of feelings, which finds expression in action. Consciously motivated associated events are laid out in their place, the movements are sharp, directed, and precise. Each event in the imagination becomes a whole, which is aimed at conveying the spiritual or physical condition of the character. The transition from event to event is painless. The feeling arises that the previous event dictates the ways of performing the new event and it is definitely organic.

The mask type lives in the drama at the expense of external events, does not undergo internal changes, has no means of development that retains its appearance from beginning to end.

The action of such a mask is strictly defined, which allows the „mask theater“ to exist in some cases even without drama-touring material. He is satisfied only with the script, where only the story is fixed, the sequence of dramatic situations, where the monologues and dialogues of the characters are not clearly written.

Nino (Nutsa) Kobaidze,
Shota Rustaveli Theatre and Film Georgia State University
Ph.D. Student,
Supervisor - Associate Professor Marine (Maka) Vasadze

THE MEANING OF THE TEXT IN THE POST-DRAMATIC THEATER

Keywords: post-dramatic theater, visual arts, dramatic theater,
post-modern theater

Abstract

Bertolt Brecht used the term „dramatic theater“ (instead of „epic theater“). a label that aptly encapsulates his entire body of work and serves as the cornerstone of the evolving European theater. Even as far back as the 18th and 19th centuries, it was evident that, despite the numerous gestures and expressive forms, the spoken word retained its central significance as the defining feature of the human figure on the stage.

The origins of experimental modern theater, which emerged prominently in the 1960s, are widely traced back to the historical avant-garde movement. The historical avant-garde of the early 1900s, despite its revolutionary spirit, retained elements reminiscent of the „dramatic theater“.

